645
2002



5-6

2002

ფოლკლორის ინსტიტუტში შემოქმედების [illegible]
გვ. 4-5

ქორწინების სასახლეში ქორწინების მოწმობას ვერ მოგცემენ
გვ. 1

ბაია დვალიშვილის სარფიანი ჰობი
გვ. 10-11

თუმცა საქართველო ჩემი სამშობლოა, აფხაზეთის მოძალადეობაზე ხმას არ ვამბობთ
გვ. 2-3

ინტერვიუ თეთრი მაგიის მაგისტრთან
გვ. 18

# საქართველოს ქალი

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი

პირველ და მეოთხე გარეკანზე კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ერთ-ერთი სახელოსნოს სტუდენტთა საავტორო მოდელები

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

„Sakartvelos Kali“

Georgian Woman. A Magazine for Women



# ლოცვა საშინელისა მის მიწისძვრისათვის

*ლოცვა ქრისტიანის ფარი და მახვილია, – ლოცვით ვიცავთ თავს ბოროტებისაგან, ლოცვითვე ვებრძვით ბოროტებას. ჩვენს ლოცვას რომ ძალა და მადლი ჰქონდეს, პირველ რიგში, გული უნდა გავისუფთაოთ, – უწმინდური ადამიანის ლოცვას ღმერთი არ ისმენს. „ბევრი რამ შეუძლია მართლის ძლიერ ლოცვას“, – გვასწავლის მოციქული იაკობი. წმინდანთა ლოცვით არაერთი სასწაული აღსრულებულა – ქარი ჩამდგარა, ზღვა დადუმებულა, ავადმყოფები განკურნებულან, წვიმა მოსულა, მიცვალებულებიც კი გაცოცხლებულან...*

*ბოლო დროს ერთობ შემოგვეჩვია სტიქიური უბედურებანი, განსაკუთრებით „მიწისძვრანი ადგილ-ადგილ...“ რაკი უფლის ნებით, ბოლო ჟამის ბოლო პერიოდში მოგვიწია ცხოვრება, უნდა განსაკუთრებული გულმოდგინებით ვილოცოთ და მივყვეთ უფლის სწავლებას, რამეთუ „იქნება დიდი გასაჭირი, როგორიც არ ყოფილა წუთისოფლის დასაბამიდან დღემდე.“ იესო ქრისტე გვანუგეშებს, რჩეულთა გულისათვის იმ მძიმე დღეებს შევამოკლებო. და, ვინ არიან ის რჩეულები?! რატომ უნდა ვიყოთ სხვისი იმედით, როცა ყოველ ადამიანს შეუძლია გახდეს სულიწმიდის ჭურჭელი, ყოველგვარი რეგალიების და აღზევების გარეშე.*

*...ღმერთმა სასწაულებრივად გადაარჩინა ჩვენი ქალაქი 25 აპრილს, როგორც მისმა უწმიდესობამ ბრძანა: ეს გაფრთხილება იყო. და, ამ გაფრთხილების შემდეგ რას დავიმსახურებთ – ჯილდოს თუ სასჯელს, ისევ ჩვენზეა დამოკიდებული.*

*მიწისძვრის მეორე დღეს საპატრიარქოში გადმომცეს სპეციალური ლოცვები, რომლებიც ყველა ქრისტიანმა უნდა იკითხოს.*

*მაშ ასე, განვიწმიდოთ ცოდვებისაგან და ყოველ დღე წმინდა გულით ვიკითხოთ შემდეგი ლოცვა და ტროპარ-კონდაკი:*

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი



ღმერთო, დიდო, საშინელო და საკვირველო, დიდო და მართალო, რომელი შემოქმედი ხარ ყოველთა და ყოველსავე კეთილად განაგებ, რომელი მოჰხედავ ქუეყანასა და ჰყოფ მას შეძრწუნებულ, რომელი შეახებ მთათა და კუმოდიან, რომელი შეჰსძრავ ცათა საფუძვლითურთ და სვეტნი მათნი შეირყევიან, რომელი შეჰძრავ ქუეყანასა და მიხედვითა შენითა კვალად განამტკიცებ, რომლისაგან ეშინის ყოველთა და ჰსძრწის პირისაგან ძლიერებისა შენისა, რამეთუ ვერვის ძალ-უძს წინააღდგომად რისხვასა შენსა, ჩვენ ცოდვილთა ზედა მოწევნულთა საშინელებათა, არამედ აურაცხელ და გამოუთქმელ არს წყალობაი აღთქმისა შენისა: მოიხსენე შენ, წყალობაი შენი, უფალო, და მოგვმადლე ჩვენ, რამეთუ საუკუნითგან და უკუნისამდე არიან წყალობანი შენნი. განამტკიცე დაბადებული ესე შენი. განამტკიცე ქუეყანაი ესე, დააყუდე ძრვაი ესე, დააყუდე ძრვისა მიერი სალმობა ქუეყანისა და ნუ თანა წარგვწყმედ ჩვენ უსჯულოებათა ჩვენთაებრ და ნუცა ცოდვათა ჩუენთაებრ დაგვსჯი ჩვენ სიღრმეთა ქვეშე ქვეყანისათა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი, ღმერთი წყალობისა და მაცხოვარებისა და შენდა დიდებასა აღვავლენთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

### ტროპარი

*რომელი მოჰხედავ ქუეყანასა და ჰყოფ მას შეძრწუნებულ, გვიხსენ ჩვენ საშინელისა შერისხვისა და ძრვისაგან, ქრისტე, ღმერთო ჩვენო და გარდამოგვივლინენ მდიდრად მოწყალებანი შენნი, მეოხებითა ღვთისმშობელისათა და გვაცხოვნენ ჩუენ.*

### კონდაკი

*გვიხსნენ საშინელისაგან ძრვისა ჩუენ ყოველნი, უფალო, და ცოდვათა ჩუენთა წყლულებისაგან მოუთმენელისა. რიდე, უფალო, მართლმადიდებელსა ერსა შენსა რომელი მოიგე სისხლითა შენითა, მეუფეო, და ნუ მისცემ ქალაქსა ძრვითა საშინელითა წარსაწყმედელად, რამეთუ თვინიერ შენსა სხვა ღმერთი არა ვიცით, და ეტყოდე მღაღადებელთა: მე მხოლო ვარ თქუენ თანა და ვერვინ შემძლებელ არს ვნებად თქუენდა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალდაქორწინებულთ — მოწმობა რად, მოწმობასაც ვერ აძლევენ

*1964 წელს თბილისში, უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩაზე გაიხსნა პირველი ქორწინების სასახლე რესპუბლიკაში, მაშინდელი ქალაქის მთავარი არქიტექტორის შოთა ყავლაშვილის პროექტით, რომელსაც მოწვეული ჰყავდა ცნობილი არქიტექტორები და მხატვრები რამაზ კიკნაძე, ირაკლი ოჩიაური და სხვ. მათ ქართულ მოტივებზე გააფორმეს და მოხატეს მთელი ინტერიერი. ყველას ახსოვს შესანიშნავი პანოები — „სიყვარული“, „ძეობა“, „ლხინი“...*

*ქორწინების სასახლის პირველი დირექტორი იყო ჯულიეტა ბოლქვაძე. მაშინ ვინ იფიქრებდა, თუ სიხარულის სასახლის ბედი ასე სავალალო იქნებოდა.*



***

1972 წელს ქორწინების სასახლის დირექტორად დაინიშნა ნანა შუკაკიძე, მოადგილედ ლალი ჟორჟოლიანი. მათი მოსვლით სასახლეში დაიწყო საინტერესო ცხოვრება. ჩამოყალიბდა ახალდაქორწინებულთა კლუბი – დაფუძნდა თაობათა შეხვედრების ცენტრი. მოწვეული იყვნენ პედაგოგები, სოციოლოგები, სექსოლოგები, პედიატრები, გინეკოლოგები, პოეტები, აკადემიკოსები. ისინი ახალგაზრდებს ესაუბრებოდნენ მომავალ ოჯახსა და მის პრობლემებზე.

აკადემიკოსი ირაკლი ფაღავა ხშირად სტუმრობდა აქ და გოგონებს მოუწოდებდა ძუძუ ეწოვებინათ შვილებისათვის, უყვებოდა ევროპელი ქალების არაჯანსაღ ცხოვრებაზე, კერძოდ ფრანგ დედებზე, რომელთა უძუძურობამ ხშირ შემთხვევებში ჰომოსექსუალიზმი გამოიწვია. მაშინ იქაურმა მეცნიერებმა და პედიატრებმა დაარწმუნეს ბევრი ქალი ძუძუ ეწოვებინათ შვილებისათვის.

ქორწინების სასახლეში პირველად ჩატარდა ვერცხლისა და ოქროს ქორწილები.

ქორწინების სასახლესთან გაიხსნა საიუველირო სალონი და „საბედნიეროს“ მაღაზიები. ახალდაქორწინებულთათვის გაშენდა ხეივანი, თბილისის ზღვაზე და ედლიავას ქუჩაზე, სადაც მეფე-პატარძალი ხეებს რგავდნენ თავინთ სახელზე. მექორწინეებს მორთული ეტლი ელოდათ.

მაშინდელ საბჭოთა სივრცეში საქართველო აყვავებულ რესპუბლიკად ითვლებოდა. ყველას უხაროდა ჩვენთან ჩამოსვლა. ქორწინების სასახლეშიც მოჰყავდათ სტუმრები. იმართებოდა ნამდვილი დღესასწაულები, თითქმის სპექტაკლების დონეზე.

იმ ბედნიერ ხანაში ქორწინებების რიცხვი წელიწადში ათიათასამდე აღწევდა. მექორწინე ბევრი იყო და ქორწინების სასახლე ველარ აუდიოდა მომსახურეობას. ამიტომ გაიხსნა კიდევ ორი ფილიალი, ძველ თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩაზე (რომელიც ახლა მოქმედებს) და თელეთში.

1986 წელს თბილისში კიდევ გაიხსნა ახალი ფეშენებალური რიტუალების სასახლე. პირველი ქორწილების ჩასატარებლად იქ მიიწვიეს გამოცდილი სპეციალისტები ნანა შუკაკიძე და ლალი ჟორჟოლიანი. პირველი მექორწინეები იყვნენ თამარ გვერდწითელი, ლია ხორბალაძე, მერაბ სეფაშვილი. რომელთაც ცხოვრების გზა ქალბატონების ნანასა და ლალის გარდა მედეა წივწივაძე და გულნარა მათითაიშვილმა დაულოცეს.

მერე რიტუალების სასახლეში დაუმატეს ახალი საშტატო ერთეულები – სადღესასწაულო მმაჩის განყოფილება. ამიტომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გადმოიყვანეს ციალა ჯოჯუა და ნელი მეტრეველი. ქალბატონები ნანა შუკაკიძე და ლალი ჟორჟოლიანი თავინთ სასახლეში დაბრუნდნენ და იქ აგრძელებდნენ მოღვაწეობას.

1991 წლიდან როგორც ყველგან, ჩვენს რესპუბლიკაშიც დაიწყო ქაოსი და არეულობა. მაშინდელმა უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობამ ქორწინების სასახლე რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციას გადასცა, რომელიც დღეს აღარ არსებობს და არც არავინ იცის, ვინაა მისი პატრონი. ამ შესანიშნავი სასახლის კარები აჭედილია და შენობაც გაპარტახებულია. ჩამოყრილი პანოების ნაწილი ნანა შუკაკიძემ სახლში წაიღო და დღემდე ინახავს მომავლის იმედით...

ამჟამად თბილისის ქორწინების პატარა სასახლე ჩახრუხაძის ქუჩაზეა. შენობა ასი წლისაა და არავის ეგონა მიწისძვრას თუ გაუძლებდა. გადარჩა, მაგრამ კედლები დაბზარულია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს მომავალ თაობას აღარ დაუტოვეს არც ერთი ქორწინების სასახლე. ერთი გაასხვისეს, მეორე გაყიდეს. ადამიანის ცხოვრებაში ხომ ეს დღე ყველაზე ბედნიერი და დაუვიწყარია, რატომ წაართვეს ახალგაზრდა წყვილებს სპეციალურად მათთვის აშენებული მშვენიერი ქორწინების სასახლეები?

ყველაზე უფრო შემაშფოთებელი კიდევ ისაა, რომ ქორწინებების რიცხვმა კატასტროფულად იკლო.. მიმდინარე წელს ქორწინების სასახლეში მხოლოდ 700 წყვილმა იქორწინა. შეიძლება ამას დაემატოს ქალაქის რაიონების მმაჩის ბიუროებში ხელმოწერილები (100-დან 150-მდე), როცა წყვილებს ეკონომიურად უჭირთ და საზეიმოდ არ უნდათ ქორწინების გაფორმება ან მეორედ ქორწინდებიან.

ამჟამად თბილისის ქორწინების სასახლე ორმაგ დაქვემდებარებაშია. ის ეკუთვნის ქალაქის მერიას და იუსტიციის სამინისტროს.

პრობლემები, როგორც მთელ საქართველოში, ამ სასახლეშიც ბლომადაა. პირველ რიგში, ქორწინებების რიცხვის სიმცირე და ფინანსური დაბრკოლებები. ქორწინების სასახლის მაჩის განყოფილებისაგან განსხვავებით სხვა პირებობი ესაჭიროება. დაწყებული ექსტერიერითა და ინტერიერით, საქორწინო ატრიბუტიკით, სიმბოლიკით და იმითაც, თუ ვინ მოძღვრავს ახალგაზრდა ოჯახს.

ახლა ყველაფერი ისეა გამარტივებული, რომ ქორწინების ღერბიანი მოწმობებიც კი არა აქვთ და დროებითი მოწმობებით მუშაობენ (მაშინ, როცა მექორწინეები მხოლოდ 9 ლარს იხდიან, ხომ შეიძლება ეს თანხა მაინც გაიზარდოს). შემოქმედებით და სხვა ღონისძიებებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ქალბატონ ნანას ვთხოვეთ, რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა.

– როგორია თბილისში განქორწინებების რიცხვი, თუ დაინერგა კონტრაქტიანი ქორწინება და თუ მოდიან უცხოელები ქართული ქორწილის სანახავად?

– რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, ბოლო წლებში განქორწინებების რიცხვმა იკლო. რაც შეეხება კონტრაქტიან ქორწინებას, ჯერ ჩვენთან არ დანერგილა, მაგრამ აქტუალური საკითხია ამ წყობისათვის. ქორწინებაში შესვლისას ყველამ თავისი ქონებრივი წილი თავიდანვე უნდა განსაზღვროს, რომ მომავალში შვილებსა და შვილიშვილებს პრობლემები არ შეექმნათ.

– უცხოელები ახლა უფრო ჩამოდიან საქართველოში. მათ აინტერესებთ ჩვენი ყოფა და ტრადიციები. ისინი დადიან მუზეუმებში, ესწრებიან სპექტაკლებს, გამოფენებს და ხშირად გვაკითხავენ ჩვენც. ამას წინათ, იაპონელები იყვნენ, უნდოდათ ქართული ქორწილის გადაღება. დაესწრნენ მშვენიერი წყვილის ქორწილს, გაჰყვნენ ბოლომდე და ფირზე აღბეჭდეს მთელი რიტუალი. ძალიან კმაყოფილები წავიდნენ.

ქალბატონი ნანა შუკაკიძე იურისტია, ქორწინების საქმის დიდი პროფესიონალი. თავისი მოღვაწეობის მანძილზე 150 ათასი წყვილი დააქორწინა. მასთან იქორწინა თითქმის სამმა თაობამ: ბებიამ, შვილმა, შვილიშვილმა...

იმედი იმედია, იქნებ მექორწინეების რიცხვი ისე გაიზარდოს, ამ სასახლის კედლებმა ველარ დაიტიოს...

ოღონდაც!

**ირმა ჩოფიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიმდიდრე არაფერია, თუ სამშობლოში არ

გორგასლის მოედანთან სულ სხვანაირია თბილისი. მტკვარი ქამარივით შემორტყმია ქალაქს, ჩამავალი მზის სხივები ტალღებზე ოქროსფრად ირეკლება. მოპირდაპირე მხარეს ლურჯჩაფხუტიანი მთებია ჩამორიგებული.

— ასეთი სილამაზე ცხოვრებაში არ მინახავს. აქედან არსად წამსვლელი არ ვარ, — ნაწყვეტად მესმის ოცი წლის შემდეგ უცხოეთიდან დაბრუნებული ქალბატონ ლალი შიუკაშვილი-კონლანის ხმა, — ეს ბინა მერვე სართულზე დიდი ხნის ძებნის შემდეგ აღმოვაჩინე. ჩემთვის ბედნიერებაა დარჩენილი ცხოვრება აქ გავატარო და ამ ხედით დავტკბე.

— მაშ, ამერიკის მოქალაქეობაზე უარს ამბობთ?

— არა, მაგრამ... ჩემი სამშობლო ეს არის.

***



● ლალი ვაშინგტონის მართლმადიდებელ ეკლესიასთან

არავინ იცის, ბედის ტრიალი ვის სად წაიყვანს. თორმეტი წლის გოგონა მამასთან მოხვდა მოსკოვში. 1945 წელს იგი სტუდენტთა ოჯახში დაიბადა. მამა — ოთარ შიუკაშვილი, ნიჭიერი მხატვარი, აკადემიის სტუდენტი იყო, დედა — ნანა მამაცაშვილი, მომავალი ფილოლოგი. ათი წლის იყო, ოჯახი რომ გაიყო. უკეთესი სამოღვაწეო ასპარეზის საძებნელად მამა მოსკოვში გაემგზავრა. დედა რედაქციაში მუშაობდა.

ოთარ შიუკაშვილმა მოსკოვში გამოფენა მოაწყო. არაჩვეულებრივმა ნატურმორტებმა, პეიზაჟებმა და პორტრეტებმა მოწონება დაიმსახურეს.

ოთარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვენაში, მხატვართა საერთაშორისო გამოფენაზე გაგზავნილმა ულანოვას პორტრეტმა დიდი პრიზი მიიღო. მას მუშაობის მეტი სტიმული მიეცა. მოსკოვიდან წამოსვლას აღარ აპირებდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ლალი თბილისში ჩამოვიდა. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო განყოფილება დაამთავრა და რუსთავის თეატრის მსახიობი გახდა. არაჩვეულებრივი პლასტიკურობა, სცენიურობა და დახვეწილობა რუსთავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მუშაობისას ძალიან დაეხმარა. საზღვარგარეთ საგასტროლოდ იმოგზაურა.

მას შესაძლებლობა მიეცა ვარშავაში ეცხოვრა. შემდეგ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელმა ვიქტორ ხომერიკმა გაიცნო, პარიზში ფრანგული ენის შემსწავლელ კურსებზე მოწყობა და დაფინანსება შესთავაზა. ერთხანს პარიზში იცხოვრა, მერე კი ბატონი ვიქტორის დახმარებით მიუნხენში მყოფმა კარლო ინასარიძემ „თავისუფლების ხმაში" სამუშაოდ მიიწვია. იქ გამოცდები ჩააბარა და „თავისუფლების ხმის" დიქტორი გახდა. ამასთანავე „ამერიკის ხმის" ანალიტიკურ პროგრამაშიც მონაწილეობდა. მისი ვინაობით მიუნხენში მოქმედი „ამერიკის ხმის" ბიურო დაინტერესდა. ლალიმაც ინტენსიურად დაიწყო ინგლისური ენის შესწავლა. ორწლიანი შემოწმების შემდეგ იგი ვაშინგტონში გამოიძახეს და „ლალი მდივნის" ფსევდონიმით ეთერში გავიდა.

პირველი საპასუხისმგებლო ინტერვიუ ვახტანგ ჟორდანიასაგან აიღო, რომელიც საბჭოთა კავშირის დატოვების შემდეგ ვაშინგტონში პრესკონფერენციაზე მიიწვიეს. სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები და თავად ამერიკელებიც ამ სენსაციის გამო ერთმანეთს კითხვის დასმას არ აცდიდნენ, ლალი კი ჩრდილში იდგა და ფიქრობდა, ჩავფლავდიო. პრესკონფერენციის დამთავრებას წუთებილა აკლდა, რომ ჯიქურ მიიჭრა ვახტანგთან და ქართულად სთხოვა, დამეხმარეო. ვახტანგს სახე გაუბრწყინდა. შთამბეჭდავი ინტერვიუ ლალი მდივანმა ეთერში ქართულ ენაზე გაუშვა.

რადიოსადგურ „ამერიკის ხმაში" ნიჭიერი ამერიკელი ჟურნალისტი ჩარლზ ბეილი მოღვაწეობდა. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. შვიდი წელი ტკბილი ოჯახი ჰქონდათ. განსაკუთრებით უყვარდა სიძეს სიმამრი, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობდა. მართალია, ემიგრანტთა გალერეაში და სხვაგანაც ოთარმა ნახატები გამოფინა, მაგრამ მხატვართა ფართო საზოგადოება არ იცნობდა. ლალიმ და ჩარლზმა ეკონომიკური მხარდაჭერის მიზნით მისი ორი სურათი შეისყიდეს, ხოლო თავიანთი სახლის დიდ დარბაზში მისი სურათები გამოფინეს, ამერიკელი მხატვრები მოიწვიეს, მათ შორის ცნობილი გამოფენების მომწყობი ბობი მურეც, რომელიც ისე აღფრთოვანდა ბატონი ოთარის შემოქმედებით, რომ სხვა ქვეყნებში მოუწყო გამოფენები და პირადი ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია... ლალი მამის გამოფენაზე საკუთარი ფანტაზიით შექმნილ ტანსაცმელში გამოწყობილი შეეგება სტუმრებს და ყველა მოხიბლა. ბატონმა მურემ იგი საუკეთესო დიზაინერად აღიარა და დაეხმარა მოდელების ჩვენება გაემართა.

გადიოდა წლები. ლალის ახალი საინტერესო სამუშაო ელოდა. ვაშინგტონის კერძო დიპლომატიურ სკოლაში რუსული ენის მასწავლებლობა დაიწყო. ახალგაზრდებს რუსული ენის გარდა საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიას, ხელოვნებას, მუსიკას, ლიტერატურას აცნობდა.

თბილისში დატრიალებული 9 აპრილის ამბების შემდეგ მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ საქართველო რუსეთი კი არა, სრულიად განსხვავებული ქვეყანაა მდიდარი ისტორიით, წარსულით, აწმყოთი... მეგობრებმა ვაშინგტონის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლობა შესთავაზეს.

მამა-შვილის სამოღვაწეო ასპარეზი ფართოვდებოდა. მამამ ვაშინგტონის გარეუბანში ბაღში ჩამდგარი ორსართულიანი სახლი შეიძინა, პირველ სართულზე სახელოსნო მოაწყო. იმ წლებში შექმნა „ქალიშვილის პორტრეტი", რომელიც ლალიმ საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ჩამოუტანა.

ლალის სახლი ვაშინგტონში ჩასული ბევრი ქართვე-

# ცხოვრობ



მამის ნამუშევრების გამოფენაზე

ლის თავშესაფრად გადაიქცა. მასპინძელი მათი გამოჩენით ხარობდა, ამდენმა მილებ-გაცილებამ ოჯახის მყუდროება დაარღვია. ამერიკელი ქმრისათვის უცხო იყო ქართველების გადაჭარბებული ემოციები. ამას ეჭვიანობაც დაემატა. ოჯახი დაინგრა. ლალი კვლავ მარტო დარჩა, „ამერიკის ხმას" ჩამოშორდა და როგორც ჟურნალისტი „დეილი ვაშინგტონში" და იქაურ რუსულ პრესაში თანამშრომლობდა, მასწავლებლობასაც აგრძელებდა. ჟურნალისტთა ერთ-ერთ შეხვედრაზე ყოფილმა კონგრესმენმა ჯონი კონლანმა ასაკით მასზე უფროსმა, მაღალ წრეებში მიღებულმა ორი ვაჟის მამამ ოჯახის შექმნა შესთავაზა. ლალისაც წლები ემატებოდა. უცხო ქვეყანაში მარტოობა ძნელი ასატანი ხდებოდა და ამ წინადადებას დაეთანხმა. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო. მაღალ საზოგადოებაში



ლალი რუსთავის ანსამბლის სოლისტი

დადიოდნენ, სტუმრებს იწვევდნენ. საქართველოშიც ჩამოდიოდნენ. ცოლმა ქართველი საზოგადოება გააცნო. ამერიკელმა მეუღლემ ბიზნესის წამოწყება დააპირა, მაგრამ... სამწუხაროდ ეს ოჯახიც დაინგრა.

და დაიწყო ფიქრი სამშობლოში დაბრუნებაზე. ყველაფერი გამოსცადა, ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა. ამერიკაში მეგობრები გაიჩინა. კავშირები დაამყარა... მაგრამ სამშობლოში უფრო უშიშრად, მკვიდრად იგრძნობდა თავს, უცნობიც კი მისიანი იქნებოდა. გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. ვაშინგტონში მამის საფლავი აჩერებდა. (რამდენიმე წლის წინ ოთარ შიუკაშვილი გარდაიცვალა). მერე დედის საფლავიც გაითხარა იმავე ვაშინგტონში (გზები რომ გაიხსნა, ლალიმ დედა თავისთან წაიყვანა ამერიკაში).

20 წლის შემდეგ ქართველი ემიგრანტი სამშობლოში დაბრუნდა.

— რატომ დავბრუნდი? — პასუხობს იგი ნაცნობ-მეგობრებს, — დავრწმუნდი, რომ კარგი სახლი, მანქანა, სიმდიდრე არაფერია, თუ სამშობლოში არ ცხოვრობ. დღეს აქ რაც ხდება, გასაკვირი არაა. სანამ მიზანს მიაღწევდა, ასეთი გზა ბევრმა ქვეყანამ გამოიარა. მეც მინდა ერთი აგური დავდო ახალი ქვეყნის მშენებლობაში. როგორც ჟურნალისტს, ჩემს ძირითად პრინციპად მაქსიმალური პასუხისმგებლობა მიმაჩნია.

და ამ პასუხისმგებლობით აგრძელებს მუშაობას. უცხოეთის ელჩების ცოლებთან ერთად ქალთა საერთაშორისო საზოგადოებაში საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა.

ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ ქალბატონები. რაც მთავარია, ადამიანებს ჯანმრთელობას, სიცოცხლის ხალისს უბრუნებენ. დავრდომილ ქალებსა და ბავშვებზე განსაკუთრებით ზრუნავენ, რომელთაც უცხოელი ექიმები ოპერაციებს უსასყიდლოდ უკეთებენ. ქალთა ორგანიზაციას ევროკავშირის წარმომადგენელი ბატონი ჰოლცი შეფობს. მისი მეუღლე ქალბატონი ჯუდი დიდი გულისხმიერებით გამოირჩევა. მაგალითისათვის მარტო პატარა დათოზე გაწეული მზრუნველობა კმარა, რომელსაც ურთულესი ოპერაცია უცხოელმა ექიმმა გაუკეთა და ბავშვი ხელმეორედ დაიბადა.

სულ ახლახან ლალის ბინაში ზარი გაისმა. მას ტეხასის შტატში ერთი წლით ჯარისკაცებისათვის ქართული ენის მასწავლებლად იწვევდნენ. გაეხარდა, ამერიკასთან, ახალგაზრდობის წლებთან შეხვედრა. წავიდა, რომ კვლავ დაბრუნდეს. წავიდა და თან ქართული მიწის ძახილი გაჰყვა.

ლია კაკაბაძე

# ჩვევები

## ლამაზად რომ გამოიყურებოდეთ

მიაქციეთ ყურადღება თქვენს გარეგნობას. იცვებეთ დიეტოლოგების რჩევით. შეზღუდეთ მაღალკალორიული პროდუქტები — ტკბილეული, შაქარი, კარაქი, მსუქანი ხორცი, ძეხვი, ქონი. მიიღეთ მცირეკალორიული საკვები, ხილი, ბოსტნეული.

მოერიდეთ პურ-მარილებს, მრავალფეროვან სუფრებს; გამოუვალ შემთხვევაში მანამდე ან მერე გააკეთეთ განტვირთვის დღე.

წონაში დასაკლებად იხმარეთ მოლურჯო თეფში. დიეტოლოგები და ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ თეფშის ფერი მაძაზე მოქმედებს. თბილი ფერები — ყვითელი, წითელი, ღია ყავისფერი, ნარინჯისფერი სტიმულს აძლევს გრძნობის ორგანოებს და ნერვულ სისტემას, აძლიერებს შიმშილის გრძნობას. თეთრი ფერი ნეიტრალურია, ჭამის დიდ სურვილს არ იწვევს. ღია ყვითელი, ვარდისფერი, ღია მწვანე, ნაცრისფერი, მუქი ყავისფერი მადის დამკარგავია.

მოერიდეთ ხალხმრავალ წვეულებებს. ჯორჯიას შტატის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მაგიდასთან მსხდომი ხალხის სიმრავლე მადას აცხოველებს.

ლამაზი ჯანსაღი კანი რომ გქონდეთ, აუცილებელია დღეში 2-3 ლიტრი სითხის მიღება.

დამტკიცებულია, რომ სილამაზე კუჭის მოქმედებაზეა დამოკიდებული. ხილის, ბოსტნეულის, რძის ნაწარმის რეგულარული მიღება ამ საქმეს მოგიგვარებთ.

ხშირად გაიცინეთ. ესპანელი ფსიქოლოგების შეხედულებით ერთწუთიანი სიცილი იოგების ვარჯიშის მთელ კომპლექსს უდრის. ამ დროს კუჭნაწლავი და ღვიძლი ინტენსიურ მუშაობას იწყებს, რაც საჭმლის შეთვისებას ეხმარება.

კანის ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვიტამინ A-ს (სილამაზის ვიტამინს). იგი შედის ღვიძლში, ხორცში, თევზში, რძის პროდუქტებში, კვერცხში.

ფრანგი კოსმეტოლოგების აზრით, კარგი კანის შესანარჩუნებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ორთქლზე მომზადებულ საჭმელს.

ნუ მიეძალებით მაგარ ჩაისა და ყავას. მათში შემავალი ნივთიერებები ხელს უწყობს სისხლძარღვების სპაზმს და აუარესებს სისხლით მომარაგებას. ამავე მიზეზის გამო არაა სასურველი ალკოჰოლის მიღება.

„ზდოროვიე"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავლის ძვირფასი სახლი



„ძველი უბნის მელოდიები" (მასალა ვიდეოკლიპისათვის)

Aხალს რას ვიტყვით: ამ ბოლო ათწლეულში, ვით ნანვიმარზე სოკოები, ისე მომრავლდა უმაღლესი სასწავლებლები ამ ჩვენს უცნაურ ქვეყანაში, და რომ, ქართველთა დიდი სიყვარული ე.წ. დიპლომისადმი თვით მკაცრმა და დაურიდებელმა საბაზრო ეკონომიკამაც არ გაანელა... მართლაც რომ სატირალ-სასაცილოა — ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილი უშურველად იხდის წვალებით მოკოწიწებულ ფულს, ოღონდაც მისმა შვილმა იოლად ისწავლოს ან... სულაც არ ისწავლოს. აბა ამაზე მეტი პარადოქსი რა უნდა იყოს, და... გვიმრავლდება უწიგნურთა, უკეთეს შემთხვევაში — ზერელედ „განსწავლულთა" არცთუ მცირე ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა. ეს კი დიდი სატკივარსაფიქრალია ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის.

მაშ, საშველი სად არის? და ამის სამაგალითოდ მინდა ერთი ახალდაარსებულ უმაღლეს სასწავლებელზე მოგითხროთ, სადაც არა მარტო მისი გარეგნული იერსახე გაგრძნობინებთ, რომ ეს არის ღირსეულთა საკრებულო, არამედ ის სასწავლო პროცესიც, რომელიც ამ უმაღლეს სკოლაში საშური ინტენსიურობით მიმდინარეობს: სადაც — აქ ცნობილ ფილოლოგს ბატონ რეზო ბარამიძეს დავესესხები — ზრდიან ეროვნული ცნობიერებით დამუხტულ ახალგაზრდებს, რომლებიც მალე ღირსეულ მოქალაქეებად მოგვევლინებიან.

ეს სასწავლებელი გახლავთ თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც 1992 წელს დაფუძნდა, სწორედ მაშინ, როცა ქვეყანაში ქაოსი, ნგრევა და განუკითხაობა სუფევდა. მისი დამფუძნებელი გახლავთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჟღენტი. კაცი, რომელიც სადაც კი მუშაობდა (იყო თბილისის მოსწავლეთა სასახლის დირექტორი თუ რუსთაველის თეატრის დირექტორი), ყველგან მუშაობის სიხალისე და საქმისადმი უანგარო დამოკიდებულება შეჰქონდა. ბატონმა თემურმა შეძლო, გარს ისეთი თანამოაზრენი შემოეკრიბა, როგორებიც არიან: ანზორ ერქომაიშვილი, თენგიზ სუხიშვილი, ბიძინა კვერნაძე, გომარ სიხარულიძე, რევაზ ბარამიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ნოდარ ლომოური, გივი ყანდარელი, კუკური ჭოხონელიძე და დაეწყო ახლის შენება, ეს მაშინ, როცა ირგვლივ ყველაფერი იქცეოდა.

და აი, თითქმის არაფრისაგან აღიმართა ახალი სასწავლებელი ალმაშენებლის გამზირის დასაწყისში. თითქმის დანგრეული შენობა რეკონსტრუქციისა და გულიანი რემონტის შედეგად მშვენიერ ინსტიტუტად გადაიქცა. აქვს უზარმაზარი შესასვლელი დარბაზი თავისი უზადო აკუსტიკით, სადაც მუდმივად სამხატვრო გამოფენები იმართება და მუსიკოსებიც მეცადინეობენ, დიდი მშვენიერი კლუბი, ცნობილი მხატვრის თემო გოცაძის მიერ მოხატული, სახელოსნოები, სასწავლო კაბინეტები, აუდიტორიები... ირგვლივ ყველაფერი გამუდმებით ბუბუნებს - აქ დილიდან გვიან ღამემდე სასწავლო პროცესი სიცოცხლითა და ხალისით მიედინება.

პირველი აბიტურიენტები 1993 წელს მიიღეს, ამჟამად კი დღისა და დაუსწრებელი სწავლების 500-მდე სტუდენტი სწავლობს, ხოლო მათ აღზრდას და პროფესიულ დაოსტატებას 150-მდე პროფესორ-მასწავლებელი ემსახურება. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ინსტიტუტში ფუნქციონირებს ორი ფაკულტეტი: კულტურისა და ხელოვნების; შვიდი კათედრა: კულტუროლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა, უცხო ენების, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ქორეოგრაფიული ხელოვნების. შექმნილია ფოლკლორის კომპლექსური კვლევის სამეცნიერო ცენტრი, ქართული კულტურის ისტორიისა და თეორიის კვლევის ლაბორატორია, შემოქმედებითი ნიჭიერების კვლევის სექტორი.

1999 წლიდან გაიხსნა ასპირანტურა კულტუროლოგიის, ლიტერატურის, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობებით.

კულტურის ფაკულტეტზე შემდეგი სპეციალობებია: კულტუროლოგია (კულტურის ისტორია და თეორია), საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები, ლიტერატურული დაოსტატება, წიგნთმცოდნეობა, ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფია; ხელოვნებათმცოდნე-იმპრესარიო; ხელოვნებათმცოდნე-ექსპერტი, ხელოვნებათმცოდნე-ჟურნალისტი, ქორეოლოგია (ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია და თეორია); მოდათმცოდნეობა; საერთაშორისო კულტურული ტურიზმი; კინოსა და თეატრის ისტორია (თეატრმცოდნე, კინომცოდნე), ინგლისური ენა და ლიტერატურა.

ხელოვნების ფაკულტეტზე კი სტუდენტები ეუფლებიან სპეციალობებს: ხალხური გუნდის ლოტბარი — საეკლესიო გუნდის მგალობელ-რეგენტი; ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი; კლასიკური და სახასიათო ცეკვის პედაგოგ-ქორეოგრაფი; საეკლესიო მხატვრობა; ხალხური რეწვა; მასობრივ სანახაობათა მხატვრული გაფორმება; ეთნოპლასტიკა; მხატვრული და სარეკლამო ფოტოგრაფია; საესტრადო სიმღერა. ამ ფაკულტეტზე სწავლება სახელოსნოების სახით მიმდინარეობს, ე.წ. ოსტატ-შეგირდის პრინციპით.

ბოდიშს მოვიხდი ასეთი მშრალი ჩამონათვალის გამო, მაგრამ სხვაგვარად ვერ შევძელი, ვფიქრობ, ამ ჩამონათვალში ნათლად ჩანს ის ახალი, ცოტა უჩვეულოც კი, სპეციალობები, რაც აგრერიგად სჭირდება ჩვენს ახალ რელსებზე გადართულ კულტურულ ცხოვრებას.

სპეციალობები ერთია, სწავლების ხარისხი — მეორე.

ოსტატ-შეგირდის ფორმა ვახსენეთ... მაგალითისთვის ერთ სახელოსნოზე შევჩერდეთ, რომელიც სანახაობითი მხატვრული გაფორმების სპეციალისტებს ამზადებს. კურსდამთავრებულები ქართულ შოუ-ინდუსტრიას მოემსახურებიან.

ოო, ეს შოუ-ბიზნესი, ჯერაც კარგად ვერდამკვიდრებული, მაგრამ უკვე მომაბეზრებელი, რადგანაც აქ დილეტანტებისა და შემთხვევითი ხალხის სრული ასპარეზია.

ხომ სჭირდება ამ საქმეს დალაგება-დაწმენდა? — ამბობს სახელოსნოს ხელმძღვანელი ცნობილი მხატვარი და პედაგოგი თეიმურაზ თურმანიძე, - ჩვენთან სტუდენტი ეუფლება სცენოგრაფიისა და დეკორის, კოსტუმისა და აქსესუარების; ნიღბის მოცულობითი ფორმების, პროგრამული ლაზერციფრული განათების ხელოვნებას, და არ შემეშინდება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი სტუდენტები მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხდებიან. ამას მოწმობს მათ მიერ შესრულებული კომპლექსური სადიპლომო შრომა „ბერიკაობა", რომელმაც საყოველთაო აღტაცება დაიმსახურა. იგი წარმოდგენილი იყო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

სხვათაშორის, ყოველი წლის მაისის თვეში ამ თეატრში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტიტუტის მხატვრული შემოქმედების საანგარიშო კონცერტები იმართება. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“, რომელსაც უჩა დვალიშვილი — ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრის გამგე — ხელმძღვანელობს. სწორედ თავისი შეგირდების დახმარებით დადგა ბატონმა უჩამ ცეკვა-სპექტაკლი „რაჭული“...

აქაური სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ გამოფენებში, კონკურსებში, დათვალიერებებში და ხშირად გამარჯვებულები გამოდიან.

აქვთ უზარმაზარი ბიბლიოთეკა მშვენიერი სამკითხველო დარბაზით, რომელიც ყოველთვის სავსეა სტუდენტებით.

ყოველწლიურად იმართება როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ასევე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, აქაური სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკურ კონფერენციებშიც წარმატებით მონაწილეობენ.

ინსტიტუტში შექმნილია დარგობრივი კვლევების საერთაშორისო ცენტრი „ქართული ინტელექტი“, რომელიც გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს „ახალი პარადიგმები“. მისი სასტამბო გამოცემა უცხოეთში ვრცელდება, ხოლო ელექტრონულ-ინტერნეტის ქსელით. გამოსცემენ აგრეთვე ფოლკლორისტთა ჟურნალს „ხელხვავს“.

აქვთ სასწავლო თეატრი და უკვე აქაურ სტუდენტურ სპექტაკლებს თავისი მუდმივი მაყურებელი ჰყავს...

ათი წელია, რაც დაარსდა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი და ამ მცირე დროში უკვე მოასწრო მხარი გაესწორებინა ძირძველი და პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

და რაც მთავარია, ამ სასწავლებელში, იზრდებიან არა მხოლოდ პროფესიონალები თავისი საქმისა, არამედ პატრიოტებიც, რამეთუ საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული საქართველოს ისტორიაზე, ქართული ლიტერატურის, ქართული ხელოვნების, როგორც მსოფლიო კულტურის ღირსეული ნაწილების შესწავლაზე.

აქ გემოვნებიანი ახალგაზრდები იზრდებიან, რომლებმაც იციან ფასი კარგი ლექსისა თუ კარგი სიმღერის.

და აქ ისეთი ღირსეული ადამიანები მოღვაწეობენ, რომელთა პირადი მაგალითიც ყველაზე დიდი თვალსაჩინოებაა, პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეს მომავალი პროფესიონალი.

ერთი სიტყვით, კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში დუღს და გადმოდუღს სწავლა და სწავლება. მთელი შენობა ბუბუნებს-მეთქი, კიდეც დავწერე მგონი.

მომავლის ძვირფასი სახლი, — ასე უწოდა მას მწერალმა ზაურ კალანდიამ და სათაურისთვისაც ამაზე კარგი რა უნდა მომეფიქრებინა.

**მანანა ზარიძე**

ფოტოები იხ. ჟურნალის I და IV გარეკანზე

●ვარსკვლავთცვენა●

# გააჩერეთ დედამიწა, გურამი ჩავიდა!

საიდან მოდის ნიჭი? როგორ არჩევს უფალი მას, ვისაც ნიჭს უბოძებს ხოლმე და თუ უბოძებს, რისთვის?

იდუმალია და ამოუცნობი ყოველივე, როგორც სამყარო.

ხილული მხოლოდ ის არის, რომ 1980 წლის შემოდგომის ოქროსფერ დღეს, 13 ოქტომბერს, ხაშურში დაიბადა პატარა ბიჭი გურამ მათიაშვილი. და თუმცა პატარაობიდანვე მრავალმხრივ ინტერესს ამჟღავნებდა ყველაფრის მიმართ, უყვარდა მუსიკა, პოეზია, სპორტი, მაგრამ სანამ ფუნჯი არ აიღო ხელში და პირველი მონასმები არ გააკეთა ქაღალდზე, ვერავინ იფიქრებდა, თუ დიდი ნიჭით იყო ცხებული.

მაგრამ უფლის ნებით ბიჭმა ფუნჯი აიღო და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.



ბრძოლა



გურამ მათიაშვილის ნახატები

„მქონდა ბედნიერება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ხატვის წრეში მესწავლებინა ისეთი ნიჭიერი და არაორდინარულად მოაზროვნე ბავშვისათვის, როგორიც გახლავთ გურამ მათიაშვილი. ყოველთვის კმაყოფილებით აღვიქვამდი მის საოცრად განსხვავებულ აზროვნებას ხატვის პროცესში. იგი თავის სულიერი სამყაროს პრიზმაში გარდატეხდა ნებისმიერ თემას, რომელსაც კი ვთავაზობდი სწავლის პროცესში. მას აქვს საოცრად მდიდარი ფანტაზია, სახეებით აზროვნების უნარი. შეუძლია უბრალო და ჩვეულებრივ საგანში დაინახოს მნიშვნელოვანი და შემდეგ მშვენიერ მხატვრულ ქმნილებად აქციოს ის. საოცრად ორიგინალური განწყობის პიროვნებაა, რაც ასე დამახასიათებელია ნამდვილი შემოქმედისათვის. უდავოდ დიდი მომავალი აქვს, როგორც მხატვარს“. ასე ახასიათებდა გურამს მისი ხატვის მასწავლებელი, მხატვარი ალიკო ღონღაძე. მერვე კლასის მოსწავლემ წარმატებით მიიღო მონაწილეობა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ გამოფენა-კონკურსში „გადავარჩინოთ გარემო“. მისი გამოფენები მოეწყო ხაშურსა და თბილისში.

ბიჭი ზღვაზე ოცნებობდა (ალბათ ხმელეთი ეცოტავებოდა) და ჩაირიცხა კიდეც ბათუმის საზღვაო აკადემიაში. ჯერ ყველაფერი წინ იყო...

და მაშინ „გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ!“ ითამაშა ბიჭმა ამ სპექტაკლში, თურმე ის საბედისწერო სიტყვები მართლაც მისი სათქმელი იყო.

დედამიწა გაჩერდა. გურამი ჩავიდა.

ჩვენგან წავიდა, მაგრამ ვინ იტყვის, სად?

დაგვრჩა მისი ნახატები. რთული, საინტერესო, განუმეორებელი, შეუცნობელი სამყარო.

„უცნაური იყავი ბავშვობიდან, ჩემზე და ყველაზე უცნაური. სხვანაირად გესმოდა, სხვანაირად ხსნიდი. ვერ ეტეოდი შენს თავში, შენს სხეულში. მერე ხმელეთზეც ვერ დაეტიე, ზღვისკენ გასწიე, დაბრუნდი, მაგრამ დროებით... შენ ხატავდი იდუმალებას, ხატავდი სიცოცხლეს, ადამიანს, ჩვენ არ გვესმოდა. ითამაშე სპექტაკლში „გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარ!“ შენ ემზადებოდი ამისთვის და აი, გააჩერე დედამიწა, ჩახვედი“. — წერდა გურამის თანაკლასელი სოფიო ედიბერიძე.

ხაშურელებმა სიყვარულით გააკეთეს ის პატარა წიგნი, რომელიც გურამის რამდენიმე ნახატს და მისი ცხოვრების პატარა ბიოგრაფიას მოიცავს. მოსწავლეთა სასახლის დირექტორის თინა კოშკაძის ბოლოთქმის, მისი მასწავლებლებისა და ამხანაგების გულისტკივილის გამომხატველი წერილებითა და გამონათქვამებით.

გურამი კვლავ ჩვენთანაა, ოღონდ სხვა განზომილებაში. მას ხომ ჩვეულებრივი არაფერი უყვარდა.

**მზია მაღალდაძე**

# ცხრა მაისს ომი არ



სერგო ფანგანი შვილიშვილთან

ადამიანი რომ იბადება, ბედი თან დაჰყვებაო, ამბობენ. ვინ იცის... იქნებ ასეც არის, თუმცა სერგო ფანგანი fk,fs მართლა ქუდბედიანი იყო. იგი გმირად არ დაბადებულა, გმირად ომში იქცა. ვაჟკაცური სული კი თავიდანვე ეტყობოდა. ომის ქარ-ცეცხლსა და ათასგვარ ფათერაკს გადარჩენილმა ბერლინში იზეიმა ფაშისტებზე გამარჯვება, მაგრამ ომი მისთვის ცხრა მაისს არ დამთავრებულა, ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა...

სანამ ავბედითი 1941 წლის 21 ივნისი გათენდებოდა, ფანგანების ოჯახი რომელიც მესტიის რაიონში ერთ-ერთ ყველაზე საპატივცემულო ოჯახად ითვლებოდა, ჩვეული რიტმით ცხოვრობდა. ოჯახის თავკაცი ნესტორ ფანგანი იყო, რომელსაც მართალია, რამდენიმე კლასის განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ წიგნის სიყვარულის, გამჭრიახობისა და შინაგანი კულტურის წყალობით მის სიტყვას განსაკუთრებული ფასი ჰქონდა. მის გარეშე არც ერთი საკითხი არ გადაწყდებოდა სოფლად. ამიტომაც აირჩიეს იფარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ. მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი იყო. ოთხი შვილი ჰყავდა – ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მის ჭერქვეშ კიდევ რამდენიმე ახლო ნათესავიც ცხოვრობდა. საღამოს პირას ნესტორი მთავარსარდალივით გაუნაწილებდა ოჯახის წევრებს სამუშაოს. მოსწონდა თუ არა დავალებული საქმე, სიტყვის შებრუნებას ვერავინ გაბედავდა.

მამას სერგოსთან განსაკუთრებული გრძნობა აკავშირებდა, უფრო სულიერი კავშირი რომ ეთქმის.

– მამა ხშირად ამბობდა, – იხსენებს ბ-ნი სერგოს ქალიშვილი სვეტა ფანგანი, – როცა საშიშროება მელოდება, მამაჩემი მეხმარებაო. ერთხელ დაღლილს ტყეში ჩასძინებოდა და სახლი დასიზმრებია. უცებ ფანჯარა გაღებულა, იქიდან ბაბუაჩემს გამოუხედავს და უყვირია: რას შვრები, სერგო, ჩქარა გაიღვიძეო... მამას მაშინვე გაღვიძებია და პირისპირ თვალებანთებული მგელი დაუნახავს. რომელიც, ის-ის იყო, თავს უნდა დასხმოდა მძინარეს...

...სერგო პატარაობიდანვე ცხენისა და იარაღის მოყვარული ყოფილა. მამამ ურჩია სამხედრო სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა. სერგომაც სიამოვნებით მიიღო მისი რჩევა.

სერგო ფანგანი მამის ალიკვალი იყო. მასავით უშიშარი, სხვათა გვერდში მდგომი. ერთხელ სასწავლებლის კურსანტები ციხეში სამორიგეოდ წაუყვანიათ. სერგოს უთხრეს, ამა და ამ საკანში ვიღაც სვანი ზისო. ჭაბუკი მაშინვე მის სანახავად წასულა...

1937 წელი იდგა. ქვეყანაში რეპრესიები ასიათასობით ადამიანს სპობდა. ახალგაზრდა კურსანტს პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებული პროფესორი გაბლიანი შერჩა ხელთ, მამა გივი გაბლიანისა, რომელიც მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის დროს თავის ასეულთან ერთად გერმანელების მხარეზე გადავიდა... პატიმარს თბილი წინდები უთხოვია. იმ ხანად რეპრესირებულის ოჯახში მისვლა საკუთარი სიცოცხლის სასწორზე შეგდების ტოლფასი იყო. სერგო არც დაფიქრებულა, ისე მივიდა გაბლიანების შერისხულ ოჯახში და პატიმარს თბილი წინდები მიუტანა. ერთ თხოვნას მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე, რაც ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ერთმა კურსანტმა სერგო გააფრთხილა კიდეც. შენ გგონია ვერ ხედავენ რასაც აკეთებო.

მე საკუთეს ვაკეთებ და ეს სხვისთვის მაგალითი უნდა იყოსო, – ამაყად უპასუხია ჭაბუკს, რომლისთვისაც შიშის გრძნობა უცხო იყო.

პროფესორი გაბლიანი ცოტა ხანში დახვრიტეს...

საბედნიეროდ, რეპრესიები ნელ-ნელა ჩაცხრა. ცეცხლი მინავლდა, თითქოს ამოისუნთქა ქვეყანამ. მაგრამ ხალხი ჯერ გამოფხიზლებული არც იყო კოშმარული რეალობისაგან, რომ ბოროტებამ სხვა სახით იფეთქა.

ომმა სერგო ფანგანს მონღოლეთში მოუსწრო. აქ ისევ ქ-ნ სვეტას მოგონებებს მივიშველიებ:

– მამა ომში რომ წავიდა, ოჯახში ნამდვილი ტრაგედია იყო. ბებო გამუდმებით ტიროდა, ბაბუა ნესტორი კი გულში იკლავდა დარდს. ფანგანებს საგვარეულო ეკლესია ჰქონდათ, ადგილობრივი ფერმწერების მიერ მოხატული და მაინც, ბაბუა დიდი მორწმუნე არ ყოფილა. ერთხელ შუაღამისას თურმე ჭრაქი აანთო და ბოსლისკენ გაიქცა. შეშინებული ოჯახის წევრები უკან დადევნებიან. ახალდაბადებული კუპრივით შავი ბოჩოლა გულდასმით დაათვალიერა და მადლობა ღმერთსო, შესძახა. თურმე სიზმარში ვიღაცას უთქვამს, თუ ხბოს მარჯვენა ბეჭზე პატარა მთვარე ექნება, შენი შვილი ცოცხალი დაბრუნდებაო.



ოჯახი

**– ამის შემდეგ თუ იწამა ღმერთი?**

– ბაბუა ავად რომ გახდა, სვანეთში დიდი თოვლი იყო, გზები ჩაიკეტა და საავადმყოფოში ვერ გადაიყვანეს. სამ დღე-ღამეს ებრძოდა სიკვდილს და ერთი საყვედური და კვნესა არ დასცდენია. როცა აღსასრულის წუთები მოახლოვდა, ღვინით სავსე ჭიქა ითხოვა. ყველა დალოცა და ოჯახის წევრებს ანდერძად თუ გაფრთხილებად დაგვიტოვა: – იცოდეთ, ღმერთი ნამდვილად არსებობს, იწამეთ და ხშირად ილოცეთ როგორც ცოცხლებისათვის, ასევე მიცვალებულებისთვისო.

ერთხელ ბაბუას სახელზე სანთელი დავანთე. იმ ღამესვე დამესიზმრა, დიდი მადლობა გადამიხადა. დღესაც თუ ვინმე ავად გახდება, ან რაიმე უსიამოვნება გველოდება, ბაბუა გვესიზმრება, გვარიგებს, გვაფრთხილებს და გვიცავს განსაცდელისაგან...

ომის დაწყებისას სერგო ფანგანს მონღოლეთში ახალგაზრდა მეუღლე და პატარა ქალიშვილი დარჩა.

– ეს იყო უმძიმესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, – იხსენებს ქ-ნი თინა, – მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, სვეტა კი – თვეების. სერგომ ჩვენი გამომგზავრება ვერ მოასწრო საქართველოში. მაშინვე წინა ხაზზე გააგზავნეს. ფრონტზე ჩვენი დარდი გაჰყვა თან. ერთ ჩემოდანში ჩავაწყვე მთელი ავლადიდება, ბავშვი გულში ჩავიხუტე და ღმერთის იმედად შორეულ გზას დავადექი. ხან მატარებლით ვმგზავრობდით, ხან – სატვირთო მანქანით, ხშირად ფეხით გავდიოდი კილომეტრებს. კასპიის ზღვა გემით უნდა გადაგველახა. უამრავი ხალხი ირეოდა ნავსადგურში. ყველა გემისაკენ მიიწევდა. რის ვაი-ვაგლახით გავარღვიე ხალხის ტალღა, ის იყო გემბანზე უნდა დამედგა ფეხი, რომ ვიღაც მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამთავრებულა...



ცოლ-შვილთან





ვაჟიშვილთან

ძალით დამეჯახა, ჩემოდანი ზღვაში ჩამივარდა, ბავშვიც უნდა გამსხლტომოდა ხელიდან, რომ ვიღაც მადლიანმა ხელი შემაშველა. ახლაც მიკვირს, როგორ ჩამოვაღწიეთ ცოცხლებმა.

თბილისში ახლობლებმა სუფრა რომ გაგვიშალეს, ისე ვიყავი შიმშილისაგან დასუსტებული, პურის დანახვაზე ტირილი დავიწყე. ნახევარი ნაჭერი ძლივს შევჭამე.

ცოტა ხანში ძალა მოვიკრიბეთ და სვანეთს მივაშურეთ მე და ჩემმა პატარამ.

**– თქვენც სვანეთიდან ხართ?**

– მე და სერგო ერთ სოფელში დავიბადეთ და გავიზარდეთ. მამის მხრიდან ყველა სასულიერო პირი იყო. ბაბუა ვლადიმერს, რომელიც მღვდელი იყო, კარგი სამსახურისათვის რუსეთის პატრიარქმა ბიბლია გამოუგზავნა წარწერით. სხვათა შორის, ბაბუა 110 წლისა იყო, რომ გარდაიცვალა. მამამ წინაპრების გზას გადაუხვია და ინჟინერი გახდა. ექვსი წლის ვიყავი, რომ დაიღუპა – ზვავში მოჰყვა.

კორძაიებს საგვარეულო ეკლესია გვქონდა. ზაფხულობით ბებია გაალებდა ეკლესიას და მზეზე გამოიტანდა წიგნებს, ხელნაწერებს. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თითოეულ ნივთს.

საოცარი ქალი იყო ბებია. არაჩვეულებრივად იცოდა თითოეული მცენარის სამკურნალო თვისებები. რამდენი ადამიანი გადაურჩენია განგრენის გამო ფეხის მოჭრას. მასტიტებზე და სხვადასხვა ჭრილობების მორჩენაზე უკვე აღარაფერს ვამბობ... სამწუხაროდ, მისგან ეს ხელობა არავის უსწავლია, რადგან მაშინ ხალხურ მედიცინას ექიმბაშობას ეძახდნენ და ჩამორჩენილობად მიაჩნდათ.

... სერგო თინაზე ათი წლით იყო უფროსი და რომ იტყვიან, ზედ არ უყურებდა. ერთხელაც, თბილისიდან დაბრუნებულმა ჭაბუკმა მშვენიერ შავთვალწარბა გოგონას მოჰკრა თვალი, რომელიც დანახვისთანავე გულში ჩაუვარდა. ეკითხა, ვინ არისო. ვერ იცანიო, გასცინებიათ შინაურებს. ვაჟს ბევრი არ უფიქრია და კორძაიებს თინას ხელი სთხოვა. სიყვარულით შექმნილ ოჯახს ისევ სიყვარული იცავდა უამრავი განსაცდელისაგან და ფათერაკისაგან.

– ექვსი თვე სერგოსგან წერილი არ მიმეღო, არ ვიცოდი, რა მეფიქრა... ბოლოს როგორც იქნა მისი ბარათი მივიღე, მაშინ ჩამესახა იმედი, რომ აუცილებლად ცოცხალი დამიბრუნდებოდა. სმოლენსკში პირველად სერგოს დივიზია შევიდა. ერთი კვირის მანძილზე იცავდნენ პოზიციებს, გმირულად იგერიებდნენ მტრის შემოტევებს. ერთი კვირის შემდეგ დამხმარე ძალაც გამოჩნდა. მაშინ დააჯილდოვეს სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით.

– მამას „სიბირიაკების" დივიზია ჩააბარეს, კავკასიელი თუ მოუვლის მაგათო, – საუბარში ჩაერია ქ-ნი სვეტა, – ხშირად იხსენებდა მათი გმირობის ამბებს, თურმე სასწაულებს ახდენდნენ ბრძოლის ველზე.

ქართველებიც ჰყოლია დივიზიაში და რითაც შეეძლო, ეხმარებოდა. ერთი თელაველი ბიჭი თურმე სულ სანგარში იყო ჩამძვრალი და შიშისაგან ცხარე ცრემლით ტიროდა. მისი ამბავი მამას რომ გაუგია, შტაბში დაუბარებია. ბიჭის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, პოლკოვნიკს ქართულად რომ უკითხავს, სადაური ხარო. მამას სამზარეულოში გაუგზავნია სამუშაოდ, შემდეგ კი მსუბუქად დაჭრილი სახლში დაუბრუნებია.

ომი კარგა ხნის დამთავრებული იყო, მოგვძებნა და პურმარილით დატვირთული გვესტუმრა. მამამ ძლივს გაიხსენა, რაც მე ქართველებისათვის სიკეთე გამიკეთებია, იმას რა დამამახსოვრებსო, ელიმებოდა.

მახსოვს, როგორ განიცდიდა იმას, რომ ომმა უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. გული მიკვდებოდა, ბრძოლის ველზე დაღუპულ ახალგაზრდას რომ წავაწყდებოდიო, ხშირად ამბობდა დანანებით.

... სიკვდილი კი ფეხდაფეხ დასდევდა მამაც პოლკოვნიკს. პირისპირ რომ ვერაფერი დააკლო, ზურგსუკან ვერაგულად დაუწყო ჩასაფრება.

სმოლენსკის აღების შემდეგ ტყეში საცოდავად მოკუნტული ჯარისკაცი შემოხვდა. დაჭრილი ხომ არ ხარო, უკითხავს. საბჭოთა მეომრის ტანსაცმელში გადაცმული გერმანელი აღმოჩნდა. ძლივს აიცდინა ნასროლი ტყვია სერგო ფანგანმა.

ომის შემდეგ ქართველი პოლკოვნიკი ბერლინის ერთ-ერთი რაიონის კომენდანტად დანიშნეს. ორჯერ ესროლეს გერმანელებმა და ორჯერვე სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. შემდეგ მოსამსახურე ქალი მოისყიდეს და მოსაკლავად მიუგზავნეს. ბედისწერამ ისევ დაინდო. ან იქნებ იმ სიკეთის მადლმა გადაარჩინა, მთელი ცხოვრება რომ უშურველად თესავდა.

– მამა განურჩევლად ეხმარებოდა ყველას, – ამბობს ქ-ნი სვეტა. – ჯარისკაცებს როგორც საკუთარ შვილებს ისე პატრონობდა და უვლიდა. რამდენჯერ სახლში მოუყვანია, ოჯახის საჭმელი მონატრებული ექნებაო. სვანეთიდან კი თუ ვინმე ჩამოვიდოდა, ყველა ჩვენთან მოდიოდა. სვანები, მოგეხსენებათ, სულ ჩხუბობენ და იყო ერთი რეკვა მილიციიდან. რამდენჯერ მამა შუაღამისას ამდგარა და გამოუხსნია დაკავებული ბიჭები.

ჩვენი სახლი საერთო საცხოვრებელი გეგონებოდათ. ერთხელ ერთი სვანი ჩამოსულა და ტაქსის მძღოლისათვის უთქვამს, რუსთაველზე გამიყვანეო. კეცხოველის ქუჩაზეო? – უკითხავს მძღოლს. სვანს გაჰკვირვებია, შენ საიდან იციო. პასუხად მიუღია, იმ ოჯახში ხშირად მიმყავს სვანებიო...

ქამუეთის გვერდით ერთსართულიანი სახლი დგას, თავის დროზე ულამაზესი ბაღიც ჰქონდა თურმე. იმ სახლში მანანა ორბელიანის ცნობილი სალონი იყო თავის დროზე. ვინ არ სტუმრობდა იმ სალონს: ჭავჭავაძე, ბარათაშვილი, ორბელიანი, პუშკინი...

ორმოცდაათიან წლებში ორბელიანისეულ სახლში სერგო და თინა ფანგანების ოჯახი დამკვიდრდა, სადაც სამი ღირსეული შვილი აღზარდეს.

სვეტა და მაია თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები არიან, ვლადიმერი კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრია.

მაისში ქალბატონ თინას ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ოჯახის წინსვლას ვუსურვებთ მრავლისმომსწრე ქალბატონს!

მარინე ნაკაიძე

# „და არა მხოლოდ



მახსოვს, ნინო ქუთათელაძის შემოქმედებას ასე გავეცანი: 80-იან წლების დასაწყისში „ახალგაზრდა კომუნისტს" ჰქონდა ასეთი რუბრიკა „ახალგაზრდა შემოქმედნი". ლიტერატურული მიმოხილვა ევალებოდა მიშიკო ანთაძეს, ჭკვიან და გემოვნებიან კაცს. ჰოდა, მიშიკო ასე წერს ნინო ქუთათელაძეზე, – ეს ის პოეტია, რომლის ნამუშევარსაც ფართო აუდიტორია არა ჰყავსო, იგი უფრო იმ თავჩახრილი მკითხველის პოეტია, დიდი გულმოდგინებით რომ ირჩევს თავის წასაკითხსო, ერთი სიტყვით, რთულად წასაკითხია და ყველას არ ძალუძს, მისი სათქმელი სწორად გაიგოსო. ვიფიქრე, ნეტავ რა არის ასეთი-მეთქი და მისი პატარა კრებული: „სამი მონოლოგი" შევიძინე, რომელიც სამი მომცრო პოემისგან შედგება, პირველი „შუშანიკის საგალობელია". მე მგონი, ძალიან იშვიათად, რომ ვინმეს ყვარებოდა მოწაფეობისას „წამება წმიდისა შუშანიკისა" და კიდევ სხვა „წამებანი", ვსწავლობდით უფრო მოვალეობის გამო... და მერე, გვიან, როცა ნინო გავიცანი, სიცილით მოვუყევი, თუ როგორ შევიძინე მისი წიგნი და ვკითხე, რაღა მაინც და მაინც შუშანიკს მიუძღვენი საგალობლები-მეთქი.

– **რომ იცოდე, ბავშვობიდან როგორ მიყვარდა იგიო,** – მიპასუხა, **– ხშირად ვფიქრობდი მასზე და განსაკუთრებით მაშინ გამეზარდა ინტერესი, როცა გავეცანი ნიკო მარისა და მელიქსედბეგის შეხედულებას მამიკონიანთა საგვარეულოს ლაზური წარმოშობის შესახებ... როცა შუშანიკზე ვმუშაობდი, აქ გაიელვა თითქოს ყველა ქალმა ჩვენი ისტორიიდან, თითოეული თავის სიტყვას ამბობდა შუშანიკის პირით. იმდენს ვფიქრობდი, რომ სიზმარში ფილმივით ვნახე მისი გარდაცვალება. სულ მგონია, რომ შუშანიკი თვითონ წერდა საგალობლებს. თუმცა ამის შესახებ არსადა არაფერი არის ნათქვამი. ჩემი შუშანიკი მხოლოდ ისტორიული პირი როდია, ის ქართველი ქალის ყველა კარგი თვისების მქონეა – განათლებული, კეთილშობილი... საოცარი დედა, ერთგული მეუღლე და შეუდარებელი სატრფო...**

და ნინო კითხულობს ერთ-ერთ საგალობელს, შუშანიკის პირით წარმოთქმულს:

„ნუთუ არ დარჩება ჩემთვის
სიმაღლე ჩემი წილის,
ნუთუ არ დამინდობს ბედი,
ღმერთისგან ბოძებული,
რა ვქნა მამულო, მიჩვენე გზა,
ან ზღაპრის კვალი,
რომ თან გამოვყვე
სიცხეს და დაღლას...
გარემოს ისეთი ნისლის საფარი
შემოუბურავს,
რომ ჩემს სუსტ მხრებზე
ბეღურაც კი გაიყინება.
ფრთხილი ნაბიჯით სიმარტოვე მიახლოვდება
და დაღრეკილი ჩემი მუხლები,
აპყრობილი ჩემი ხელები
გევედრებიან არმოცილებას,
მარტოსინათლევ,
მარტოსინათლევ,
ჩემს მკერდში ჩაჩეხილო
და აღმდგარო, აღზევებულო..."

კითხულობს ოდნავწაგრძელებული ხმოვანებით, გულშიჩამწვდომად და თავადაც რაღაცნაირად მაგონებს შუშანიკს - თავდადრეკილს და ამაყს, სუფთას, სუფთას თავისი ბუნებით, თვალებიც ისეთი აქვს, ალბათ შუშანიკისნაირი – ფართო, კუნაპეტი, ჭკვიანი.

– ნინო, შენი „პირველი მონოლოგი", ანუ „შუშანიკის საგალობელი" ასე მთავრდება, დატირებით

„მოვიდა მსახვრალი ბოლო,
ო-ო-ო-ო-ო-ო!
ო-ო-ო-ო-ო-ო!
ო-ო-ო-ო-ო-ო!
ტირის ქვეყანა შენი!..

ეს ჩვიდმეტი წლის წინ დაწერე, მაშინ, ასე ვთქვათ, „მშვიდი იყო ქვეყანა ჩვენი", არადა, ამ დატირებაში სწორედ ქვეყნის ბედს სტირი. მაშინ გული უფრო ცუდს გიგრძნოდა თუ რა?

**– ან როდის იყო ჩვენი ქვეყანა მშვიდი? ხანდახან პირს წაიკრავს ჭრილობა. ვითომ მოვრჩით და ეგ არის, შიგნით კი თუხთუხებს ჩირქი და ბალღამი. მერე გასკდება, გადმოიფრქვევა ავი და უამური... ვერა და ვერ განვიწმინდეთ... თითო-ოროლა მალამოდ ედება, ათჯერ მეტი ჭუჭყად და მტვრად. განა სულ არ მოვთქვამთ?**

– და ახლა უფრო, ხომ? შენი პუბლიცისტური პოემა: გაფრთხილება რომ დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში" „მასხარათათვის და

# წითელი ჯვრის ირგვლივ ატეხილი ციება –

ბავშვი დილით რომ გაიღვიძებს და სკოლა-ინტერნატის ან ბავშვთა სახლის ღარიბული საუზმის მომლოდინეს ნაირ-ნაირი ტკბილეულით სავსე ყუთს დაახვედრებენ, ახალ ტანსაცმელს მოარგებენ და სასწავლო ნივთებს ჩანთაში ჩაუწყობენ, ჯერ არ გათენებულაო და ყველაფერს სიზმრად აღიქვამს.

მაგრამ როცა ლამაზი ქალბატონი მიეფერება და დედასავით ეტყვის: შენია გასინჯე, პირი ჩაიტკბარუნეო, ნელ-ნელა რეალობაში დაბრუნდება...

ქალბატონი ნანა ყეინიშვილი რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა მოსკოვიდან ქველმოქმედის გამოცდილებით და საქართველოში საქველმოქმედო ფონდი „მოწყალება" დააფუძნა. თუ 2001 წელს მილიონი დოლარის საჩუქრები 15 ათას ბავშვს გაუნაწილა, მეორე წელს 2 მილიონი დოლარის ამანათები 30 ათასს შეახვედრა.

მის გამოჩენას საქართველოს ბავშვები თავიანთ უღიმღამო ცხოვრებაში კვლავაც ისე ელოდებიან, როგორც მზის შემონათებას წყვდიადში.

დღეს ნანა ყეინიშვილი საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის პრეზიდენტია. მან პრეზიდენტობის ათ კანდიდატს შორის გაიმარჯვა და ძველი პრეზიდენტი ნოდარ ცქიტიშვილი შეცვალა. მანამდე კი რამდენიმე თვე სამარცხვინო სკანდალური სიტუაცია გრძელდებოდა. ნოდარ ცქიტიშვილის მუშაობით უკმაყოფილო წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობამ საქართველოსთან ურთიერთობა შეწყვიტა და ყველანაირი დახმარება შეაჩერა.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რით აჯობა ქალბატონმა ნანამ 9 კონკურენტს, გულახდილი პასუხი მივიღეთ:



● ნანა ყეინიშვილი ლივერპულელ ფეხბურთელ ქალთან

– ალბათ მხოლოდ და მხოლოდ პატიოსანი შრომით. ჩემი მოღვაწეობა მოწყალების ფონდში 2001 წელს დაიწყო და იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ შემმოწმებლებმა გაკვირვება ვერ დაფარეს. რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების ტვირთი ჩემი თანამშრომლების, მასმედიის, ტელევიზიის, ფართო საზოგადოების მონაწილეობის გარეშე არასოდეს გაცემულა. მთავარია, ეჭვი არ გაჩნდეს, თორემ თუ ნდობა დაიკარგა, კოლექტივის თანადგომას დაკარგავ, მაშინ კი აღარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასხარათათვის“...

მასხრობათათვის“, ბევრს მისი სიმძაფრე მეტისმეტად მოეჩვენა.

**– განა მთელი ჩვენი ცხოვრება მასხრობად არ იქცა? ვინც უფრო მეტს მასხრობს, ის უფრო მაღალ თანამდებობაზეა, უფრო მეტს იხვეჭს, უფრო დაუნდობელია და... უფრო „კეთილიც“, რადგან აქვს მისაცემი სხვისთვის... მე იმ მასხარებზე არ ვლაპარაკობ, სიმართლეს მხოლოდ მისგან რომ გებულობდა ქვეყნის მმართველი; ეს სულ სხვა მასხარაობაა, ყველას მეტ-ნაკლებად რომ შეგვყრია. პოემა ასე იწყება:**

„მასხარათათვის მზე ამოვიდა,
მასხრობისათვის საამო დროა...
დროა ნაშალო უკვე ხსოვნიდან,
ეს მიწა, შენი სამშობლო როა...“

**ეჰ, ჩემო კარგო, რამდენი კატეგორიაა მასხარებისა იცით? ერთნი მეტად ფართო მასშტაბისანი არიან:**

„მხარი ეცვალა,
მასხრობს მასხარა
ხან დასავლეთით,
ხანაც ჩრდილოით...
თეთრი საყელო მოეპრიანა,
თეთრი საყელო –
კავკასიონი!“
ასეთი ხო იცი, რას აკეთებს?
„ხელთ ჩაუბღუჯავს სამშობლოს დროშა,
სამორინეში ათენ-აღამებს,
და თვალზე ირგებს ფერად სათვალეს“...

**იმ სათვალეში არ მოჩანს, ჩემო კარგო, მშიერ-მწყურვალი, ჭუჭყი და სიღარიბე. ხანდახან მოიხსნის ხოლმე, ესეც იმიტომ სჭირდება, საკუთარ საყრდენს საბჯენები შეუდგას, ძალიან მსუქანია, ძალიან, ეშინია არ წაიქცეს. მოიხსნის სათვალეს და გულს აიჩუყებს – იქით მიწისძვრა და რამე-რუმე... ოჰ, რას ცანცარებენ მის გარშემო ხელის მასხარანი? მისი ერთი გაღიმება რა ტაკიმასხარაობად უჯდებათ? მამავ-მარჩენალოო!.. – ეს მათი ღაღადისია. თუმცა კი სხვაც ყველა თავისებურად მასხრობს:**

„მასხრობს ლევანი, მასხრობს თამარი,
მასხრობს გიორგი, ერეკლეც მასხრობს
მასხრობაშია ძარღვი მთავარი
რომ გულის ფხანამ გზა იავარყოს“.

**გულისფხანა ეი ხომ იცით რამ იცის? ქეცმაო, არა? – ბრძანა ილიამ. კიდევ რა მიკვირს, იცით? – ყველა მასხარას სხვისი მასხრობისა უკვირს, ჩვენ ვართ სპექტაკლიც, მაყურებელიც –**

„ლექსი დავკარგე სულის სიღრმეში
და ალბათ აღარ დამესიზმრება“.

**ამ გაუსაძლისმა ყოფამ, როგორც ჩემისთანას ათასს, დამაკარგვინა ხალისი, დამაკარგვინა ნდობა ადამიანისა, თმაზე ვიკიდებ ხელს და საკუთარ თავს ვქაჩავ ჭაში ჩავარდნილივით.**

„აღარ მაქვს ლურჯი ყანის ღაღანი,
აღარც გულების ვრცელი მარაო,
არც თავთავების ოქროს სამანი
ფიქრის ნათელიც ხანდახანაობს;
არა მაქვს კუთხე და სამალავი
მაკრთობს სიმღერის ფრთათა შეხებაც,
არ მაქვს სიმდიდრე, არ მყავს არავინ,
მალე სამშობლოც აღარ მექნება...

– არა ნინო, შენი ჭირიმე, წერილს ასეთი ნოტით ვერ დავამთავრებ, მითხარი რამე იმედისმომცემი, ნუთუ მართლა არაფერი გვეშველება?

**– უნდა ვიბრძოლოთ ყველამ, გეთაყვა, ჩვენ-ჩვენი სინდისის გადასარჩენად, ნამუსის დასაცავად, ბრიყვებს არ უნდა მივუჩუმათდეთ, საშინელებაა ეს ინტელიგენტური მორიდებულება. როდემდე თეიმურაზობა, როდემდე?**

– გახსოვს? „შუშანიკის საგალობელს“ ასე ამთავრებ:

„თუკი მოკვდები, რომ არ ეგონო არავის მკვდარი,
უნდა დაბრუნდე
და ნაშალო სიკვდილის ზინდი...“

ახლაც ხომ ასე ფიქრობ?

**– იყოს ეგრე...**

***

ნინო ქუთათელაძე ცნობილი პოეტია, ბევრთათვის საყვარელი. გამოცემული აქვს შვიდი პოეტური კრებული. სათქმელს თავისებურად გადმოსცემს – ცოტა მძიმედ – გაიძულებს, იფიქრო... ლირიკული სიმსუბუქე უფრო ნაკლებად ახასიათებს, მაგრამ გაზიარებს კარგს, წმინდას...

ამ ბოლო დროს პუბლიცისტურ პოეზიას უხდის ხარკს. ცხოვრებამ მაიძულაო, – ამბობს.

სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის ლიტერატურულ ჟურნალს „სიტყვა კაზმულს“ ხელმძღვანელობს. გადაცემებში ყოველთვის ცდილობს, ის უჩინო შემოქმედნი წარმოაჩინოს, ვინც რო ღირსია წარმოჩენისა. ესეც მის მართალ ბუნებაზე მიუთითებს. ცდილობს, დაგვანახოს, რომ ეს ქვეყანა „და არა მხოლოდ მასხარათათვის“ გაუჩენია ღმერთს...

მანანა ზარიძე

# ცხოვრება დასრულდა

გუდა-ნაბადი და წადი. ასე დაემართა ჩემს წინამორბედს.

**– როგორ აპირებთ მუშაობის დაწყებას, თუკი დახმარებას ვეღარ მიიღებთ?**

– მდგომარეობა ნელ-ნელა სწორდება. მართალია, ამიერკავკასიისთვის განკუთვნილი დახმარებები წელს მხოლოდ სომხეთზე და აზერბაიჯანზე განაწილდა, მაგრამ საერთაშორისო წითელი ჯვრის ფედერაცია მაინც ცდილობს მოგვეხმაროს სარეზერვო ფონდიდან. იმედს ვიტოვებთ, რომ დონორები შემოგვიბრუნდებიან. მანამდე კი წითელ ჯვარს ჩემს მიერ დაფუძნებული „მოწყალების“ ფონდის სახელზე მიღებულ დახმარებას ვახმარ. მუშაობის დაწყების პირველ დღესვე მოვინახულე გლდანის სკოლა-ინტერნატი, ჩვილ ბავშვთა სახლი ნუცუბიძეზე, წყნეთის ბავშვთა სახლი და პატარებს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სათამაშოები და ტკბილეული მივუტანე.

საბედნიეროდ, საქართველოში ისევ დაბრუნდა საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლობა. მალე ახალი პროექტი შემუშავდება, ხელშეკრულება დაიდება, საამისოდ მუშაობა მიმდინარეობს. ცნობილი საზოგადო მოღვაწეებით დავაკომპლექტე ახალი პრეზიდიუმი, რომელიც 2 კვირაში ერთხელ იკრიბება და ხალხისთვის სასარგებლო საქმეებს გადაწყვეტს. რა თქმა უნდა, მუშაობის პრინციპი კვლავ აბსოლუტური გამჭვირვალობაა.

დიდი ხანი არ არის, რაც ბერლინიდან დავბრუნდით, სადაც ევროპის რეგიონალურ კონფერენციაზე ვიყავით მიწვეული. შევხვდი საერთაშორისო წითელი ჯვრის ფედერაციის პრეზიდენტს, რომლისგანაც ბევრი კეთილი რჩევა მივიღე. მან ჩემს შესახებ სახალხოდ განაცხადა, ასეთი ახალგაზრდა პრეზიდენტი მსოფლიოს 175 ქვეყნის წითელი ჯვრიდან არავის ჰყავსო. ეს, რა თქმა უნდა, მასპინძლის ქათინაურად მივიღე. მართალია, 30 წელს კარგა ხანია გადავაბიჯე, მაგრამ... ადრე გავთხოვდი, ორი ქალიშვილი მყავს.

**– გვიამბეთ თქვენი წარმომავლობის შესახებ.**

– ახმეტაში დავიბადე. დედით კახელი ვარ, მამით – ფშავი, დუშეთიდან. ძალიან მიყვარს კახეთი. შესაძლებლობა მომეცა და მას დიდი სიხარული ვაჩუქე. საერთაშორისო მოწყალების ფონდის დახმარებით 2001 წლის მაისში ფეხბურთის ქვეყნიდან „ლივერპულის“ ნაკრები თელავში ჩამოვიყვანე. ეს იყო სენსაცია. თბილისიდან თელავამდე, მთელ გზაზე ინგლისის და საქართველოს დროშები ფრიალებდა. თელავში 2 ათასი ბავშვი ინგლისის დროშებით ელოდა სტუმრებს. ათასმა ბავშვმა სტადიონზე ბურთი ცეკვით შემოიტანა. სად არ ვყოფილვართ, მაგრამ მსგავსი არაფერი გვინახავსო, – თქვენს აღფრთოვანებულმა ლივერპულელებმა. დიდი წვლილი სტუმრების საკადრისად მიღებაში ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილს და ბატონ ბიძინა სონღულაშვილს ეკუთვნით.

საიმედო და ენთუზიასტ ხალხს ქალბატონი ნანა სანთლით ეძებს და საქმეში აერთიანებს. თავისთან მოიყვანა ექიმი-ჰომეოპატი გია ნადარეიშვილი და წითელი ჯვრის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ჩააბარა. მასზე ბევრი კარგი გამეგონა. მისი სასწაულებრივი მკურნალობის მეთოდი მძიმე ავადმყოფებსაც კი კურნავს. ამ საქმეში ბატონი გია მარტო როდია. 400 ექიმი რეგიონებს ემსახურება. 80 – თბილისში, ზოგს შინ აკითხავენ და წამლები მიაქვთ, ზოგს საოპერაციოდ აწვენენ და პოლიკლინიკებში მკურნალობენ (რა თქმა უნდა, უფასოდ).

გაზაფხულზე ბატონი გია ერთი დღით გურჯაანში და თელავში ჩავიდა. 70-მდე გურჯაანელი მარტო თვითონ მიიღო, 300-მდე კი მისმა კოლეგებმა. მადლობელი დარჩნენ მათი უანგარო დახმარებით თელაველებიც.

საქართველოში წითელი ჯვარი ამოქმედდა. ხალხს იმედი დაუბრუნდა, ის კი არა, მიწისძვრით დაზარალებულებიც მალე დახმარებას მიიღებენ. შეჭირვებული ადამიანებისათვის ეს დიდი შვებაა.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსახიობის სარფიანი ჰობი



ბატონმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანა: „ახალგაზრდული თეატრის უპირატესობა აკადემიურ თეატრთან შედარებით ისაა, რომ შური და შეჯიბრი არ იცის. ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული ხომ ეგოიზმს თრგუნავს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ თვისებას ბოლომდე ინარჩუნებენ, მაგრამ სამწუხაროდ ეს იშვიათია“. ამ ტიპის თეატრებად მოიაზრება პატარა, ე.წ ანტეპრიზის თეატრები: სარდაფის, ჯიბის, ერთი მსახიობის, ზღაპრის, თავისუფალი.

გვესაუბრება სარდაფის თეატრის მსახიობი ბარბარე (ბაია) დვალიშვილი.

**– ქ-ნო ბაია, როგორ შეაფასებთ სარდაფის თეატრის არსებობას, რით გამოარჩევთ სხვათაგან?**

– იგი ხუთი წლისაა: როცა ამ თეატრში ირაკლი სოლომონაშვილის „ქვირითობაში“ და ბერტოლდ ბრეხტის „სამგროშიან ოპერაში“ როლები შემომთავაზეს, სიმართლე გითხრათ, ხასიათი გამიფუჭდა, საქინფორმის გამოთხრილი სარდაფიდან ბიჭები აუარებელ ნაგავს და მიწას ეხიდებოდნენ, ილუზია მეგონა, რა თეატრი უნდა ყოფილიყო ამ ჯურღმულში, უარი მაინც არ მითქვამს, და როცა ეს ასკაციანი დამოუკიდებელი თეატრი ამოქმედდა, ილუზიამ ნაყოფი გამოიღო, დღემდე გაუჩერებლივ მუშაობს, მივხვდი, რომ დაუჯერებელი და მიუღწეველი არაფერია. მისი დამფუძნებლები არიან რეჟისორები: ლევან წულაძე, ოთარ ეგაძე, გოგი მარგველაშვილი, შოთა გლურჯიძე (მხატვარი).

დრომ მოიტანა, რუსეთში და საზღვარგარეთ დიდი ხანია ამ პრინციპის თეატრები არსებობს. თავისუფალი თეატრი ნიშნავს, რომ იქ მიწვეულები ვართ, ე.წ. სტუმრის სტატუსით, ხელშეკრულებით, თეატრს არ ჰყავს მუდმივი დასი, სამხატვრო საბჭო, დირექტორი. ამ ტიპის თეატრებში ჩვენი მუშაობა სისხლის გადასხმას ჰგავს. რეპერტუარი მდიდარია, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ყველა სპექტაკლი შემოქმედებითად მაღალ დონეზეა. აკადემიური თეატრები თავს ვერ ირჩენენ, ძლივძლივობით ახერხებენ წელიწადში ერთი სპექტაკლი დადგან, ჩვენთან თხუთმეტამდე მაინც იდგმება, ვირჩენთ თავს, ვიხდით არენდის და საგადასახადოს სოლიდურ თანხას, თუმცა ძნელია, როცა არა გაქვს მუშაობის ელემენტარული პირობები, მაგალითად საგრიმიორო, გარდერობი, სველი წერტილები, მაგრამ ენთუზიაზმი ყოვლისშემძლეა და ეს მაშინ მოხდა, როცა ქალაქში არ ფუნქციონირებდა მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების თეატრები. სარდაფმა ახალგაზრდობა შემოაბრუნა თეატრისაკენ, ჩვენი თეატრის კარი ღიაა ნებისმიერი კვალიფიციური რეჟისორისათვის, შეუძლია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დადგას სპექტაკლი, აირჩიოს მსახიობები, მხატვარი...

კოლექტივი სამოცკაციანია. ყველა სპექტაკლს ჰყავს თავისი რეჟისორი, საინტერესო, ნიჭიერი მხატვრებია: ნინო ჩიტაიშვილი, შოთა გლურჯიძე, ნინო ბურკაძე, მათი დამსახურებაა გემოვნებით შერჩეული კოსტიუმებით დამშვენებული სპექტაკლები.

...კეთილი შურით მშურს იმ ახალგაზრდა მსახიობების, რომლებიც ოთარ ეგაძის და ლევან წულაძის სტუდენტები იყვნენ, მოვიდნენ, მათი ზედამხედველობის ქვეშ მოუწიათ დაოსტატება. ჩემთვის ძნელი იყო აქამდე მოსვლა, სანამ აქ მოვხვდებოდი, ეკლიანი გზის გავლა მომიხდა, ჩემთვის არ არსებობდა მარინე თბილელის და აკაკი დვალიშვილის შვილობით რაიმე შეღავათი. ალბათ ეს ეტაპიც აუცილებელია, რომ სცენა „მოიპოვო“.

**– ბაია, ალბათ იცით, რომ მეორე სარდაფის თეატრი გაიხსნა?**

– დიახ, 26 მაისს გაიხსნა მეორე სარდაფის თეატრი ვაკეში, პედაგოგიური უნივერსიტეტის გვერდით, ის ჩვენმა დამფუძნებლებმა გახსნეს. 170 კაციანი, დიდი სცენით, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი, გაცილებით კეთილმოწყობილი.

**– ადრე სად მოღვაწეობდით?**

– რუსთაველის თეატრში გახლდით, საკმაოდ დატვირთული, თუმცა სილაღე, შემოქმედებითი ცხოვრების ძარღვი ამ თეატრში უფრო მძლავრად ძგერს, ჩემთვის რუსთაველის თეატრი სამეფო თეატრად დარჩა. მე ვიტყოდი, რომ დღეს ჯანმრთელი კონკურენციაა, ნამდვილი შემოქმედებითი ბრძოლა, როცა მსახიობი ხელშეკრულებით ხარ მიწვეული, თვითდინებაზე ვერ იქნები, სხვა დროა, რასაც უდავოდ თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეც აქვს.

რამდენიმე ფილმშიც ვარ გადაღებული, ესენია: „ნეილონის ნაძვის ხე“, „აშუღ ყარიბი“, „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“, „დახატული წრე“, „სახლი“, „ტურანდოტი“.



„სამგროშიანი ოპერა“ – ნანა შონია, ნატო გულისაშვილი, მანანა კაზაკოვა, ნატო ებანოიძე, ბაია დვალიშვილი (რეჟისორი ლევან წულაძე)

**– გადავუხვიოთ თემას და ვისაუბროთ პირად ცხოვრებაზე.**

– მეუღლე რეზო ხატისკაცი ჩემი შემოქმედების გარეთაა, სპეციალობით ოკეანელოგი. შემთხვევით გავიცანი ნანა ხატისკაცის დაბადების დღეზე. ხელს მიწყობს მუშაობაში, არ მზღუდავს, ჩემი რიგითი მაყურებელია, პატივს სცემს ჩემს პროფესიას. ძნელი იქნებოდა ორი მსახიობი ერთ ჭერქვეშ, ოჯახში ვისვენებ, სადღაც ხომ უნდა განიმუხტო. ჩემი პირველი მეუღლე – მურმან ჯინორია, ნიჭიერი, საინტერესო მსახიობია, ჩვენი ქორწინება გაუაზრებელი, ბავშვური ნაბიჯი იყო, რაზეც არასოდეს ვსაუბრობ.

**– ალბათ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ერთი-ორი სიტყვა გვითხრათ ეგზომ პოპულარულ დუტა სხირტლაძეზე.**

– სარდაფის თეატრში ბევრი ნიჭიერი, საინტერესო ახალგაზრდა მსახიობი მოღვაწეობს. რადგან თქვენ დუტა გაინტერესებთ, გეტყვით, დუტა მართლაც გამორჩეული პიროვნებაა. პოპულარობა მისით არ მოდის, მოპოვება სჭირდება. დუტამ ეს ადრეულ ასაკში შესძლო, ენითაუწერელი პარტნიორია. როგორც პროფესიონალი, როგორც ადამიანი, ეჭვიც არ მეპარება, წინ დიდი შემოქმედებითი სიურპრიზები, დიდი აღმასვლა ელის, მინდა ბოლომდე დაიხარჯოს, მას ეს შეუძლია, ამისთვის არაფერი უნდა დაიშუროს.

**– ქ-ნო ბაია, თქვენ სახელოვანი მშობლების მარინე თბილელის და აკაკი დვალიშვილის შვილი ხართ, ეს უთუოდ დიდი პატივიცაა და ვალიც?**

– შვილს ამაზე მეტი რა ავლა-დიდება შეიძლება დაუტოვოს მშობლებმა, როცა ქუჩაში გაჩერებს უცნობი და გეუბნება, რომ არა მამათქვენი, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდიო, ან თუ დღეს რაიმეს წარმოვადგენ და კაცი მქვია, ბატონ კაკოს ვუმადლიო. ლაპარაკობენ ადამიანები, როცა ჩემგან არაფერს ელოდებიან, როცა შვილს ასეთ განძს უტოვებ, ვალდებულია ამ გზას არ გადაუხვიოს. ასეთივე უანგარო იყო დედაჩემი, დილით მუდამ სადღაც მიიჩქაროდა, ვიღაცის საქმეზე გარბოდა, მისთვის სულერთი იყო ნაცნობი და უცნობი, ვიღაცას სჭირდებოდა საავადმყოფო, წამალი, სამსახურში მოწყობა. მისი ცხოვრების წესი იყო სხვაზე ზრუნვა, დედაჩემის დადებითი ენერგია გადამდები იყო გარშემომყოფთათვის, ტალღასავით ჩქეფდა, ხალისიანი, ენერგიული. დიდი სევდა დაგვიტოვა დედაჩემის გარდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალებამ, მამა საშინლად განიცდის, სახლიდან უჭირს გასვლა, შესაშური ცოლ-ქმრობა ჰქონდათ. ზღვა ენერგიის პატრონი დედა არ მახსოვს დაღლილი, მოწუწუნე.

**– დედას ადრე ხომ ჰქონდა სხვა ოჯახი?**

– დიდი მსახიობის აკაკი ვასაძის რძალი იყო. მყავდა არაჩვეულებრივი ძმა, ღრმადგანათლებული ფილოლოგი აკაკი (კაკული) ვასაძე. ჩვენი ურთიერთობა, როგორც და-ძმის, სამაგალითო იყო. მე შევესწარი დედა-შვილის სიყვარულს, ორი ადამიანის განუმეორებელ მეგობრობას. კიდევ კარგი, რომ დედა უკვე ავადმყოფობდა, თორემ უფრო გაუჭირდებოდა შვილის დაკარგვის დარდი დაეძლია. დედაჩემმა ისრაელში გასტროლებზე ყოფნისას მზის დაკვრა მიიღო, ექიმებმა ვერ გაუგეს, ზუსტი დიაგნოზი ვერ დაუსვეს, არც ამდენი აპარატურა არსებობდა მაშინ. გაურთულდა, ავადმყოფობამ დათრგუნა, ვერ შესძლო სცენაზე გასვლა, ეს მისთვის ტრაგედია იყო.

**– ბაია, მსახიობ მარინე თბილელს როგორც კოლეგა, როგორ შეაფასებდით?**

– ღვთით ბოძებული გარეგნული და მსახიობური მონაცემები ჰქონდა, იღბლიანი ქალი იყო, ოქროს ხანა განვლო მარჯანიშვილის თეატრში, ბევრი საინტერესო როლი განასახიერა, მის გვერდით იყვნენ თეატრის კორიფეები: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი. ეს რჩეულთა ხვედრია. 53 წლის ასაკში, როცა თეატრიდან მიდიან, მისთვის მეორე ოქროს ხანა რუსთაველის თეატრში დაიწყო. კადრების გადახალისების მიზნით ორი წელი სოხუმის ქართულ თეატრში მოუწია მუშაობა. ზოგჯერ თვეში ორმოც სპექტაკლში თამაშობდა. იღბლიანი და ქუდბედიანიც იყო. რობერტ სტურუამ „კავკასიურ ცარცის წრეში“ და „რიჩარდ მესამეში“ ასეთ ასაკში საინტერესო როლები მისცა. მისთვის არ არსებობდა მთავარი და ეპიზოდური როლი. უყვარდა თქმა – მთავარია სცენაზე იდგე ბედნიერი, შეირგე, გიხაროდეს, რომ თამაშობ სპექტაკლში, დანარჩენზე ნაკლები იფიქრე, ამ განწყობით ვარ, სულ ყურში ჩამესმის დედის ეს სიტყვები.

**– ბედნიერებაა, რომ ასეთ ოჯახში დაიბადეთ, ბედნიერი ბავშვი იყავით, განებივრებული, ნაფერები, ვის უნდოდა, რომ მსახიობი ყოფილიყავით?**

– ორმოცი წლის ასაკში გამაჩინა დედამ. განებივრებული ნამდვილად არ ვყოფილვარ. არ მახსოვს მშობლებისაგან ქათინაური მიმეღოს, კრიტიკულად უდგებოდნენ ჩემს ყოველ ნაბიჯს. მამას კატეგორიულად არ უნდოდა მსახიობი ვყოფილიყავი. მას – თავად რეჟისორს სცენისათვის არ ემეტებოდა ერთად ერთი ქალიშვილი. დედა არ მეწინააღმდეგებოდა. როცა მამა და ბატონი მიშა თუმანიშვილი კინომსახიობთა თეატრს აარსებდნენ, მე-10 კლასში ვიყავი. დიდმა მაესტრომ მამას სთხოვა, მივსულიყავი მასთან. ორი წელი ვითამაშე პატარა ეპიზოდებში. შემდეგ მამამ დამრთო ნება და თეატრალურ ინსტიტუტში მიშა თუმანიშვილის ჯგუფში ჩავირიცხე სარეჟისორო ფაკულტეტზე, დიპლომი კი მსახიობის ავიღე. ცხოვრებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი მქონდა. ერთი – როცა ჩემი ნებით დავწერე განცხადება და თეატრიდან წამოვედი, მირჩევნია, თავისუფალი მსახიობი ვიყო, ვიდრე ვინმეზე დამოკიდებული, თუ რეჟისორებს აქვთ უფლება, აირჩიონ მსახიობი, მსახიობმა რა დააშავა? ზოგჯერ უნდა გადადგა გაბედული ნაბიჯი, გამოემშვიდობო წარსულს, თავიდან ახლებურად დაიწყო ცხოვრება, თუმცა ამაში ზოგჯერ რისკის ფაქტორიცაა, როგორ გაგიმართლებს, მაგრამ გაფხიზლებს. ჩემს მშობლებს არც შეუშლიათ და არც შეუწყვიათ ხელი ჩემი გადაწყვეტილებების მიღებაში. მადლობელი ვარ ამისათვის მათი. ბევრჯერ ატირებული წამოვსულვარ როცა დავუწუნებივარ სინჯებში. ხომ არ გგონიათ, რომელიმე ტელეფონს აიღებდა და ვინმეს დაურეკავდა, ან იკითხავდა, რა მოხდა?! მამა კინოფიკაციის კომიტეტის თავმჯდომარე. ამისათვის შინაგან პროტესტს ვუცხადებდი მშობლებს, მინდოდა ჩემი გაკვალული გზით მევლო.

**– ვინ არის დღეს მსახიობი ბაია დვალიშვილი, როგორ გესახებათ აწმყო და მომავალი?**

– მაქვს საინტერესო და რთული წარსული. ვიტოვებ იმედს, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

**– ქ-ნო ბაია, თქვენი თეატრის ხშირი სტუმარი გახლავართ, მართალია, მრავალფეროვანი რეპერტუარი გაქვთ, ჭარბობს თარგმნილი პიესები. რატომ?**

– მე ასე არ ვფიქრობ. უამრავი პიესა მოაქვთ ახალგაზრდა დრამატურგებს. ჩვენთან დაიდგა ლაშა ბუღაძის ორი პიესა „ოთარი“ და „ეს სკამი, ეს საწოლი“, ირაკლი სოლომონაშვილის „რადიო“, „ქვირითობა“ (აფხაზეთის თემაზე), ყველას ვერ ჩამოვთვლი. ვერ გეტყვით, რომ დრამატურგებით განებივრებული ვართ, აუცილებელი პირობაა რეჟისორსა და დრამატურგს შორის იყოს თანხვედრა, რომ სპექტაკლი შედგეს.

დროის ზუსტი შეგრძნებით გამოვარჩევ რეჟისორ ლევან წულაძეს, იცის, რა სჭირდება დღეს მაყურებელს, რა მოიტანა დრომ. მისი საუკეთესო თვისებაა განსაკუთრებული სიყვარული მსახიობებისა, რაც ხშირად იშვიათობაა. ლევანი სულით ქართველი რეჟისორია, თუ ნათარგმნი პიესები ჭარბობს, ამის მიზეზი სხვადასხვა გარემოებაა. თეატრის ავკარგი რეჟისორზეა დამოკიდებული, ის არის ამინდის შემქმნელი. ჩვენი ახალგაზრდული, თავისუფალი თეატრი არავისია, ის ყველასია, ჩვენი ნავსაყუდარი და თავშესაფარია. ვცხოვრობთ ჩვენი მუდმივი მაყურებლის წყალობით. ასე ვთქვათ, თეატრი არსებობს მხოლოდ მათი შემწეობით.

***

... ბაია დვალიშვილს სარფიანი ჰობიც აღმოაჩნდა – აკეთებს საინტერესო თოჯინებს. ავსტრიელ ჰანს ალბერტს კულტურის სამინისტროში მისი ქართული ზღაპრების პერსონაჟები უჩვენეს. აღფრთოვანებულმა ხელოვანმა მათ შესაძენად სოლიდური თანხა გაიღო. ასე დაიდო ბინა ავსტრიაში „ნაცარქექიას“, „აბესალომ და ეთერის“, „სალამურას“, ხევსურულ მოტივებზე შექმნილმა პერსონაჟებმა. გალერეა „N“-ში გამოფენილმა ბაიას თოჯინებმა გრან-პრი და სოლიდური თანხა დაიმსახურა. როიალზე, მაგიდებზე საუცხოოდ გაფორმებული, გემოვნებიანი კოსტიუმებითა და აქსესუარებით დამშვენებული ლამაზი თოჯინები დგანან. ავტორმა ყველა შესაფერისი სახელებით მონათლა. ისინი ბაიას საყვარელი არსებები არიან.

ნანული ბუკია



„რიჩარდ III“ – მარინე თბილელი და ვასო გოძიაშვილი. (მარჯანიშვილის თეატრი)



კადრი ფილმიდან „აშუღ-ყარიბი“ – სოფიკო ჭიაურელი, ბაია დვალიშვილი და იურა მგოიანი (რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი)



„ფიგაროს ქორწინება“ – ბაია დვალიშვილი და კახა აბუაშვილი (რეჟისორი ლევან წულაძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარგიზა მგელაძე

## მარულა

ასე იწყებს დილას
ყველა ჩემი კბილა?
ბებო ამბობს: კარგი ხარო,
ჩემი გულის ვარდი ხარო!
დედა: აბა, წამოხტიო,
საწოლიდან გადმოდიო.
დაიბანე პირიო,
გაიხეხე კბილიო.
ნუ წოვ ცერა თითსო,
ნუ აწვალებ ღილსო!
ფანქარს პირში რა უნდაო?
ჩქარა, ჩაი ადუღდაო.
გადაივლე წყალიო,
გაიკაჟე ტანიო!
ახლა ჩაი მიირთვიო,
ქადა ჭამე კარაქითო.
ერთი ლუკმა, ხუთი, ათი...
აღარა მაქვს არაქათი.
ერთი ქადა გადავმალე
ეზოს ძაღლის შარიქასთვის.
***
აპიპინებს მამა ავტოს:
აგვიანებთ ბაღში ბავშვსო.
მივქრით მე და მამა გზაზე,
გავუსწარით ,,მაზებს'', ,,კრაზებს''
თეთრ ,,ვოლგას'' და წითელ
,,ჰონდას''
გადავუსწროთ ახლა უნდა.
მეტიჩარა მოხტის ,,ჯიპი'',
გაბმულ სიგნალს გვაძლევს ,,პი-პი''.
მობრძანდა როგორც მისანი,
მწვანე მანქანა – ,,ნისანი''.
მოჭრის დიდი ტეხით მეხის
ვერცხლისფერი ,,მერსედესი'':
მანქანების მეფე ვარო,
გზიდან უნდა მომეცალოთ!
მოთუხთუხდა ქაქანით
სამარშრუტო მანქანა.
მობზუილდა, როგორ ბუზი
ნაჯაფარი ავტობუსი.
აიბზუა ცხვირი ,,ლანტრამ'':
ეს ბობღია სიდან გაჩნდა?
გაიმართა მარულა
აშკარად თუ ფარულად.
აბა დელი, დელი, დელა,
სხვის გასწრებას ლამობს ყველა.
უცებ ძია შუქნიშანმა
ულვაშებში ჩაიცინა:
დახეთ, როგორ აიშვესო,
არცერთს აღარ გაგიშვებთო.
გაახილა თვალი წითლად,
მოძრაობა გაიყინა.
თუ არ მოგცემთ ნიშანს მწვანეს,
არ გაინძრეთ, გითვალთვალებთ.
ავტობუსიც, ,,ვოლვოც'', ,,ჰონდაც''
დაელოდოს მწვანეს უნდა.
დადგა ყველა მეტიჩარა
რა გზა ჰქონდათ, ან რა ჩარა!
ყველა მგზავრი, ყველა ბავშვი
ერთად გამოვცხადდით ბაღში.

## შარშან კრავი მაჩუქეს

შარშან ხუჭუჭა მაჩუქეს კრავი,
მან კი გვიბოძა იმდენი რამე:
დედას – ჟაკეტი,
მე კი – ისეთი
თბილი სვიტერი
საყვარლად მწვანე.
ჩემ ძმას – ქუდი და
თათმანი ღაზლის,
ყველაფერს ეყო
იმ ბატკნის მატყლი.

## მე თვითონ

ჩემს უმცროს ძმას, ჩემ კარგ დათას
სასეირნოდ არვის ვატან,
არ ეტკინოს რამე რადგან,
არ გალახოს ვინმემ რადგან.
უფროსი ვარ, უმცროსს ვიცავ,
ხვალაც, ზეგაც, სულ დავიცავ.
ამიტომაც ვინმე ჩემ ძმას
დაუპირებს ცემას რა წამს,
ლავაშივით გავაბრტყელებ,
არ დავიწყებ თვალის ხამხამს.
რადგან იგი ძლიერ მიყვარს,
რადგან ჩემი ძმაა დათა,
თუ საჭირო შეიქნება,
დათას მე თვითონ გავლახავ.

## მხიარული მეთევზე

მდინარესთან, სიპ ქვაზე,
დათუნა ზის წირქვაძე.
მოიქნია ანკესი და
დათომ წყალში გადააგდო.
ახლა თევზი გამოჩნდება,
ანკესზე წამოეგება.
სიხარულით ჩვენმა დათამ
,,ჰარალალო'' შემოსძახა.
მზე ცის თაღზე ბრიალებდა,
ხმა ზარივით წკრიალებდა.
ამხანაგის ქორწილში
მიცურავდა ქორჭილა,
ხელში ჭრელი ქოლგა და
საჩუქარი ეჭირა.
გაიგონა ქორჭილამ
მებადურის მღერა და,
წყლის სიღრმეში ჩაეშვა,
წამში გაუჩინარდა.
აწკრიალდა ტელეფონი:
გადაეცით მანდ თევზებსო
მეთევზე ნაპირზე მღერის,
მოერიდეთ ანკესებსო.
აქირქილდნენ ქორჭილები:
საოცარი არის ესო,
სიმღერა და თევზაობა
არ ეწყობა ერთმანეთსო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე და ცუგა

დამესიზმრა ღამით ლეკვი:
სველი დრუნჩი, ყელზე ძეწკვი.
მლოკავდა და კრუტუნებდა,
შენთან მსურსო, ჩურჩულებდა.
ძილში ისე მიხაროდა
გაღვიძება არ მინდოდა.
იმ ჩემ ჭრელს და ლამაზ ცუგას
სულ ჩემთან კუნტრუში სურდა.
გვერდიდან არ მცილდებოდა,
თვალს და ხელს შუა იზრდებოდა.
გავიღვიძე დილით როცა,
დავღონდი და სიცხე მომცა.
და არ მოვრჩი, სანამ მამამ
ჭრელი ცუგა არ მომგვარა.
ცხადი იყო, სიზმარს ჰგავდა,
ისე ძალიან მიყვარდა.
ჩვენ სულ ერთად ვიყოთ უნდა
ცუგა და მე, მე და ცუგა.

## დათამ გაიარა

პაკა-პუკი, პუკი-პაკი,
ხმა არ ისმის ლაპარაკის,
მხოლოდ ფეხის ბაკუნი
და ქუსლების პაკუნი.
– მე თვითონო, – დაიჟინა,
ორი კიჭით შემოგვცინა.
ბიჯი წადგა, ჩაიმუხლა,
შედგა, ისევ გაგვიღიმა.
ერთი ბიჯი, ორი ბიჯი,
გაიარა დათა ბიჭმა.

## მე და დედა პირველ კლასში

მთელი ღამე შფოთავს დედა,
სამჯერ ადგა, მე დამხედა.
ორჯერ ჩანთა შემიმოწმა,
,,დედა-ენას" გადახედა.
ხვალ პირველად პირველ კლასში
ერთად წავალთ მე და დედა.
დედას ისე უხარია,
ისე ღელავს ჩემი დედა.
ჰოდა, იგი დარჩეს კლასში,
მე წამოვალ ჩემ გზაზედა.

## კარგი და ცუდი

დედა თუ მიცინის,
ძალიან კარგია,
და თუ მიჯავრდება – ცუდი.
დღე თუ მზიანია,
ძალიან კარგია,
თუ მოღრუბლულია – ცუდი.
წვიმა ფეხშიშველა
ასფალტზე გატანტალდა,
ხეებს დაუსველდა ქუდი.
მალე გადაიღებს? ძალიან კარგია,
თუ არ გადაიღებს – ცუდი.
ვზივარ ფანჯარასთან
ბეღურებს პურს ვუფშვნი
და მათ დაპურებას ვუცდი.
თუ გულკეთილი ხარ, ძალიან
კარგია,
ხოლო თუ პირიქით – ცუდი.

## მზე პირს იბანს

გუშინ პირს იბანდა მზე და
რაღაც დიდხანს გაუგრძელდა.
დაგვასველა ხე და მე და
უკან არცკი მოიხედა.
უცებ წვიმა შეწყდა ციდან
და მზემ დამიძახა ,,ჭიტა",
მე სიმღერა შემოვძახე,
შაშვმაც დამისტვინა ხიდან.
პირი ერთად დავიბანეთ
სახლებმა და მზემ და ხემ და,
ყველას უნდა გაახაროს
საყვარელი თავის დედა.

## ვაკის პარკში

ირგვლივ ჰყვავის ნუშები,
ვაკის პარკში ძელსკამზე
დამსხდარი ბებიები
საუბრობენ ხელფასზე,
საუბრობენ ამინდზე,
საუბრობენ სიზმრებზე,
მაგრამ ყველაზე მეტად
თავის მთავარ საქმეზე:
– ინგლისურზე ვიყავით,
გვაქებს მასწავლებელი.
ჩვენი არის ყველაზე
კარგი სასწავლებელი.
– ჩვენ ბალეტზე დავდივართ
ხუთები გვყავს დღიურში
და ძალიან გვაქებენ
ქორეოგრაფიულში.
მალე გავალთ სცენაზეც,
თუმცა, გითხრათ მართალი,
იმდენ ბავშვში ჩვენა ვართ
პატარები ყველაზე.
– ციგურებით სრიალში
არც ჩვენა გვყავს ბადალი
არ გეგონოთ ეს ჩემი
ცუდუბრალო ქადილი.
ამბობს მასწავლებელი:
იმედი მაქვს ხვალისა,
უსათუოდ მოვიგებთ
შეჯიბრებას გაისად.
ბებიებს შვილიშვილთა
არ სწყინდებათ ქებანი.
დავიზრდებით, ვიქნებით
მართლაც სანაქებონი.

## ყანჩა და ბაყაყები

ოჩოფეხზე შემდგარ ყანჩას
თვალი ბაყაყებზე დარჩა.
ბაყაყებმა ყაყანით
მოადინეს ტყაპანი.
უნდოდათ გუბეში
ეპოვათ ნუგეში
მაგრამ ვაი, ვაი...
სამი მყვარი შვიდ წამში
მოხვდა ყანჩის ჩიჩახვში.
ყი, ყი, ყი, ყი...ი

## კედელზე ვხატავ დედას

დედამ რატის მიუსწრო,
კედელზე რომ ხატავდა,
გაბრაზებულ დედიკოს
უთხრა: მორჩა, გათავდა!
რვა მარტისთვის მინდოდა
ფლომასტერით სულ ათით,
კედელზე დამეხატა,
დედა, შენი სურათი.
შენ კი ბრაზობ,
        რა მოხდა
კედელი ხომ არ
        ბრაზობს?
ახლა დედა დავხატე,
მერე დავწერ
ანბანსო.







მხატვარი
ცინარა ტერელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ნაბოკოვი



# საშინელება

მხატვარი ცინარა ტერელაძე

აი, რა მემართებოდა ხანდახან: შუაღამემდე ვიჯექი საწერ მაგიდასთან და მუშაობისაგან სწორედ იმ წამს გამოვფხიზლდებოდი ხოლმე, როცა ღამეს უკვე მიეღწია თავისი მწვერვალისთვის და ნელ-ნელა განთიადის მსუბუქ ნისლში ეხვეოდა-მაშინ ვდგებოდი გაყინული, გამოფიტული, საძინებელში სინათლეს ვანთებდი და უეცრად ჩემს გამოსახულებას ვხედავდი სარკეში. და იყო ასე: დაძაბული მუშაობისაგან საკუთარ თავს გადაჩვეული, – როგორც დიდი ხნის განშორების შემდეგ ძალიან ნაცნობ ადამიანთან შეხვედრისას, როცა რამდენიმე ცარიელი, უგრძნობი, ნათელი წუთის განმავლობაში ხედავ მას სრულიად სხვაგვარად, თუმცა კი იცი, რომ მალე გადაივლის ამ იდუმალი ანესთეზიის ბურანი და ადამიანის სახე, ისევ გაცოცხლდება, გათბება, დაიჭერს ჩვეულ ადგილს და ისევ ისეთი ნაცნობი გახდება, რომ უკვე ნებისყოფის ვერანაირი დაძაბვით ვეღარ დაიბრუნებ უცხოობის წამიერ გრძნობას, – აი, ზუსტად ასე ვუცქერდი საკუთარ გამოსახულებას სარკეში და ვერ ვცნობდი მას. და რაც უფრო მონდომებით ვაკვირდებოდი ჩემს სახეს – უცნობ, გაშტერებულ თვალებს, თმის ბრწყინვას ლაწვებზე, ცხვირის გასწვრივ გაჩენილ ჩრდილს და დარწმუნებით ვეუბნებოდი თავს – აი, ეს მე ვარ, მავანი და მავანი, – მით უფრო გაუგებარი ხდებოდა, რატომ ვიყავი ეს სწორედ მე, უფრო მიძნელდებოდა ვიღაც გაურკვეველ „მესთან" სარკეში გამოსახული სახის გაიგივება. როდესაც ამის შესახებ ვყვებოდი, სამართლიანად შენიშნავდნენ, რომ გაგიჟებას ბევრი არ მაკლდა, მართლაც და, ერთი-ორჯერ იმდენ ხანს ვუცქირე საკუთარ გამოსახულებას სარკეში, რომ საზარლად გავხდი და სასწრაფოდ ჩავაქრე შუქი. ხოლო დილით, წვერის პარსვისას, აზრადაც არ მომდიოდა საკუთარ გამოსახულებაზე განცვიფრება.

სხვა რამესაც განვიცდიდი: ღამით, ლოგინში მწოლს უეცრად მახსენდებოდა, რომ მეც მოკვდავი ვარ. მაშინ ხდებოდა ზუსტად ის, რაც ხდება უხარმაზარ თეატრში, როცა ერთბაშად ქრება შუქი და მოვარდნილ უკუნში ვიღაც წამოიძახებს. ხოლო ამას რამდენიმე სხვა ხმაც მოჰყვება – ბრმა გრიგალი, ბნელი, პანიკური ხმაური იზრდება და უცებ ისევ ინთება შუქი და უდარდელად გრძელდება წარმოდგენა. აი, სწორედ ასე – სული წამით შემიგუბდება, ვწევარ გულაღმა, თვალებდაჭყეტილი და ვცდილობ დავამარცხო შიში, გავიაზრო სიკვდილი ცხოვრებისეულად, რელიგიისა და ფილოსოფიის დაუხმარებლად გავიგო იგი. შემდეგ კი ვეუბნები საკუთარ თავს, რომ სიკვდილი ჯერ კიდევ შორსაა, რომ მოასწრებ მის გააზრებას, თვითონ კი იცი, რომ სულერთია, არასდროსაც არ გაიაზრებ და ისევ სიბნელეში, სადაც ბორგავენ ცოცხალი, თბილი აზრები მიწიერ წვრილმანებზე – გაისმის ყვირილი და უეცრად წყდება, როდესაც გვერდზე გადაბრუნდები და სხვა რამეზე დაიწყებ ფიქრს.

ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს – სარკის წინ გაუგებრობა და სიკვდილის უეცარი პანიკური წინათგრძნობა – ბევრისთვის ნაცნობი განცდებია და თუ მაინც გავამახვილებთ მათზე ყურადღებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ განცდებშია ნაწილაკი იმ უმაღლესი საშინელებისა, რომელიც ერთხელ განვიცადე. უმაღლესი საშინელებაა... განსაკუთრებული საშინელება... ენის წიაღში ამაოდ ვეძებ ზუსტ განსაზღვრებას, ტყუილუბრალოდ ვიქქები სიტყვებში, არც ერთი მათგანი არ მადგება.

ბედნიერად ვცხოვრობდი. მეგობარი ქალი მყავდა. მახსოვს, როგორ გამაწამა ჩვენმა პირველმა განშორებამ, როდესაც საზღვარგარეთ საქმეებზე მივემგზავრებოდი, და როგორ მხვდებოდა ის სადგურზე – შუქის ყვითელ ბადეში გახვეული იდგა ბაქანზე, მზის მტვრიან სხივთა კონაში, რომელიც მინის კამარას კვეთდა და ნელ-ნელა აყოლებდა თვალს ვაგონის მოძრავ ფანჯრებს. მასთან ყოველთვის მსუბუქად და მშვიდად ვგრძნობდი თავს. მხოლოდ ერთხელ... ახლა ისევ ვგრძნობ, რა მოუხერხებელი იარაღია სიტყვა,. მე მსურს აგიხსნათ... ო, ეს არაფერია, ეს ისეთი წამიერია... აი, ჩვენ მარტონი ვართ ოთახში, მე ვწერ, ის აბრეშუმის წინდას კემსავს, თავი დაუხრია, ყური, რომელიც ნახევრად დაუფარავს ქერა კულულს, უვარდისფერდება. ყელზე ამაღლებულად ბრწყინავს წვრილი მარგალიტი და ნაზი ლოყა ჩავარდნილი ჩანს, რადგან მონდომებით ბუშტავს ტუჩებს. და უცებ, სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო, საოცარი შიში მეუფლება მის მიმართ. ეს ბევრად უფრო საშიშია იმაზე, რომ მაშინვე ვერ შევიგრძენი ის სადგურზე. მე მეშინია, რომ ჩემთან ერთად ოთახში სხვა ადამიანია. მე მეშინია თვითონ ამ გაგებისაც – სხვა ადამიანი. მე მესმის, რატომ ვერ ცნობენ სულით ავადმყოფები ახლობლებს... მაგრამ ის წევს თავს, საჩქაროდ, სახის ყველა ნაკვთით მიღიმის და ჩემი უეცარი შიში უკვალოდ ქრება. ვიმეორებ, ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა, მაშინაც ნერვების სისუსტეს დავაბრალე და დამავიწყდა, რომ სიმარტოვის ღამეს, სარკის წინ, თითქმის ამის მსგავსი რამ განვიცადე.

დაახლოებით სამი წელი ვიცხოვრეთ ერთად. ვიცი, რომ ბევრმა ვერ გაიგო ჩვენი კავშირი. ვერ გაერკვიათ, რითი მომხიბლა ამ უბრალო ქალმა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარდა მისი შეუმჩნეველი სანდომიანობა, მხიარულება, ალერსი, მისი სულის ჩიტივით ჟღურტული... საქმეც ხომ ისაა, რომ მე სწორედ ეს ჩუმი უბრალოება მიცავდა: მისთვის ყველაფერი გასაგები იყო და ხანდახან მეჩვენებოდა, რომ მან სავსებით ზედმიწევნით იცის, რა გველოდება სიკვდილის შემდეგ - და ჩვენ არასოდეს ვსაუბრობდით სიკვდილზე. მესამე წლის ბოლოს იძულებული გავხდი ისევ გავმგზავრებულიყავი საკმაოდ დიდი ხნით. წინა დღეს, რატომღაც, ოპერაში წავედით. ჟოლოსფერ დივანზე ვისხედით და როდესაც ის უზარმაზარ, რუხ ბოტებს იხდიდა, იქიდან თხელი აბრეშუმის წინდებიანი ფეხები ამოჰქონდა, მე ვფიქრობდი იმ მსუბუქ პეპლებზე, რომლებშიც აბრეშუმის ჭიის ვეებერთელა, ხაოიანი პარკებიდან ჩნდებიან. საოცრად საამო იყო, როცა ერთად ვიხრებოდით დარბაზის ვარდისფერი უფსკრულისაკენ და ვიცდიდით სხვადასხვა საოპერო სცენების უფერულ, მოოქრულ გამოსახულებებს მიღმა როდის აიწეოდა სქელი, გამოხუნებული ფარდა. მან კი შიშველი იდაყვით კინაღამ გადააგდო თავისი სადაფის ბინოკლი.

როდესაც ყველა დაჯდა და ის-ის იყო ორკესტრს უნდა

დაეგრიალა – უზარმაზარ ვარდისფერ თეატრში ერთბაშად ჩაქრა შუქი და გაუვალმა, დამაბრმავებელმა სიბნელემ დაისადგურა. ამ წყვდიადში უეცრად ყველაფერი შეინძრა, ახმაურდა და პანიკური ჩურჩული ქალების შეკივლებაში გადაიზარდა. და რადგან ზოგიერთი მამაკაცი ხმამაღლა ითხოვდა სიმშვიდეს, შეკივლება უფრო აღელვებული ხდებოდა. გავიცინე, რაღაცის მოყოლა დავიწყე და ვიგრძენი როგორ მებღაუჭებოდა ხელზე და მიჭმუჭნიდა მანჟეტს. ხოლო როცა ისევ აინთო შუქი და თეატრი განათდა, სრულიად გათეთრებული და კრიჭაშეკრული დავინახე. ლოჟიდან გამოსვლაში მივეხმარე, ქალი თავს აქნევდა, დამნაშავის ღიმილით კიცხავდა ბავშვურ შიშს, შემდეგ კი ატირდა და შინ წაყვანა მთხოვა. მხოლოდ კარეტაში დამშვიდდა და ანთებულ თვალებზე ცხვირსახოცაფარებულმა ამიხსნა, რომ ძალიან დარდობს ჩემს გამგზავრებას და რა ცუდი იყო ბოლო საღამოს ხალხში, ოპერაში გატარება.

12 საათის შემდეგ უკვე ვაგონში ვიჯექი, ფანჯრიდან ვუცქერდი ზამთრის ნისლიან ცას, მზის სხივის გამოკრთომას, გადათეთრებულ მინდვრებს, რომლებიც თითქოს მისდევდნენ მატარებლებს და გედის ფრთის უზარმაზარი მარაოსავით უსასრულოდ იშლებოდნენ. სწორედ დიდ არარუსულ ქალაქში, სადაც მეორე დღეს ჩავედი, განვიცადე უმაღლესი საშინელება.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ სამი ღამე ძალზე ცუდად მეძინა, ხოლო მეოთხე ღამეს კი საერთოდ ვერ მოვხუჭე თვალი. ბოლო წლებში მარტოობას გადავეჩვიე და ახლა ეს ეული ღამეები ჩემთვის მწვავე, გამოუთქმელ ტანჯვად გადაიქცნენ. პირველ ღამეს ის დამესიზმრა: ყველაფერი მზით იყო სავსე, მაქმანიანი პერანგით იჯდა საწოლზე, სულმოუთქმელად ხარხარებდა და ვერ ჩერდებოდა. ეს სიზმარი სრულიად შემთხვევით გამახსენდა, როცა თეთრეულის მაღაზიას ჩავუარე და მაშინვე ვიგრძენი, რომ ის, რაც სიზმარში ასე კარგი იყო – მისი მაქმანები, გაცისკროვნებული სახე, სიცილი – ახლა, ცხადში, საშინელება გახლდათ – და არაფრით შემიძლია ავხსნა, რატომ მეზარებოდა და მეზიზღებოდა ეს მაქმანიანი, მოკისკისე სიზმარი. ბევრს ვმუშაობდი, ბევრს ვწეროდი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თავის ხელში აყვანა მჭირდებოდა. ღამით, როცა ტანთ ვიხდიდი, შეგნებულად ვუსტვენდი, ვღიღინებდი, მაგრამ უეცრად, როგორც შეშინებული ბავშვი ზურგს უკან სკამიდან ჩამოვარდნილი ტანსაცმლის შრიალზე კი ვკრთებოდი.

უძილო ღამის შემდეგ, მეხუთე დღეს გასასეირნებლად გამოვედი. ის, რასაც ახლა მოვყვები, მინდოდა დამებეჭდა დაყოფით, თუმცა არა, არც დაყოფით, არამედ რაღაც ახალი, ჯერ უნახავი შრიფტით. იმის გამო, რომ ღამე არ მეძინა, რაღაც უჩვეულო, შეთვისებულ სიცარიელეს ვგრძნობდი. მეჩვენებოდა, თითქოს შუშის თავი მქონდა და მუხლებშიც შუშისებრად მტეხდა. როგორც კი ქუჩაში გამოვედი... დიახ, ახლა მე ვიპოვე სიტყვა. ვჩქარობ ისინი მანამდე ჩავწერო, სანამ არ გაუფერულებულან. როდესაც ქუჩაში გამოვედი... სამყარო უეცრად ისეთი დავინახე, როგორიც სინამდვილეშია, ჩვენ ხომ მხოლოდ თავს ვიმშვიდებთ, რომ სამყაროს არ შეუძლია უჩვენოდ არსებობა, რომ ის არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვარსებობთ და რამდენადაც ძალა შეგვწევს წარმოდგენის. სიკვდილი, უსასრულობა, პლანეტები – ეს ყველაფერი საშიშია მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი წარმოდგენის გარეთ არსებობენ. და აი, იმ საშინელ დღეს, როცა შემთხვევით ქალაქში, უძილობით გამოფიტული ქუჩაში გამოვედი და დავინახე სახლები, ხეები, მანქანები, ხალხი – ჩემმა არსებამ უეცრად უარი მითხრა მიმეღო ისინი, როგორც რაღაც ჩვეულებრივი, ადამიანური. ჩემსა და სამყაროს შორის კავშირი გაწყდა. მე ჩემთვის ვარსებობდი, სამყარო თავისთვის და ის უაზრო იყო. მე დავინახე იგი ისეთი, როგორიც სინამდვილეშია – ვუცქერდი სახლებს და ისინი კარგავდნენ თავის ჩვეულ სახეს, ყველაფერი ის, რის შესახებაც სახლის ცქერისას შეგვიძლია ვიფიქროთ... არქიტექტურა... რომელიღაც სტილი... რაღაცნაირი ოთახები... უშნო სახლი... მყუდრო სახლი... – ეს ყველაფერი სიზმარივით გაქრა და დარჩა მხოლოდ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სიტყვა. ასევე იყო ხეები და ასევე იყო ხალხი. მე მივხვდი, რა საშიშია ადამიანის სახე. ყველაფერი – ანატომია, სქესობრივი განსხვავება, ხელების, ფეხების, ტანსაცმლის გაგება – ჯანდაბაში გადაიკარგა და ჩემს წინ იყო რაღაცა, არსებაც კი არა, რადგან არსებაც ადამიანური გაგებაა, არამედ სულ სხვა, არარაობა, რომელიც განზე მოძრაობდა. ტყუილად ვცდილობდი დამეძლია შიში, ამაოდ ვიგონებდი, რომ ერთხელ, ბავშვობაში, დაბალ ბალიშზე კეფა დადებულმა გამოვიღვიძე, თვალი გავახილე და ბურანში დავინახე, რომ სასთუმლის რიკულებიდან ჩემსკენ დაიხარა გაურკვეველი სახე, უცხვირო, თვალებ ქვეშ შავი, ჰუსარის მსგავსი ულვაშებით და კბილებით შუბლზე, წამოვიყვირე, წამოვიწიე და იმ წამსვე შავი ულვაშები დედაჩემის წარბებად გადაიქცნენ, ხოლო მთელი სახე დედაჩემის სახედ, რომელიც თავდაპირველად გადატრიალებულად, უჩვეულო სახით დავინახე. და მე ახლაც ვცდილობდი წამოვმდგარიყავი, რათა დანახულს ჩვეული მდგომარეობა მიეღო, მაგრამ ამაოდ. რაც უფრო ყურადღებით ვაკვირდებოდი ხალხს, მით უფრო უაზრო ხდებოდა მათი არსი. შიშით შეპყრობილი ვეძებდი რაიმე დასაყრდენს, საწყის აზრს, რათა მისგან დამეწყო და თავიდან ამეშენებინა უბრალო, ბუნებრივი, ჩვეულებრივი სამყარო, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. მგონი რომელიღაც პარკში ვიჯექი. ჩემი მოქმედებანი ზუსტად აღარ მახსოვს. როგორც ადამიანს, რომელსაც ქუჩაში დაემართა გულის შეტევა, არ აინტერესებს არც გამვლელები, არც მზე, არც უძველესი ტაძრის სილამაზე და მხოლოდ ერთი, ყველაფრისმომცველი სურვილი აქვს – ისუნთქოს – ისე მეც, მხოლოდ ერთი ნატვრა მქონდა - არ გავგიჟებულიყავი. ვფიქრობ არავის, არასდროს ისე არ უნახავს სამყარო, როგორც მე ვნახე იმ წუთებში. საშინელი სიშიშვლე, საშინელი უაზრობა. იქვე რომელიღაც ძაღლი თოვლს ყნოსავდა. ტანჯვით ვფიქრობდი რა იყო „ძაღლი“. რადგან ასე ყურადღებით ვაკვირდებოდი, ძაღლი ერთგულად მომიცოცდა და ისე საშინლად გავხდი, რომ სკამიდან ავდექი და იქაურობას გავეცალე. და მაშინ საშინელებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. უკვე ადამიანი კი არა, შიშველი ხედვა, უმიზნო მზერა, ვიყავი, რომელიც უაზრო სამყაროში მოძრაობს. ადამიანის სახის დანახვა ჩემში ყვირილის სურვილს აღძრავდა.

როგორღაც ისევ ჩემი სასტუმროს შესასვლელთან აღმოვჩნდი. იქ კი ვიღაც მომიახლოვდა და სახელით მომმართა. ის რაღაც გახვეულ ნაგლეჯს მჩრიდა ხელში. ქაღალდი სწრაფად შემოვხსენი და იმ წამსვე მთელი ეს კოშმარი გაქრა, მაშინვე დავივიწყე ყველაფერი და ყველაფერი ისევ ჩვეულებრივი და შეუმჩნეველი გახდა: სასტუმრო, შუშის ტრიალა კარების ათინათები, ნაცნობი სახე შვეიცარისა, რომელიც დეპეშას მიწვდიდა, ფართო ჰოლის შუაში ვიდექი. ჩაიარა ვიღაც ჩიბუხიანმა, კუბოკრულ კარტუზიანმა ბატონმა, დამეჯახა და ზრდილობიანად მომიბოდიშა. ვგრძნობდი განცვიფრებას და უდიდეს, აუტანელ, მაგრამ სავსებით ბუნებრივ ადამიანურ ტკივილს. დეპეშა მაუწყებდა, რომ ჩემი მეგობარი ქალი სიკვდილის პირას იყო.

და სანამ მასთან მივემგზავრებოდი, სანამ მის საწოლთან ვიჯექი, ფიქრადაც კი არ მომდიოდა გამეაზრებინა, რა არის სიცოცხლე და რა არის სიკვდილი. შემშინებოდა მათი. კვდებოდა ქალი, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარდა. მე მხოლოდ ამას ვხედავდი და ვგრძნობდი.

მან ვერ მიცნო, როდესაც მუხლით მისი საწოლის კიდეს დავეჯახე. იწვა უზარმაზარი საბნების ქვეშ, ვეებერთელა ბალიშებზე – თვითონ პატარა, შუბლზე გადაწეული თმით, რის გამოც საფეთქელთან ადრე ვარცხნილობით დაფარული წვრილი ნაწიბური ეტყობოდა. მან ვერ მიცნო, მაგრამ ღიმილზე, რომელმაც ორჯერ შეურხია ტუჩის კუთხეები, ვიგრძენი, რომ ის თავის ჩუმ ზმანებაში, წინა სასიკვდილო წარმოდგენებში ხედავს, თითქოს მის წინ ორი ვინმე დგას – ერთი თავად მე, რომელსაც ის ვერ ხედავს და ჩემი ორეული, რომელიც ჩემთვის უჩინარი იყო. და მერე მე მარტო დავრჩი – ჩემი ორეული მასთან ერთად გარდაიცვალა.

მისმა სიკვდილმა სიგიჟეს გადამარჩინა. უბრალო, ადამიანურმა მწუხარებამ ისე მოიცვა ჩემი ცხოვრება, რომ სხვა გრძნობებისთვის ადგილი აღარ დარჩა. მაგრამ დრო მიდის, მისი სახე ჩემს სულში უფრო და უფრო დასრულებული და უსიცოცხლო ხდება და წარსულის წვრილმანები, ცოცხალი, პატარა მოგონებანი ჩემთვის შეუმჩნევლად ქრებიან. ქრებიან ისე, ერთი მეორის მიყოლებით, ზოგჯერ წყვილად, ზოგჯერ სამი ერთად, როგორც გვიანი ღამის სახლის ფანჯრებში შუქი. და მე ვიცი, რომ განწირული ვარ. ერთხელ გადატანილი საშინელება – უმწეო შიში არსებობისა, ოდესმე ისევ ამიტანს და მაშინ ნამდვილად ველარ გადავრჩები.

თარგმნა ნათია გვასალიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა „ბერიკების“ დიდი ასპარეზი

დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდით, მოსწავლეებით სავსე პარტერი და ამფითეატრი აგერ უკვე ორი საათის მანძილზე სულგანაბული უსმენდა ქართული ტკივილითა და იმედით სავსე სიტყვებს და გაფაციცებული ადევნებდა თვალს, სცენაზე მათი ტოლების მიერ განსახიერებულ ლევან გოთუას მოთხრობის „გარეჯულას“ გმირებს: ნიორას (გიორგი ბუბაშვილი), ამბა ერუშელს (ირაკლი კვაშილავა), გაიოზ წინამძღვარს (შოთა ზაქარაია) და სხვებს, რომლებიც დიდი ძალისხმევით ცდილობდნენ ქართული სულიერების — „ვეფხვის წიგნის“ გადარჩენას უცხო დამპყრობელთაგან, რადგან დარწმუნებული იყვნენ, თუ გადარჩებოდა სულიერება, ქართული წიგნი, გადარჩებოდა საქართველოც.

ეროვნული სულის სიმებზე შეხება, ჩვენდა გასახარად, ამ აუდიტორიას ყრუანტელად უვლიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პატრიოტული სული, ამ მოზარდებში კი არ ჩამკვდარიყო, როგორც ზოგიერთებს უნდათ და ჰგონიათ, არამედ ძალუმად ფეთქავდა! ოღონდ დრო და დრო მას ოსტატურად უნდა შეეხო და წარმოქმნილ სათუთ მელოდიას ფაქიზი სმენა მიაპყრო.

აი, სწორედ ამ მისიას ასრულებს თეატრალური სკოლა-სტუდია „ბერიკები“, რომლის დამაარსებელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი რეჟისორი გოგი თოდაძეა. სასწავლო ნაწილს ხელმძღვანელობს დარეჯან კიკნაველიძე.



რეჟისორი გოგი თოდაძე

სკოლა-სტუდია „ბერიკებს“ თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის შენობაში უდევს ბინა.

თბილისის მრავალი სკოლიდან მოდიან აქ თეატრზე შეყვარებული მოსწავლეები პირველიდან დამამთავრებელ კლასამდე.

იდეის ავტორს გოგი თოდაძეს შესანიშნავად გაუაზრებია სწავლებისა და დაოსტატების ერთიანი კომპლექსური სისტემა. ჯგუფები დაკომპლექტებულია ასაკობრივი ნიშნით. ყმაწვილებს სასცენო მეტყველებას, მსახიობის ოსტატობას, ვოკალს, ქორეოგრაფიას პროფესიონალები, ძირითადად თეატრალური ინსტიტუტიდან მოწვეული პედაგოგები ასწავლიან.

კვირაში სამჯერ სტუდიის ბავშვებს ამეცადინებენ სასცენო მეტყველების პედაგოგები... იური ფოფხაძე, ნატო ჩიტაია, ნათია კასხაძე, თამუნა ბუხნიკაშვილი, რეჟისორები: გოგა თავაძე, ნინო ფხაკაძე, გოგი თოდაძე. ქართულ ხალხურ სიმღერებს ასწავლის ქეთინო შინდაგორიძე, ვოკალს — ზურა ჭარელაშვილი, თანამედროვე ქორეოგრაფიას — თეა გოცირიძე, კლასიკურ რეპერტუარს — ნინო მახათელი.

სტუდიაში მეცადინეობს და თეატრალური ხელოვნების ანბანს ეუფლება ასამდე მოსწავლე.

წელი არ გავა ისე, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ამ სკოლა-სტუდიის კურსდამთავრებული ოთხი-ხუთი ბავშვი არ ჩაირიცხოს. მათ უკვე სოლიდური გამოცდილება აქვთ, რამდენიმე სპექტაკლში

# მალე დედა გახდები



## დედების სკოლა

### თქვენი მომავალი

**რაც მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებით ფეხმძიმობას და მშობიარობას, მით უკეთესი იქნება თქვენი პატარის ცხოვრების სტარტი.**

პირველად გაგება იმისა, რომ მალე დედა გახდები, სიხარულსაც გგვრის და შიშსაც. აუცილებელია საფუძვლიანად მოემზადო ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისათვის. გახსოვდეთ, რასაც თქვენი ჯანმრთელობისათვის აკეთებთ, აუცილებელია ბავშვისთვისაც.

### კონფლიქტის მოსახსნელად

**„27 წლისამ გავაჩინე გოგონა. დიდი სურვილი გვაქვს ქალიშვილს ძმაც ვაჩუქოთ, მაგრამ მე უარყოფითი რეზუს-ფაქტორი მაქვს. გოგონას რეზუს-ფაქტორი და სისხლის ჯგუფი მამისა გამოჰყვა. მაინტერესებს, არსებობს თუ არა იმის რისკი, რომ ბავშვის განვითარებას ან ჩემს ჯანმრთელობას რაიმე ემუქრება?“**

**მარინა**

მსგავს სიტუაციაში (დედას უარყოფითი, მამას — დადებითი რეზუს ფაქტორი აქვს) მათ პირველ შვილს თანაბარი შანსი აქვს გამოჰყვეს დედის ან მამის რეზუს-ფაქტორი: თუ ბავშვი უარყოფითი რეზუსით დაიბადა; არავითარი სპეციალური ღონისძიების გატარება არაა საჭირო, კონფლიქტის საშიშროება არ წარმოიქმნება. ხოლო თუ მამის რეზუს-დადებითი გამოჰყვა, მაშინ პირველი 48 საათის განმავლობაში დედას უნდა გაუკეთდეს ანტირეზუს გამაგლობულინის ინექცია. ეს ნივთიერება ხელს უშლის რეზუს ანტისხეულების წარმოქმნას და თავიდან აგაცილებთ პრობლემებს, რაც რეზუს შეუთავსებლობის გამო წარმოიქმნება. (მომდევნო ბავშვს შეიძლება ჰქონდეს სიყვითლე, ანემია ან შეშუპება).

პირველი ფეხმძიმობისას რეზუს-კონფლიქტის წარმოშობის საშიშროება ნაკლებია, მაგრამ მეორე ფეხმძიმობისას უსათუოდ უნდა გაიაროთ შემოწმება რეზუსანტისხეულებზე. სასურველია, ეს მოხდეს ორსულობის მე-11-12 კვირაზე.

რეზუსუარყოფითიანი ქალები უნდა გავაფრთხილოთ, რომ რეზუს-კონფლიქტი აბორტის შემდეგაც შეიძლება წარმოიქმნას. ამიტომ ექიმები გირჩევენ, აუცილებლად შეინარჩუნოთ მეორე ორსულობა.

***„გამიგია, რომ ორსულმა ქალმა უნდა სვას რაც შეიძლება მეტი სითხე, მაგრამ რა ვუყოთ მაშინ შეშუპებას?“***

*ელენე ი.*

ყოველმა ქალმა დღეში 2 ლიტრი სითხე მაინც უნდა მიიღოს, რათა მისი თმა, ფრჩხილები და კანი თავს კარგად გრძნობდეს. რაც შეეხება ორსულობას, თუკი იგი ნორმალურად მიმდინარეობს, არა გაქვთ მაღალი წნევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობა, ფესტივალებსა და კონკურსებში (მათ შორის უცხოეთში) გამარჯვება, პრესის ყურადღება, პრემიერების მღელვარება და რამდენი ერთი ჩამოვთვალო, ერთი სიტყვით, ეს ყმაწვილები მჩქეფარე თეატრალური ცხოვრებით ცხოვრობენ.



● ლევან გოთუას „გარეჯულა“. თეატრალური სკოლა-სტუდია „ბერიკები“ სპექტაკლის შემდეგ

წელიწადში ორ-სამ სპექტაკლს მაინც უშვებენ. სპექტაკლები გამოაქვთ ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლის, აგრეთვე სხვა პროფესიული თეატრების სცენებზეც: მარჯანიშვილის, გრიბოედოვის თეატრებში. ხშირად აწყობენ საქველმოქმედო სპექტაკლებს. რეპერტუარი მრავალფეროვანია: კლასიკა, ზღაპრები, გასცენიურებული ლიტერატურა. უბრალო ჩამოთვლაც მეტყველებს ნორჩი თეატრალების დიაპაზონზე: ბრეხტი, ეკზიუპერი, შვარცი, ლევან გოთუა, ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, რეზო გაბრიაძე, მეტერლინკი, ჯანი როდარი და მრავალი სხვა.

დიდი წარმატება ხვდა ეკზიუპერის „პატარა უფლისწულს“ რუსეთში 1994 წელს გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე. ამ სპექტაკლს 1996 წელს „იაპონიის ფესტივალის მარგალიტი“ უწოდეს.

მონაკოში ისე მოიწონეს შვარცის „ჩვეულებრივი სასწაული“, გამონაკლისი დაუშვეს და ბავშვები მონაკოში მეორედ მიიწვიეს. ამჯერად თბილისელმა მოზარდებმა ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი“ წარმოადგინეს. დასმა იმოგზაურა თურქეთში, გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, წლეულს ზაფხულში გერმანიაში „ბურატინოს თავგადასავალი“ უნდა აჩვენონ.

განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ქართული რეპერტუარი და თეატრის ხელმძღვანელობა ცდილობს აქედანვე ღრმად გააცნოს და შეაყვაროს მომავალ მსახიობებს ქართული დრამატურგია, რადგან სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილი ხელოვანი ვერასოდეს მიაღწევს შემოქმედების მწვერვალებს.

სკოლა-სტუდია ხშირად მასპინძლობს ქართველ მწერლებს, მსახიობებს, თეატრის მოღვაწეებს. სასიამოვნოდ დარჩათ მოზარდებს შეხვედრა ანა კალანდაძესთან, მიხეილ ქვლივიძესთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან, რეზო ამაშუკელთან, ნუგზარ შატაიძესთან, გივი ბერიკაშვილთან, ვასო კიკნაძესთან.

ეს წარმატებები, ცხადია, ზერელე, გულსგარეთ მუშაობით ვერ მიიღწეოდა. უზარმაზარ ენერგიას ხარჯავენ აღმზრდელები, რომ ამ ნედლი მასალიდან თითქმის პროფესიონალი მსახიობები აღზარდონ, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ყმაწვილების პროფესიონალებად ჩამოყალიბებას სოლიდური საფუძველი ჩაუყარონ.

ბ-ნ გოგი თოდაძეს ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ის საბავშვო საქალაქო თეატრს ხელმძღვანელობდა ნათელა ჯიღაურის მხატვრული აღზრდის სახლში. მისი აღზრდილებიდან ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს: მამუკა კიკალეიშვილს, ზაზა პაპუაშვილს, ალეკო მახარობლიშვილს, ნათია მეტრეველს და ბევრ სხვას. წლების მანძილზე გოგი თოდაძე აწყობს პრეზიდენტის ნაძვის ხეს, სხვა თეატრებშიც დგამს საინტერესო სპექტაკლებს.

ამგვარი გულმხურვალე ადამიანების ხელში პატარა ბერიკები დიდ ასპარეზზე გადიან, მსოფლიოს აცნობენ ქართული სახიობის, ქართული ნიჭიერების მრავალფეროვნებას.

**ნარგიზა მგელაძე**

---

სითხის გამოყოფა ნორმალურია, შარდის ანალიზი კარგია, მაშინ სითხის შეზღუდვა საჭირო არ არის (1,2 ლიტრი დღეში). მეტი სითხე უნდა მიიღოთ ორსულობის პირველ ტრიმესტრში. სითხის ცოტა შეზღუდვას ექიმი ნიშნავს 20 კვირაზე, ხოლო მკვეთრად შეზღუდვა მოგიწევთ ტოქსიკოზის ან ორსულობის სხვა გართულების შემთხვევაში.

***„ამბობენ, ტოქსოპლაზმოზი ადამიანებს ცხოველებისაგან ედებათ. მინდა გავიგო, რა გავლენას ახდენს ეს დაავადება ორსულებზე. შეიძლება თუ არა მქონდეს ეს იმუნიტეტი, თუკი უკვე 11 წელია სახლში კატა მყავს?“***

***მარინე ე.***

ტოქსოპლაზმოზი სისხლის დაავადებაა. მისი წარმომშობია მიკრობი, რაც ნამდვილად შინაური ცხოველისაგან, უფრო ხშირად კატისაგან გადაედება ადამიანს.

ბევრი ჩვენგანი სერიოზული ინფექციის მატარებელია, მაგრამ პრობლემა იწყება მაშინ, როცა ავადმყოფობა აქტიურ ფაზაში გადადის. ეს ავადმყოფობა განსაკუთრებით საშიშია ორსული ქალებისათვის. ინფექცია პლაცენტის გავლით ხვდება ნაყოფში და მაშინ საშიშროება ემუქრება ბავშვების მხედველობას, გონებრივ განვითარებას და ცენტრალურ ნერვულ სისტემას.

ამიტომ საჭიროა, რეგულარულად შეამოწმოთ კატის ჯანმრთელობა (ინფექციის თვალსაზრისით) ხოლო ვიდრე ორსულობას დაგეგმავდეთ, უნდა გაიკეთოთ ანალიზი ტოქსიკოპლაზმოზზე, რადგან ეს დაავადება მეტად გავრცელებულია. ტოქსიკოპლაზმოზის აღმოჩენის შემთხვევაში ადამიანს გამოუმუშავდება ანტისხეული და იმუნიტეტი, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამიტომ თუ ორსული თვითონ უვლის კატას, უნდა ეცვას რეზინის ხელთათმანი. ტოქსიკოპლაზმის წარმომშობი ბაქტერია უმ ხორცშიც გვხვდება. ასე რომ, ხორცის დასამუშავებლად უნდა გქონდეს ცალკე ფიცარი და დანა. ეცადეთ, კარგად მოხარშოთ ხორცი.

***„ვარ 18 წლისა, პირველი ორსულობა მიმდინარეობს ხშირი გულისრევით, თავბრუსხვევით, მიუხედავად იმისა, რომ სამ თვეზე მეტი ხნის ვარ. რას უნდა მივაწეროთ ეს მოვლენები?“***

***ეკატერინე ჩ.***

თქვენი სიმპტომებით უნდა მიმართოთ ექიმ-თერაპევტს. ცნობილია, რომ ამგვარი მიდგომა დამახასიათებელია ძალიან დაბალი, ან ძალიან მაღალი წნევის შემთხვევაში. ყურადღება უნდა მიაქციოთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტსაც. შეიძლება აქ იყოს კუჭის წყლული, ეზოფაგიტი ან პანკრეატიტი. ყურადღებით უნდა გაისინჯოთ ჰემოგლობინი, რადგან გამორიცხული არ არის ანემია. თუ ამ პრობლემებს დროზე არ მიაქცევთ ყურადღებას, შეიძლება დადგეს ორსულობის შეწყვეტის საშიშროება.

## უპრობლემო ბავშვი არ გაიზრდება

### როცა ბავშვი ჭირვეული და ხარბია

ჩვილობის ასაკი მაშინ მთავრდება, როცა ბავშვი ერთიდან ორი წლის ასაკში გადადის. მას ყველაფრის ნახვა და შეხება სურს, მოუთმენელია, უმიზეზოდ ჭირვეულობს, ყურადღების მიქცევას მოითხოვს. მესამე წელში გადასვლისას ჩნდება პრობლემა – „მე თვითონ“. ბავშვი ცდილობს დაამტვრიოს, რაც ხელში მოხვდება, მარტო ცნობისმოყვარეობისათვის კი არა, უბრალოდ, თავისი შესაძლებლობების შესამოწმებლადაც. მასში მესაკუთრის გრძნობაც მატულობს – „ეს ყველაფერი ჩემია“. მაგრამ საშიში არაფერია, თუ სამი წლის ბავშვი ხარბი და მომხვეჭელია, ცოტა ხანში გაუვლის.

### პირველი საიდუმლო

ექვსი-რვა წლის ბავშვი უცბად აღმოაჩენს, რომ გარესამყაროსთან ერთად შიდასამყაროც არსებობს და მშობლებს რაღაც საიდუმლოს უმალავს. იგი აღარ არის უშუალო, აღარ ამჟღავნებს გრძნობებს, რადგანაც უკვე ესირცხვება.

მომდევნო ასაკში ეს კრიზისი მთავრდება. მოზარდი მშობლების მიმართ ხშირად გამოხატავს პროტესტს, მეტ ყურადღებას მოითხოვს, თუმც თვითონაც არ იცის რა უნდა.

ზოგჯერ პირიქითაც ხდება: შვილები ისე მიეკედლებიან მშობლებს, რომ მათზე სრული დამოკიდებულები ხდებიან. მშობლებს ეს უხარიათ კიდეც. არა და, საქმე იმაშია, რომ ბავშვს ეშინია დიდობის. ხშირად ეს კრიზისი გრძელდება და სიჭაბუკეშიც იჩენს თავს. ცხადია, ასეთი შვილები დიდხანს რჩებიან ბავშვებად.

**„ლიზა“, 2002 №3**

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თეთრი მაგია კეთილია“



*პოპულარული ფსიქოლოგ-პარაფსიქოლოგი, თეთრი მაგიის მაგისტრი, პარანორმალურ მოვლენათა წინასწარმეტყველი, ტიბეტური მედიცინის თეთრი მანტიის მფლობელი ანა(არმიდა) ლენორმანი*

*მის საგვარეულო შტოში მეშვიდე ქალია, ვაჟი არ დაბადებულა, და ყველა ემსახურება ერთ საქმეს – თეთრ მაგიას...*

*ვფიქრობ მკითხველისთვის საინტერესო იქნება მასთან გასაუბრება*

**– ქალბატონო ანა, არის თუ არა მაგია მეცნიერება და მაგიის რამდენი სახეობა არსებობს?**

– მაგია რამდენიმე მეცნიერებას მოიცავს, რომელთაც თავისი კანონები აქვთ: ასტროლოგია, ანატომია, ალქიმია, ფიზიოგნომიკა და მრავალი სხვა, რომელთა გაუთვალისწინებლადაც შეუძლებელია ადამიანი ნამდვილი მაგისტრი გახდეს; გარდა ამისა, მაგიას თავისი მკაცრი წესები აქვს, რომელთაც უსიტყვოდ ემორჩილები. საერთოდ, მაგიის რამდენიმე სახეობა არსებობს, ყველაზე გავრცელებულია თერთი და შავი. შავი მაგია ბოროტია, თეთრი – კეთილი. არსებობს კიდევ წითელი და რუხი. წითელი – დადებით ენერგიას ატარებს, სამკურნალოდაა მიმართული; რუხი შავს ვერ შეედრება, მაგრამ მაინც უარყოფითი ენერგიის მატარებელია.

შავი მაგიის გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანს ეწყება გულისრევის შეგრძნება, ეკარგება მადა, ძალა და ენერგია, გრძნობს ემოციურ და ფიზიკურ სისუსტეს, ეწყება ტკივილები გულის არეში, თავში, იტანჯება უძილობით, კოშმარებით, უფრო მძიმე შემთხვევაში ადამიანი იწყებს უცნაური ხმების, ტელეპატური სიგნალების აღქმას. ისინი უბრძანებენ, რომ სხვებსაც და საკუთარ თავსაც მოუტანონ ზიანი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ „შავი მაგები“ და შემკვეთები აუცილებლად დაისჯებიან სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც.

**– როგორ უნდა შეებრძოლო შავ ძალებს?**

– თეთრი მაგიის საქმიანობა სიკეთით შემოიფარგლება. სამშაბათიდან შაბათის ჩათვლით კოსმოსი ჩვენ გვეკუთვნის. შაბათიდან კვირა დღის ჩათვლით მხოლოდ და მხოლოდ „მამაო ჩვენო“-ს ვკითხულობთ; ორშაბათ-სამშაბათი შავი მაგიის დღეებია. კოსმოსურ სივრცეს ისინი იპყრობენ და კითხულობენ შებრუნებულ ლოცვებს, სჩადიან ათასგვარ ბოროტებას.

მე ვებრძვი სატანას, შავ ძალებს. თუ იქნებიან მსურველები, ვისაც ჩემი დახმარება სჭირდება, შეუძლიათ დამიკავშირდნენ 72-27-43, ან 899-511285.

**– თილისმების ფერები... სხვა მაგიური ძალები... რას მოასწავებს ეს?**

– თილისმების დასამზადებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ფერებს. სამკურნალო – ანუ ლურჯი ფერი განსაკუთრებულად ძლიერია. თორმეტგოჯა ნაწლავის მკურნალობაში. წითელი ფერი (სტაბილიზატორი) – სურვილების სიმბოლოა.

თილისმა სრულყოფილი და ძლიერმოქმედი რომ გახდეს, აუცილებელია ადამიანის ბიორეზონანსული კიდის დადგენა. თუ გსურთ ყველა წესის დაცვით გაკეთდეს თილისმა, წინასწარ ზუსტად უნდა განისაზღვროს მიზანი. ეს შეიძლება იყოს რომელიმე დაავადების განკურნება, ხასიათის მავნე თვისებების განკურნება, ხასიათის მავნე თვისებების შეცვლა, წარმატება სიყვარულში, ბიზნესში და ა.შ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თეთრი მაგია სიკეთის ქმნის ლოგიკის თანმიმდევარი მოძღვრება გახლავთ და იგი აქტიურად იყენებს კაცობრიობის ყოველ მიღწევას.

ჩემი მეთოდი უძლიერესი მაგიური ცხრიანის წევრთა მეთოდია. რა თქმა უნდა, ნებისმიერ ჩვენთაგანს თავისი ასტრალური ძალა აქვს, განსხვავებული მხოლოდ სხვადასხვა სისტემები და ფსიქოლოგიური მიდგომაა.ყოველი ავადმყოფი ცალკე ინდივიდია ჩემთვის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერთი და იგივე სნეულება აწუხებს რამდენიმეს. ყოველ ადამიანს ინდივიდუალურივარსკვლავი აქვს და საკუთარი ინდივიდუალური ენერგეტიკა გააჩნია. ჩემი მიზანია თანდათანობით ჩავატარო დაავადებების მკურნალობა. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტის რწმენის ფაქტორს, მისი სულიერი სიწმინდის ხარისხს, და ასევე მკურნალ თილისმას, რომელშიც ჩადებული იქნება ქვის ენერგეტიკა.

თილისმა ძვირფასია არა მხოლოდ როგორც დამცავი საშუალება, ან წარმატების მიღწევის შესაძლებლობა, არამედ ის არაჩვეულებრივად დიდ დახმარებას უწევს ადამიანს საჭირო ინფორმაციის მიღებაში, უფრო ეფექტურად მუშაობაში. თილისმები იწერება ადამიანის ინდივიდუალური ჰოროსკოპის შედგენის შემდეგ, მე ენერგეტიკულ თილისმებს ვიყენებ პაციენტების მკურნალობის, ბედისწერის შეცვლისა თუ ბედის დარტყმებისაგან დასაცავად.

**– ჩვენი დღევანდელობა, პოლიტიკა, ადამიანები... რა შეხებაშია მათთან თეთრი მაგია?**

... მაგრამ ჯერ-მცირე გადახვევა. 2000 წლის სექტემბერში ქალბატონმა ანამ იწინასწარმეტყველა და ჩვენს პრესაშიც დაიბეჭდა, რომ შეერთებულ შტატებში შეიძლება მომხდარიყო თავისი მასშტაბებით არნახული კატასტროფა, რომელიც შესაძლოა მესამე მსოფლიო ომის საბაბიც კი გამხდარიყო, მოსალოდნელია საშიში დაპირისპირება მუსულმანურ და ქრისტიანულ სამყაროს შორის, ციმბირის წყლულის გავრცელების საშიშროებაო. დიახ, მის ინტერვიუებში არის ყოველივე ეს, და არის ისიც, რომ ახლო მომავალში საქართველოშიც მოსალოდნელი იყო ქაოსი და არეულობა, რასაც მოჰყვებოდა მთავრობის შეცვლა.

აი, რა შეუძლია თეთრ მაგიას!

ანა არ მიეკუთვნება არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, არც ვისამე პოლიტიკურ მოსაზრებებს იზიარებს, რადგან თვლის, რომ პოლიტიკა საკმაოდ ბინძური საქმეა, თუმცა... თუმცა, ცხოვრების მდინარებას ვერც თეთრი მაგია ასცდება და მისი წინასწარმეტყველების საკმაოდ დიდი წილიც სწორედ პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება... ის ამბობს, რასაც გრძნობს და ხედავს, როგორც ჩანს დღევანდელი საქართველო მისეულ მგრძნობიარე ხედვაში.

– რაც შეეხება პოლიტიკას... ამჟამად საქართველოს ქაოსის შავი ღრუბლები აწევს. ეს ღრუბლებია მანამ, სანამ ჩვენი ხალხის „მეგზური“ იქნება გულგრილობა და გაუტანლობა, სიხარბე და სიდუხჭირე. შემოდგომის მიწურულს ხელმძღვანელ თანამდებობებზე უარყოფითი ენერგიით დატვირთული ადამიანები მოვლენ. ხელისუფლება საბოლოოდ იხლიჩება, ყველგან ქაოსია.

ხელისუფლება შეიცვლება, მაგრამ ამას არ მოჰყვება არაფერი უარესი, ან ისეთი, რაც შეიძლება ხალხისთვის საშიში იყოს... მერე შეიცვლება სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ცხოვრება ნელ-ნელა გაუმჯობესდება.

და კიდევ – შეშფოთებით ნათქვამი რამდენიმე სიტყვა:

საერთოდ, 2002-2003 წლებში იძალებს ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები, მოიმატებს აგრესია მსოფლიოში, მხოლოდ 2004 წლის შემდეგ იქნება დადებითი ცვლილებები. სიცოცხლე ვერ ასცდება სიკეთის ღვთიურ გზას და ჩვენც, მარადიულ მდინარებას აყოლილნი, სიკეთისაკენ მივემართებით.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვხედავ მთელი ჩემი არსებით, რომ მთავარია გულით მოვინანიოთ ცოდვები, სანამ კიდევ არის ამის დრო და შესაძლებლობა, სიკეთისათვის გაერთიანება და მონანიება არის ჩვენი მომავალი.

**– გმადლობთ საუბრისათვის.**

თეთრი მაგი ასტრალში უნდა შედიოდეს. ეს არის ჩვენი სამყაროს მიღმა სამყარო, – იქ უკვე ის არის სხვა პიროვნება. ე.ი. ასტრალის ნაწილი და სხვადასხვა ეტაპების გავლენით მერე ხდება მისი მონათვლა. მას ენიჭება ასტრალური სახელი ანუ კოდი. ეს არის ნათლობის ბრწყინვალე რიტუალი. რიტუალს ესწრებიან თეთრი მაგები და მათი მოსწავლეები. ნათლობის დროიდან თეთრი მაგი აქაც და იქით სამყაროშიც იქნება ქრისტეს მიმდევარი, მისი ერთგული მსახური.

ჯულიეტა ონიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის კი ყველა პედაგოგი კარგი ფსიქოლოგი?

*მოსწავლეთა ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში შესვლისთანავე ლამაზ სამყაროში აღმოჩნდებით, რომელსაც ბავშვების მხიარული ჟრიამული განსაკუთრებულ ხიბლსა და სიხალისეს მატებს და, სადაც პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამენ თაობები ხელოვნებაში, მეცნიერებასა თუ ტექნიკაში. ყველაფერ ამასთან ერთად, აქ პატარებს უფროსების პატივისცემას და ერთმანეთის სიყვარულსა და თანადგომას ასწავლიან. მობრძანდით — კარებში თავაზიანად გზას მითმობენ გოგო-ბიჭები. გამარჯობათ, — ღიმილით მესალმება ჯერ ერთი, შემდეგ — მეორე... ვგრძნობ, თანდათანობით როგორ მევსება გული სითბოთი.*



**სასახლის უცხო ენათა კაბინეტის პედაგოგები**

უცხოური ენების შემსწავლელ კაბინეტში ელეგანტური ქალბატონი დამხვდა. კაბინეტის გამგე ნანა ბუდაღაშვილი სანებლიძე ვიკითხე. გულში გამიხარდა კიდეც, პასუხად რომ მივიღე, მე გახლავართო...

— მეც სასახლის აღზრდილი ვარ, — მითხრა ქ-ნმა ნანამ, — აქ გატარებული თითოეული დღე იმდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, იმდენი სითბო და სიკეთე მახსოვდა, რომ უცხო ენების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კათედრაზე დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ გულმა მაინც აქეთკენ გამომიწია. თანაც ბავშვებთან მუშაობა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. მას შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა და სხვაგან წასვლაზე არ მიფიქრია.

**— თითოეული ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, სადაც მოზარდი დროის დიდ ნაწილს ატარებს. როგორ მოქმედებს სასახლის გარემო ბავშვის ჩამოყალიბებაზე?**

— გადაჭარბებაში ნუ ჩამითვლით და სასახლე, ეს იგივე ტაძარია. პედაგოგმა პირველ რიგში, მოსწავლის სულიერ აღზრდაზე უნდა იზრუნოს, ჯერ ბავშვის სულში ჩაიხედოს, გაიგოს, რით სუნთქავს, რა უხარია, რა აწუხებს. რადგან მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლის ჯანსაღი ურთიერთობის შემდეგ იქნება სწავლა შედეგიანი.

დღეს ხშირად გაიგონებთ, მთავარია, ბავშვმა უცხო ენები და კომპიუტერი ისწავლოსო, მისი სულიერი სამყარო კი რატომღაც ავიწყდებათ. არადა, ბავშვი სათუთი ყვავილივითაა და უხეში მოპყრობა მასზე დამღუპველად მოქმედებს. ამიტომ ვცდილობ, რომ თითოეული გაკვეთილი სავსე იყოს ჯერ სიყვარულით, შემდეგ ფრანგული ენით და უამრავი საინტერესო ინფორმაციით.

**— ესე იგი, ჭეშმარიტი პედაგოგი კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს...**

— აუცილებლად, ადრე თუ გვიან ბავშვი უცხო ენასაც ისწავლის და კომპიუტერზე მუშაობასაც აითვისებს, მაგრამ თუ ცოდნას შინაგანი კულტურა და ჯანსაღი სული არ ახლავს თან, მაშინ მის განათლებას ფასი არ ექნება.

**— როგორც ვიცი, უცხოურ ენათა კაბინეტს დიდი ტრადიციები აქვს. საყოველთაო გაჭირვების ჟამს თქვენს კაბინეტსაც შეექმნებოდა გარკვეული პრობლემები.**

— ჩემი ღრმა რწმენით, დიდი საქმე სწორედ სიძნელეების დაძლევის შემდეგ კეთდება. მთავარია სურვილი და მოთმინება. ჩვენს პედაგოგებს წუწუნი არ სჩვევიათ. განა ჩვენ კი სიმბოლურ ანაზღაურებაზე არ ვმუშაობთ. მაგრამ გვჯერა, რომ მართლაც დიდ საქმეს ვაკეთებთ. უამრავი ნიჭიერი და ცნობილი ადამიანი გაიზარდა ამ კედლებში, მომავალშიც ბევრი გაიზრდება. თუმცა ბოლო წლებში დამაფიქრებელი და სამწუხარო ტენდენციები შეინიშნება. დღეს ახალგაზრდები წიგნს ფაქტიურად აღარ კითხულობენ. ტელევიზიამ და კომპიუტერმა მათ ინტერესებს მიმართულება უცვალა. ამიტომ ჩვენს პედაგოგებს ორმაგი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ მოსწავლეებს როგორმე შეაყვარონ წიგნი. მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, ჩვენი კაბინეტის ინიციატივით მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება სასახლეში: საშობაო ზეიმები, მთარგმნელთა კონკურსები, აქტიურად ვმონაწილეობთ რესპუბლიკურ კონფერენციაში. საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ვაწყობთ ღონისძიებებს, სადაც ბავშვები უამრავ საინტერესო და მრავალფეროვან ინფორმაციას იღებენ საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიაზე, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე.

**— რამდენად ეფექტურია სასახლეში მიღებული ცოდნა? ანუ საჭიროებს თუ არა ბავშვი დამატებით რეპეტიტორთან მეცადინეობას?**

— ენა ცოცხალი ორგანიზმივითაა. ვითარდება, იცვლება, იხვეწება. ამდენად პერიოდულად აუცილებელია სწავლების მეთოდიკის შეცვლა და განვითარება. გატკეპნილი გზით არც ჩვენ მივდივართ. ვცდილობთ, თანამედროვე მოთხოვნებს არ ჩამოვრჩეთ. თუმცა, ტრადიციებსაც არ უნდა გადავუხვიოთ რადიკალურად, რადგან როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სწავლების ის მეთოდიკა, რომელიც იაკობ გოგებაშვილიდან მოდის, შეიძლება ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდეს, ვიდრე ის ექსპერიმენტები, დღეს ლამის არის რომ წაგვლეკოს. ჩვენთან უცხო ენები მართლაც საინტერესო პროგრამით ისწავლება. შედარებით სუსტი მოსწავლეც კარგად ითვისებს. ახალ მასალას აქვე ვასწავლით, რადგან ბავშვები სკოლის პროგრამით ისედაც დატვირთულები არიან. თუ ბავშვი მოინდომებს, არ იზარმაცებს და აგვყვება, მას დამატებითი მომზადება ნამდვილად არ დასჭირდება. ამის თქმის უფლებას ისიც მაძლევს, რომ რამდენიმე ჩემი ყოფილი მოსწავლე დღეს ჩემი კოლეგაა და ერთად ვასწავლით ფრანგულ ენას.

**— ქ-ნო ნანა, ვინ მოთვლის, რამდენ ბიზნესმენს თუ პოლიტიკოსს გაუტარებია ბავშვობის წლები ამ კედლებში, დღეს საცოდავად რომ დაბზარულა და დროულ შველას საჭიროებს. ნუთუ რომელიმეს სურვილი არ გასჩენია, რაიმეთი მაინც დახმარებოდა სასახლეს?**

— სამწუხაროდ, ეს კეთილშობილური აზრი დღემდე არავის გასჩენია, იქნებ ახლა, მიწისძვრის შემდეგ მაინც დაგვეხმარონ. ქველმოქმედება, პირველ რიგში, მათ სულს წაადგება სასიკეთოდ. და მაინც, თავს უიმედობის უფლებას არ ვაძლევ, რადგან, საბედნიეროდ, მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც უშურველად აკეთებენ რაც შეუძლიათ. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინდა გადავუხადო ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს, არაჩვეულებრივ მთარგმნელს, ღვაწლმოსილ პედაგოგს ქ-ნ მზია ბაქრაძეს, რომლის დახმარებითაც დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრიდან უნიკალური წიგნები მივიღეთ საჩუქრად. ასევე მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩვენი დირექტორი ბ-ნი გია შალამბერიძე, რომელიც ყველაფერს აკეთებს სასახლის ასაღორძინებლად.

**— გეგმები?**

— მომავლის გეგმები უამრავია, სურვილი კი - ერთი — საქართველოს გამთლიანებას და სიძლიერეს მოვესწროთ ღმერთმა.

მარინე ნაკაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოთანში ჩარგული ფოთოლი

საავადმყოფოში ჩვეულებრივზე ადრე მივედი. დილის კონფერენცია ჯერ არ დაწყებულიყო. მორიგე ექიმი შემომხვდა და მითხრა, შენი ავადმყოფი დამძიმდა და ახლახან რეანიმაციის განყოფილებაში გადავიყვანეთო.

საორდინატოროში აღარ შევყოვნებულვარ, ხალათი გზადაგზა ჩავიცვი... რეანიმაციის კართან მის ლამაზ ცოლს მოვკარი თვალი. საცოდავად აყოლებდა თვალს შემსვლელ-გამომსვლელს.

ნაბიჯი შევანელე. „ომსა და მშვიდობაში" ლევ ტოლსტოის მიერ აღწერილ ოთხმოცდაჩვიდმეტნაირი ღიმილიდან ერთ-ერთი მოვირგე, ჩემს მიერ არაერთგზის აპრობირებული. ჩემმა ღიმილმა გაჭრა. ქალს სასოწარკვეთილება გაუქრა სახიდან და ისე მომაჩერდა, თითქოს იესო ვიდექი ლაზარეს საფლავთან...

ამ მზერამ გამაღიზიანა. უნდა გამოვტყდე, ეს ქალი გაცნობისთანავე მაღიზიანებდა — წარმატებული მამის ერთადერთი, განებივრებული შვილი და ქალაქში კაცობითა და გარეგნობით ცნობილი პოპულარული კაცის ნაფერები ცოლი. მას ყველაფერში, თვით სულელობასთან წილნაყარ გულუბრყვილობაშიც ეტყობოდა, რომ გზაზე ასანთის ღერიც კი არსად დახვედრია, პრობლემა რომ შექმნოდა. ახლაც ისეთივე სულელური გამომეტყველებით მომჩერებოდა უსაშველოდ დაბნეული. ეტყობა დაიწყო „საწუთროს ვალების" გადახდა და ვერც კი მიმხვდარა-მეთქი. გავიფიქრე და ჩემივე ცინიზმის შემრცხვა.

პალატაში შევედი, ლამაზი მამაკაცი პირაღმა იწვა და მძიმედ სუნთქავდა. ექთანს გამზადებული შპრიცი ჩამოვართვი და ნემსი მე თვითონ გავუკეთე. წამალი ნელ-ნელა შემყავდა ვენაში, თითქოს იმ წამალს ვატანდი ჩემს დაუძლეველ, უზარმაზარ სურვილს — სააქაოსკენ მომებრუნებინა ის, რომელიც ბუნებას უკვე განწირული ჰყავდა.

რამდენად მართალი იყო ექიმი ბერნარდი, როცა ამბობდა: მე ვცდილობ ჩემს პაციენტებს არ დავუმეგობრდეო. ეს კაცი არ იყო ჩემი მეგობარი, მაგრამ რატომღაც იმ ადამიანთა რიცხვს მივაკუთვნე, რომლებიც თავიანთი სიკვდილით ჩემს ბიოგრაფიას დააკლდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ჩემს იდეალთან ახლოს მდგომად მივიჩნიე. იმთავითვე მომეწონა და ამ ხნის მანძილზე მასაც არაფერი დასცდენია ისეთი, რომ განვხიბლულიყავი. პირიქით, თავს არ ვუტყდები, თორემ, მშურდა მისი ცოლის.

ახლა კი სრულიად მორჩილი, ჩემს ხელს მინდობილი კაცი იწვა ჩემს წინ და ველარაფერს ვშველოდი. სიკვდილის ანგელოზი თავთან ედგა და ალბათ გულიანად დასცინოდა ჩემს გულმოდგინებას. მან ერთი წუთით გაახილა თვალები. საოცრად ნაცნობი, ტკივილამდე ნაცნობი მზერა დავიჭირე.

„მართვითი სუნთქვის" აპარატში ჩართეს... წესია ასეთი, ბოლომდე უნდა იბრძოლოს ექიმმა, სიკვდილის ანგელოზს ხელთათმანი ვესროლეთ და მანაც გამოწვევა მიიღო... თუმცა რა გამოწვევა, მისი გამარჯვება გარდაუვალი იყო.

ყოველთვის ასეთ დროს მინდა სასწრაფოდ გავიქცე, მოვიყვანო მღვდელი. განწირულისაგან აღსარება მივაღებინო, ვაზიარებინო. ვილოცო „მამაო ჩვენო", ვიბუტბუტო ფსალმუნები, მერე დინჯად, აუჩქარებლად მივიდე აპარატთან, გამოვრთო და ვაჟკაცს ღირსეული სიკვდილის საშუალება მივცე.

ახლაც, როგორც ყოველთვის, ვერ გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც გულით მეწადა, მაგრამ რეანიმატოლოგებთან ერთად გავაკეთე ის, რაც არ მსურდა. ის, რაც ადამიანთა მიერ მოგონილი და ჩემს მიერ „კარგად ნასწავლი" წესი მავალებდა. ძვირფასი ადამიანი აპარატს ჩავაბარე და ასე ვაიძულე ეცოცხლა!

არადა, მე მას გუშინ „ნახვამდის" ვუთხარი. ახლა კი ხელიდან მეცლებოდა ლირიკული რწმენა იმისა, თუ როგორ მომიძღვნიდა ლამაზ თაიგულს, ლამაზ ცოლზე დაყრდნობილი ლამაზი კაცი. ჩუმად, მოკრძალებით მეტყოდა „ნახვამდის" და მერე წუთით, სულ ერთი წუთით გამიხსენებდა ცოლის ალერსით გადაღლილი. გამიხსენებდა და მის ნაინფარქტალ გულს უცხო სევდა შეარხევდა.

პალატიდან ველარ გავედი, დილის კონფერენცია უჩემოდ ჩატარდა, აქაც აღარავის ვჭირდებოდი. ამ „ბუნებრივ გარდაუვალობას" უკვე ველარაფერი შეცვლიდა, ვერც მისი მფარველი ანგელოზი, ვერც მე და ვერც ის ყუთი, რომელიც მის სუნთქვას მართავდა.

შემოდგომა იყო. ოთახში გარკვევით ისმოდა „სჩეინ სტოქსის" სუნთქვა. ქარი ხეებს ფოთლებს აცლიდა. ფანჯარასთან მივდექი და ჩემს თვალწინ ის ნაცნობი და მტკივნეული მზერა ამოტივტივდა. ამ მზერამ ის წინანდელი და ოცდაათი წლის წინანდელი განცდა ერთ მთლიანობად აქცია.

7-8 წლის თუ ვიქნებოდი. მაშინ შემოდგომა იყო. ჩემი ოთახის ფანჯრიდან ვუყურებდი, თუ როგორ აშიშვლებდა ქარი ხეებს. ერთი, ლამაზი ფერებით აჭრელებული ფოთოლი ფანჯარას მიეკრო, თითქოს ადამიანურად მიმზერდა. გამაჟრჟოლა, თვალის არიდება ვცადე, მაგრამ ამ დროს ქარმა ააფრიალა და ისევ ფანჯარას მიაკრა, ამჯერად ფოთოლი სასოწარკვეთით მიმზერდა. მონუსხულივით მივაჩერდი... ქარი კი მას ხან ააგლეჯდა ფანჯარას, ხან მიახეთქებდა. თითქოს ასეთ მოძრაობაზე ფოთოლს სასოწარკვეთა ემატებოდა. ის უკვე აშკარად, თითქმის კივილით მთხოვდა შველას. ფანჯარა სასწრაფოდ გამოვაღე და ფოთოლი შინ შემოვიტანე. ჯერ ხელისგულებით გავათბე, მერე გულში ჩავიკარი და ავწრიალდი. სასოწარკვეთილებამ ახლა მე შემიპყრო. არ ვიცოდი, რა მექნა. იქვე მდგარი ყვავილის ქოთანი შევნიშნე. შიგ რომელიღაც ყვავილი „ჟრიამულით ყვაოდა". მიწა მოვჩიჩქნე, ფოთოლი ქოთანში ჩავრგე და გათავდა, მერე აღარ მიზრუნია. მე ხომ ვიცოდი, რომ მკვდარ ფოთოლს ვერ გავაცოცხლებდი, მაგრამ სხვა გამოსავალიც რომ ვერ ვიპოვე.

დღემდე, როცა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდები ხოლმე, იმ ფოთლის სასოწარკვეთილი მზერა დამიდგება თვალწინ, — ნაცნობი და მტკივნეული. ის ისევ და ისევ მაიძულებს რაღაც მოვიმოქმედო და მეც, ისევ და ისევ ქოთანში „ვრგავ" იმას, რასაც გახარება, აყვავება არ უწერია.

ღმერთმა უწყის, მას შემდეგ რამდენი რამე (ვინმე) „ჩავრგე" იმ ქოთანში, რამდენი სიყვარული, მოყვარული, წყურვილი, სურვილი და ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეს დაიტევს...

ოთახში სულ უფრო მკვეთრად ისმოდა მომაკვდავის სუნთქვა, რომელთა შორის პაუზა თანდათან იზრდებოდა. აპარატის თავზე დამაგრებული საათი კი ჩვეულებრივად, აუჩქარებლად უთვლიდა წუთებს ლამაზ კაცს. ფანჯარას მოვცილდი და კარი ფრთხილად გამოვიხურე.

მანანა კეიდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა უხალისებს შურა ჯანელიძეს სიცოცხლეს?



*რუსთაველის გამზირზე ნელი ნაბიჯით მიმავალს ამკვიატა თბილისური მელოდია: „თბილისო, ეშხი თუ არ გაქვს, მშვენიერი ქალისა“ და ფიქრი ნაზიერ ქალბატონზე, რომელმაც მრავალი ათეული წელი მომავალი თაობის მუსიკალურ აღზრდას უძღვნა. ეს ქალბატონი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქართული საბავშვო ვოკალის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალექსანდრა (შურა) ჯანელიძეა.*

*საქმის ფანტასტიკური სიყვარული, დიდი პასუხისმგებლობა, დაუშრეტელი ენერგია, შინაგანი კულტურა – აი, ის არასრული ჩამონათვალი თვისებებისა, რითაც გხიბლავთ მისი პიროვნება.*

*მკითხველს ვთავაზობთ მასთან საუბარს:*

**– ქ-ნო შურა, გვითხარით ცოტა რამ თქვენზე და თქვენს ოჯახზე.**

– დავიბადე ინტელიგენტურ ოჯახში. დედაჩემი მასწავლებელი იყო, მამა – სამხედრო პირი. მშობლებს, თავადაც მუსიკის დიდ მოყვარულებს, ხშირად დავყავდი ოპერაში, სადაც საუკეთესო მომღერლებს ვუსმენდი.

კონსერვატორიაში ვოკალურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. სიმღერას მასწავლიდნენ დავით ანდღულაძე, ლუბოვ მიხალსკაია, პეტერბურგელი ეკატერინე რეშიმოვა, მარია კამოევა.

სტუდენტობისას მუშაობა დავიწყე რადიოკომიტეტში, კაპელაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გიორგი ხახანაშვილი და ოთარ თაქთაქიშვილი.

სასცენო მოღვაწეობა ადრე დავიწყე. ვმღეროდი კირილე პაჭკორიას, აქსენტი მეგრელიძისა და გრიგოლ კოკელაძის ხალხურ ანსამბლში. ამ პერიოდში ჩამოვაყალიბეთ სტუდენტური ბრიგადა და მეომრებისთვის კონცერტებს ვმართავდით.

შემდეგ მუშაობა განვაგრძე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში. იქ ის-ის იყო ჩამოყალიბდა საესტრადო ორკესტრი, მინიატურების თეატრი. მაშინ ესტრადაზე გამოდიოდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, ნატო ვაჩნაძე, გიორგი შავგულიძე, ვასო გოძიაშვილი, ოლღა დოლიძე, სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი საღარაძე, ვარლამ ძაგნიძე, შალვა ჩხიკვაძე, მერი შილდელი, პიერ კობახიძე, თამარ ციციშვილი... წარმოიდგინეთ, რაოდენ საამაყო, სასიხარულო და რთული იყო ესტრადაზე მათ გვერდით გამოსვლა.

მახსოვს უდიდესი მხატვარი ლადო გუდიაშვილი, რომელიც ჩვენს კონცერტებს აფორმებდა იმ პერიოდში, როცა მხატვრობაში თავისუფალი აზროვნებისათვის მძიმე განსაცდელში ჩააგდეს.

კონსერვატორიის პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ ჩემი ცხოვრების გზა ომმა შეცვალა. უნივერსიტეტს თავი დავანებე და სწავლა კონსერვატორიაში განვაგრძე. მალე მოსკოვს გავემგზავრე. იქ შეიქმნა დიდი ანსამბლი, რომელსაც მოსკოვის კონსერვატორიის რექტორი – სვეშნიკოვი ხელმძღვანელობდა. ამ ანსამბლში ქართველებიც ვიყავით: ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი, თამარ გიორგობიანი, მე, ოპერის თეატრის მოცეკვავეები გიორგი პატარაია და კოტე ლოლაძე.

მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში კონცერტებზე გამოვდიოდით ივანე კოზლოვსკისთან, ლემეშევთან, შულჟენკოსთან ერთად. ბედნიერება იყო ჩემთვის სცენის ამ დიდოსტატების გვერდით ყოფნა. რამდენს ვსწავლობდი მათგან.



● სასახლის ბიჭუნათა კვარტეტი



● შურა ჯანელიძე და ლეილა აბაშიძე

ლირიულ დრამატული სოპრანო მქონდა და სხვადასხვა დროს ვმღეროდი კლასიკურ საოპერო, ასევე ხალხურ სიმღერებს.

მოსკოვში ყოფნისას გნესინების სასწავლებელში სიმღერას მასწავლიდა ეკატერინა მილკევიჩი. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ვცდილობდი ღრმად შემესწავლა სიმღერა, ჩავწვდომოდი მუსიკის საიდუმლოებას.

სანდრო მირიანაშვილის კვარტეტს, რომელშიც მეც ვმღეროდი, 1958 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე დიდი წარმატება ხვდა წილად.

ვმღეროდი ვარლამ ძაგნიძესთან და შალვა ჩხიკვაძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეხვედრა პირველ გიმნაზიაში ვერიკო ანჯაფარიძესთან, მედეა ჩახავასთან და შურა ჯანელიძესთან

სთან ტრიოში. შემდეგ არჩილ ჩხარტიშვილმა მიმიწვია ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში, სადაც ვითამაშე ჩემთვის დაუვიწყარ სპექტაკლებში: „არშინ-მალალან“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „სიმღერა თბილისზე“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“...

წლების მანძილზე სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ უნივერსიტეტში ვასწავლიდი ვოკალს.

**– ვინ არიან თქვენი საყვარელი მომღერლები?**

– მარია კალასი, ელენე ობრაზცოვა, ვერა დავიდოვა, ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, ლადო ათანელიშვილი, ნანი ბრეგვაძე, მაია ჯაბუა, ეკა მამალაძე, ეკა კვალიაშვილი, მერაბ სეფაშვილი, ნუკრი კაპანაძე, თემურ თათარაშვილი...

**– ქ-ნო შურა, თქვენ პატარა მომღერლების პირველ დამკვალიანებლად და მასწავლებლად გიცნობენ. გვითხარით თქვენს მუშაობაზე პატარა მომღერლებთან.**

– პედაგოგიურ უნივერსიტეტში ჩამოვაყალიბე ვოკალური ჯგუფი, სადაც ორმოც წელზე მეტია ვასწავლი. ჩემი სასიამოვნო მოგონება დაკავშირებულია ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „მზიურთან“, რომელიც ჩემი ჯგუფით დაკომპლექტდა.

მინდა გავიხსენო „მზიურელები“: თამრიკო გვერდწითელი, მაია ჯაბუა, ხათუნა დონდუა, დეკანოზიშვილი, გოდერძიშვილი, სირაძე, საბაშვილი, თამრიკო ომანიძე, ახლა საფრანგეთშია, თამრიკო გოზალიშვილი პიანისტია, ეკა შერაზადაშვილი ფინეთშია...

**– მოზრდილებსაც ხომ ასწავლით ვოკალს? და ვის მოღვაწეობას გაიხსენებთ დღევანდელ ესტრადაზე?**

– უკვე ოცდაათი წელია ვასწავლი შოთა მილორავას სახელობის საესტრადო და საცირკო სასწავლებელში. ესტრადაზე ჩემი ახალგაზრდები არიან: ლელა წურწუმია, გია ბეროშვილი („ოთხი გია“), ანსამბლი „ფორტე“, რომელსაც ჩემი ქალიშვილი ნუციკო ჯანელიძე ხელმძღვანელობს.

**– ო, ნუციკო ჯანელიძე ცალკე თემაა და მაინც რას გვეტყვით მოკლედ თქვენს ქალიშვილზე?**

– ნუციკო ჩემზე ამბობს: „დედაჩემი მკაცრია და კატეგორიული“. მე ვამბობ: „ნუცა ძალიან მკაცრია და კატეგორიული“. ვფიქრობ, ორივე მართალს ვამბობთ.

ჩემთვის მუსიკა ცხოვრების გაგრძელებაა. სიმღერა მიხალისებს სიცოცხლეს. ჩემი სურვილი და მოწოდებაა, რომ მომავალი თაობა აღიზარდოს კლასიკური მუსიკის სფეროში, ქართულ ხალხურ ფოლკლორზე. მინდა მიაღწიონ, რომ ქართული ესტრადიდან არ გაისმოდეს უგემოვნო და მდარე ხარისხის სიმღერები, სცენაზე არ გამოდიოდნენ უხმო მომღერლები.

**– რას უსურვებთ ქართველ ერს?**

– წინსვლას, პროფესიონალიზმს ყველა სფეროში, ლამაზ სიმღერებს, ხმებს, რასაც მთელი სიცოცხლე მოვანდომე. თუ ამ შედეგს მივაღწიე, ბედნიერად ჩავთვლი თავს.

დავით სოლომნიშვილი

ლეგენდა

## ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ქალებს განსხვავებული რამ მოსწონთ მამაკაცებში. ადრეულ ახალგაზრდობაში ვივიენ ლიმ ჭკუის გამო შეიყვარა თავისი რჩეული, მოგვიანებით – ტალანტისათვის, ხანში შესულმა კი კეთილშობილება და თავგანწირვა დააფასა.

ჰერბერტ ლი ჰოლმანს მზეჭაბუკი ნამდვილად არ ეთქმოდა – სქელტუჩა პირი, ღრმად ჩამჯდარი თვალები, გრძელი და ფართო ცხვირი. ნაცნობმეგობრებს იგი მხოლოდ სხარტი გონებით, არისტოკრატიული მანერებითა და ტაქტით ხიბლავდა, ამიტომაც 32 წლის რესპექტაბელურ ლონდონელ ადვოკატს დიდი ჯაფა არ დასდგომია, 18 წლის მის ვივიენ ჰარტლიზეც მოეხდინა შთაბეჭდილება და ოფიციალურად სთხოვა კიდეც ხელი. სასიდედროს – მისის ჰარტლის არ მოეწონა სასიძო. მაგრამ გოგონა ყურად არ იღებდა დედის რჩევას და მის ფრთხილ ვარაუდს – უბრალო გატაცება პირველი სიყვარული ხომ არ გგონიაო, ჯიუტად უპასუხა – „გული არასოდეს ცდება“.

ახალგაზრდების ოჯახური ცხოვრება თავიდანვე არ აეწყო. ჰოლმანი მთელ დღეებს სამსახურში ატარებდა, ვივიენი კი უსაქმოდ კოტრიალობდა საწოლზე და თეატრალური განათლების გაგრძელებაზე ოცნებობდა, ქმრის დაჟინებულ მოთხოვნას ოჯახს მიხედეო, ყურადღებას არ აქცევდა და მალე დარწმუნდა დედის სიმართლეში. ახალშექმნილ ოჯახში სიმშვიდე ქალიშვილის-სიუზანას დაბადებამაც ვერ შემოიტანა და 20 წლის ვივიენმა საბოლოოდ გააცნობიერა, რომ ასეთი ტვირთისათვის ჯერ არ იყო მზად.

კინოში იგი პირველად მოსწავლე გოგონას ეპიზოდურ როლში გადაიღეს ფილმში „ყველაფერი კარგადაა“ თეატრის სცენაზე დებიუტი პიესა „მწვანე პირბადეში“ შედგა. ფილმიცა და პიესაც აშკარად სუსტი გამოდგა, მაგრამ ვივიენი, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი, შეამჩნიეს.

1935 წლის 15 მაისს თეატრ „ამბასადორში“ ეშლი დიუკის გახმაურებული პიესის „კეთილდღეობის ნიღბის“ პრემიერა შედგა. ვივიენ ლიმ, რომელმაც ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მამაკაცი – თავისი ქმარი იცოდა, ბრწყინვალედ გაართვა როლს თავი და ისე ოსტატურად განასახიერა ქუჩის მეძავი, რომ მთლად მოინადირა მომთხოვნი ლონდონელი მაყურებლისა და კრიტიკის გული, მეორე დილას კი უკვე ვარსკვლავად გაიღვიძა – გაზეთები ახალი თეატრალური საოცრების დაბადებაზე ალაპარაკდნენ.

30-იანი წლების დასაწყისში ლონდონის საზოგადოების კერპი უნიჭიერესი მსახიობი ლოურენს ოლივიე გახლდათ. ვივიენიც მოიხიბლა მსახიობის ტალანტით, მამაკაცურობითა და იმ დინამიზმით, რაც ასე ძალიან აკლდა მის ფლეგმატურ ქმარს ჰერბერტ ლი ჰოლმანს. მოიხიბლა და მალე შეუყვარდა კიდეც – უსაზღვროდ და უსაშველოდ.

1936 წელს მსახიობები გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ ერთმანეთს. მათ რეჟისორი ალექსანდრე კორდა იღებდა ფილმში „ცეცხლი ლონდონის თავზე“. ფილმზე მუშაობის სამი თვის მანძილზე ორმხრივი სიმპათიები თანდათან ღრმა გრძნობაში გადაიზარდა და ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდონის თავზე დანთებულმა ცეცხლმა მსახიობთა გულებიც დაანაკვერჩხლა.

მათ ერთად ყოფნის სურვილს წინ აღუდგა რელიგია (კათოლიციზმი განქორწინების წინააღმდეგია), საზოგადოებრივი აზრი, რომელიც კიცხავდა ადიულტერს, მით უფრო მაშინ, როცა საქმე სახელგანთქმულ ადამიანებს ეხებოდა, ოჯახი – ვივიენს პატარა გოგონა ჰყავდა, ლოურენსსაც ის-ის იყო შეეძინა ვაჟი. ჯილ ესმონდმა განქორწინებაზე უარი უთხრა ქმარს, ჰერბერტ ჰოლმანმაც განაცხადა, ცოლს თავისუფლებას არ ვაღირსებო, მაგრამ შეყვარებულებმა მაინც გადალახეს ყველა ბარიერი, რაც მათ სიყვარულს წინ ეღობებოდა – ლოურენს ოლივიე ოჯახიდან წამოვიდა, ვივიენ ლიმაც გაწყვიტა წინა ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი, თუმცა ოფიციალურ ქორწინებამდე წინ ოთხი ხანგრძლივი და მტანჯველი წელი ელოდათ. ამ ხნის მანძილზე ორივემ დიდება მოიპოვა – ლოურენსმა თეატრალური სამყარო თავის „ჰამლეტით“ დაიპყრო, ვივიენმა – სკარლეტით აალაპარაკა კინომაყურებელი.

გენიალური მსახიობი ლოურენს ოლივიე ინტელექტუალური არ ყოფილა – ცოტას კითხულობდა და ცუდად ერკვეოდა ხელოვნებაში. ვივიენმა ასწავლა მას მუსიკის სიყვარული, დააკვალიანა მხატვრობაში და არქიტექტურის ფასიც შეაცნობინა. ქალის შენიშვნები წიგნებსა და იმ პროფესიაზე, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ, ყოველთვის მწვავე, უშეცდომო და პირდაპირი იყო. ბუნებით ალალმართალი ვივიენი ვერ იტანდა სიყალბეს ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

„ჰამლეტის“ შესრულების შემდეგ ლოურენსი ქალისთვის სამყაროს ცენტრი გახდა, მან, ისევე როგორც მისმა გმირებმა, საშუალო არაფერი იცოდა – იმედი ან სასოწარკვეთა, სიყვარული ან სიკვდილი... ისიც ამ სიყვარულით სუნთქავდა და ცხოვრობდა, ისეთ ურთიერთობაზე ოცნებობდა, რომელიც ბედის ყოველგვარ დარტყმას გაუძლებდა, დაიცავდა სიბინძურის, შურისა და ცილისწამებისაგან. სჯეროდა, რომ ასეთი გრძნობა მართლა არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, თავად სწორედ ამგვარი რამ აკავშირებდა ლოურენსთან. ეგონა ბედნიერება მარადიული იქნებოდა და ამან დაღუპა კიდეც.

ვივიენ ლი ყოველთვის სუსტი ჯანმრთელობის იყო. 1945 წელს ექიმებმა მას ტუბერკულოზი დაუდგინეს და სცენის მიტოვება ურჩიეს, მაგრამ ვერ დაითანხმეს. ავადმყოფობამ იგი საწოლს მიაჯაჭვა. მისი შემხედვარე ოლივიე ნერვული აფეთქების ზღვარზე იმყოფებოდა და ქალი საკუთარ თავზე მეტად ქმარს ნაღვლობდა. მერე კი, როცა ლოურენსმა დეპრესიას თავი დააღწია, ამერიკაში გაემგზავრნენ.

ათი წლის შემდეგ ლის მანიაკალური დეპრესია დაემართა და სიგიჟემდე ერთი ნაბიჯიღა უკლდა. ოლივიეს სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა, მას ძველებურად უყვარდა ცოლი, მაგრამ შველა არ შეეძლო. ვივიენი თავს ძალას ატანდა, ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო, საკუთარი თავისა და ქმრის რწმენა, მისი სიყვარული უხანგრძლივებდა სიცოცხლეს.

ლოურენს ოლივიე დროთა განმავლობაში შეიცვალა, ცოლის ავადმყოფობამ საშინლად დააფრთხო. წისქვილზე წყალს ზოგიერთი „კეთილისმსურველიც“ უსხამდა – აქაოდა, გენიოსი და შეშლილი ქალი ერთად შეუთავსებელიაო. კაცი ვეღარ იტანდა ცოლის სიახლოვეს,თუმცა შეტევები ისე ძლიერ აღარ აწუხებდა ქალს და განაგრძობდა კინოსა და თეატრში მუშაობას. თანდათან მათ ერთობლივ ცხოვრებას ბზარი გაუჩნდა. ლის მეგობრებთან, ხალხთან ურთიერთობა ჰაერივით ესაჭიროებოდა, ლოურენსი კი ისე წაახდინა მოახლოებული სიბერის შიშმა, რომ მთელ თავისუფალ დროს ბაღში განმარტოებით ატარებდა, ნაცნობ-მეგობართა წრეც მინიმუმამდე დაიყვანა. სადღა იყო მშვენიერ ვივიენში უზომოდ შეყვარებული გენიალური მსახიობი და ქალიც ძლივს ფარავდა გაღიზიანებას.

წარსულს თავის მარწუხებში 1957 წლის ბოლომდე ჰყავდა ორივე მოქცეული, ბოლოს ისევ ლოურენსმა გადაუსვა პირველმა ხაზი, როცა მიხვდა, ჯოან პლოურაიტით გატაცება – თავგადასავალი კი არა, სიყვარული იყო. ლიმ არაფერი იღონა ქმრის დასაბრუნებლად, იცოდა – სიყვარული ან არის, ან – არა. ისე, ოლივიესთან საუბარი ძალიან უნდოდა, შტატებში ინტერვიუც მისცა, რომელშიც ქმართან შეხვედრას იმედოვნებდა, ეგონა, წაიკითხავს და შემხვდებაო. მაგრამ ამაოდ...

1960 წლის ზამთარში ვივიენ ლი სასამართლოში განქორწინების თაობაზე დაიბარეს, თავად ოლივიე ახალ სატრფოსთან ერთად ამერიკაში იმყოფებოდა. ვივიენმა თანხმობა განაცხადა, თუმც ძლივს იკავებდა ცრემლებს.

ქმართან განშორება მისთვის ტრაგედიაზე მეტი, მთელი ცხოვრების, იმ იდეალების გაცამტვერება იყო, რისთვისაც შეიძლებოდა და ღირდა ცხოვრება. მსგავს სიტუაციაში ჩავარდნილი მისი გმირები ან თვითმკვლელობით ამთავრებდნენ სიცოცხლეს, ან ფსკერზე ეშვებოდნენ. ლიმ შეძლო თავის ხელში აყვანა, ქმრის დაკარგვის შემდეგ



ვივიენ ლი



ვივიენ ლი და ლოურენს ოლივიე

პროფესიის დაკარგვა უკვე მეტისმეტი იყო – მსახიობმა სძლია მასში შეურაცხყოფილსა და დამცირებულ ქალს.

ცხოვრების ამ მძიმე წუთებში მის გვერდით ამერიკელი მსახიობი ჯონ მერივეილი იმყოფებოდა, რომელიც წლების მანძილზე უიმედოდ გახლდათ ქალზე შეყვარებული. ჯონმა მშვენივრად უწყოდა, რომ ვერასოდეს გამოდევნიდა ვივიენის გულიდან ოლივიეს, მაგრამ იმდენად დიდი და ღრმა იყო მისი გრძნობა, რომ ყველაფერს შეეგუა და საყვარელ ქალზე მზრუნველობა საკუთარ თავზე აიღო. ვივიენმა დააფასა ეს კეთილშობილური ჟესტი, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დატოვა: ოლივიე – ეს ოლივიეა, მერივეილი კი – მხოლოდ მერივეილი.

1967 წლის ივნისში ვივიენ ლის ოლბის პიესის „დელიკატური ბალანსის“ რეპეტიცია უნდა გაევლო, მაგრამ კვლავ გამოღვიძებულმა ტუბერკულოზმა ფეხქვეშ საყრდენი გამოაცალა. ექიმმა კატეგორიულად მოითხოვა მისი ჰოსპიტალში გადაყვანა.

ივლისის პირველ რიცხვებში ოდნავი შვება იგრძნო და შინ დაბრუნდა. 10 ივლისს გვიან ღამით სპექტაკლში ჯონ მერივეილი მოვიდა. ვივიენი თავის საძინებელში უცდიდა. არაფერი მოასწავებდა იმ უბედურებას, რაც თხუთმეტი წუთის შემდეგ მოხდა – ჯომ სამზარეულოში გაიგო უცნაური ყრუ ხმა, ოთახში შევარდა და იატაკზე დავარდნილი ლი დაინახა. იქვე საწოლქვეშ საბრალოდ კნაოდა ვივიენის საყვარელი ფისო პუ ჯონსი.

ლოურენს ოლივიესა და ვივიენ ლის უკანასკნელი შეხვედრა მსახიობის გარდაცვალების მეორე დღეს შედგა: ვივიენისთვის ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს ახლა ლოურენსს სჭირდებოდა, რომელიც წლების მანძილზე ერიდებოდა იმ ქალთან შეხვედრას, ვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე უზომოდ და უანგაროდ უყვარდა.

**ჟურნალი „ონა“, 2002, №6**

**იბეჭდება შემოკლებით**

**თარგმნა მანანა იმესაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვახის სიკეთე

კვახი საქართველოში „უცხო ხილი“ როდია, იგი ალბათ ადამიანთა უმრავლესობას უყვარს. ვისაც არ უყვარს, ვურჩევთ, ისარგებლონ მისი სამკურნალო თვისებებით.

კვახი შეიცავს კალიუმის და კალციუმის მარილებს, მაგნიუმსა და რკინას, $B_1$ ვიტამინების ჯგუფს, ნიკოტინს, ასკორბინის მჟავას და პექტინს. არ აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს და ნაწლავებს; ამდენად, კვახისაგან მომზადებული კერძები შეუძლიათ მიირთვან მათ, ვისაც დაავადებული აქვს საჭმლის მომნელებელი ორგანოები. რამდენადაც კვახს შარდმდენი თვისებებიც გააჩნია, ვისაც გულსისხლძარღვთა დაავადება და თირკმელების შეშუპება აწუხებს, ექიმები ურჩევენ, ჩართონ კვახი კვების რაციონში.

ჩვეულებრივ, მშრალად შემწვარი და მოხარშული კვახის გარდა, კვახისაგან მომზადებული კერძები მარხვის დღეებშიც შეიძლება გამოიყენოთ.

## ზეთში შემწვარი კვახი

გარეცხილი, თესლამოცლილი, კანგაცლილი კვახი დაჭერით თანაბარ, ბრტყელ ნაჭრებად, გნებავთ მიეცით ისეთივე ფორმა, როგორც იჭრება სამურაბე საზამთროს ქერქი, ყოველ ნაჭერს ცალი მხრიდან გადაუსვით მცირეოდენი მარილი, ამოგანგლეთ ფქვილში ან ორცხობილას წმინდა ფხვნილში და შეწვით მზესუმზირას ზეთში (ორივე მხრიდან), შემწვარი კვახის ნაჭრები დაალაგეთ გაშლილ თეფშზე და მორთეთ ნებისმიერი მურაბით ან ხილფაფით.

## კვახი ბრინჯით

ერთი კილოგრამი კანგაცლილი კვახი დაჭერით პატარა ოთხკუთხედ ნაჭრებად, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ჭიქანახევარი წყალი და დაადგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე. 10-15 წუთის შემდეგ მოაფრქვიეთ ორი ჩაის ჭიქა გარეცხილი ბრინჯი, დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე რძე და განაგრძეთ ხარშვა. დროდადრო შეამოწმეთ არ მიიწვას, თუ საჭირო იქნება, მოურიეთ. 10 წუთის შემდეგ დაუმატეთ 150 გრამი გარეცხილი ქიშმიში, 50 გრამი კარაქი და შაქრის ფხვნილი გემოვნების მიხედვით.

თუ მარხვას იცავთ, კარაქის ნაცვლად იხმარეთ ზეთი და რძის მაგიერ – წყალი.

## კვახის მაჭკატი (ოლადი)

კილონახევარი კანგაცლილი კვახი დახეხეთ მსხვილ სახეხზე, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ორი ჭიქა მდუღარე რძე და მოთუშეთ ნელ ცეცხლზე, მოთუშული კვახი გააციეთ, დაუმატეთ ერთი ჩაის ჭიქა ფქვილი და ამდენივე მანანას ბურღული, ორ სუფრის კოვზ შაქრის ფხვნილში კარგად ათქვიფეთ ორი კვერცხი, მცირეოდენი მარილი და დანის წვერით სოდა, აურიეთ კარგად და ცხელ ტაფაზე ზეთში შეწვით ნებისმიერი ზომის „ოლადები“.

## მწვანე ბორში

ერთი კილოგრამი ახალი კომბოსტო დახეხეთ ან დაჭერით ძალიან წვრილად, ასევე დახეხეთ 2-3 ცალი სტაფილო და ერთად მოათავსეთ ქვაბში. დაუმატეთ 3-4 ცალი ოთხად გაჭრილი კარტოფილი, წვრილად დაჭრილი 200 გრამი ნიახური და 100 გრამი ოხრახუში, დაასხით ორი ლიტრი წყალი და დადგით ცეცხლზე. ადუღებიდან 10 წუთის შემდეგ ქვაბში ჩაამატეთ ნახევარ ჩაის ჭიქა ზეთში კარგად მოშუშული 4-5 თავი ხახვი და 1 ჩაის ჭიქა ახალი ტყემალი ან 200 გრამი ალუჩა. კვლავ ადუღეთ 5 წუთი და გადმოდგით ცეცხლიდან. შეაზავეთ მარილით, წიწაკით (თქვენი გემოვნებით) 4-5 კბილი დანაყილი ნივრით. წვრილად დაჭრილი კამა თეფშით დადგით მაგიდაზე და სურვილისამებრ მოაფრქვიეთ მათლაფაზე გადმოღებულ ბორშს. აქვე შეგიძლიათ დაუმატოთ არაჟანი ან მაწონი. მწვანე ბორშის შემდეგ სასურველია მიირთვათ შემწვარი კარტოფილი კამით.

## ტარხუნის ღვეზელი

**მასალა ცომისათვის:** 200 გრამი მარგარინი, 3 ჩაის ჭიქა ფქვილი, 1 ჩაის ჭიქა მაწონი, 1 კვერცხი, 1 ჩაის კოვზი თავგადალესილი სოდა, 1-2 სუფრის კოვზი ძმარი ან ნახევარი ჩაის კოვზი ლიმონმჟავა, ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, 1 ცალი ძალიან კარგად ათქვეფილი კვერცხი.

**გულსართი:** 6 ცალი მოხარშული კვერცხი, 5 კონა ტარხუნა, 1 კონა ახალი ხახვი, 100 გრამი კარაქი, მარილი.

ცომისათვის განკუთვნილ ფირფიტაზე დაყარეთ ფქვილი და დანით დაკეპეთ ზედ მოთავსებული მარგარინი. კეპეთ იმდენ ხანს, რომ მიიღოთ ერთგვაროვანი ფხვიერი მასა; ამის შემდეგ მაწონი მოათავსეთ თასზე, დაუმატეთ სოდა, მარილი, ლიმონმჟავა ან ძმარი, 1 ცალი კარგად ათქვეფილი კვერცხი, აურიეთ და შიგ შეაზილეთ მარგარინისა და ფქვილის ნარევი. მიღებული ცომი შეაგუნდავეთ, გაყავით ორ ნაწილად (ერთი ოდნავ მეტი). მეტი ცომი გააბრტყელეთ გაზქურის საცხობ ტაფაზე და ზემოდან თანაბრად გადაანაწილეთ ღვეზელის შემდეგნაირად მომზადებული გულსართი: წვრილად დაჭრილი ხახვი, ღეროებდაცლილი ტარხუნა (ტარხუნას რომ გარეცხავთ, შეაშრეთ სუფთა ტილოთი, რომ წყალი არ შეუდგეს), მცირეოდენი მარილი და გამდნარი კარაქი აურიეთ ერთმანეთში. ტაფაზე გაბრტყელებულ ცომზე თანაბრად დაალაგეთ ბრტყლად და თხლად დაჭრილი 6 კვერცხი, ზემოდან ასევე თანაბრად გადაანაწილეთ ტარხუნის და ხახვის ნაზავი. გადააფარეთ მეორე ცომი (გაბრტყელებული) და ოთხივე კიდე კარგად შემოუკეცეთ, ზემოდან გადაუსვით 1 ათქვეფილი კვერცხი და შედგით გამოსაცხობად.

## ხახვის სალათი

300 გრამი კარგი ხახვი დაჭერით თხელ ნახევარრგოლებად (ალყა-ალყა), მოათავსეთ ქვაბში ჩადგმულ საწურში და 10-15 წუთით დადგით გამდინარე წყლის ქვეშ. შემდეგ მაგრად გაწურეთ (ისე, როგორც წურავთ მხალს), გაყავით სამ ტოლ ნაწილად. ერთი ნაწილი მოათავსეთ გაშლილ თეფშზე, თანაბრად წაუსვით ორი სუფრის კოვზი მაიონეზი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი და კამა. ასევე გაიმეორეთ მეორე და მესამე ფენაზეც. შეგიძლიათ, მაიონეზი შეცვალოთ ოჯახური კარგი პამიდვრის საწებელით ან ტყემლის წვენით. ზემოდან მოასხით 2-3 სუფრის კოვზი ზეთი.

გაწურული ხახვი შეგიძლიათ შეაზავოთ ნიგვზით, ქინძით და მცირეოდენი ნივრით ისევე, როგორც აზავებთ ნებისმიერ მხალს ნიგვზით.



**რედაქციის მისამართი:**
**280096, ქ. თბილისი,**
**მ. კოსტავას ქ. №14.**
**V სართული**
**რედაქტორის ტელეფონი:**
**99-98-71**

**ჟურნალში რეკლამების განთავსების მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:**
**99-98-71, 93-43-02**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ქალთა მოდის სამყარო კურიოზებითაა სავსე და, ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ მრავალი სახლი და სავაჭრო მარკა თავის წარმატებას მამაკაცის ტანსაცმელს უნდა უმადლოდეს. ყოველ შემთხვევაში, კომპანია „Cacharel“-მა სახელი სწორედ მამაკაცის პერანგების წყალობით გაითქვა.*

# „CACHAREL“-ი – დიდი ცვლილებები

1956 წელს ყოფილმა ხელოსანმა ჟან ბუსკემ მამაკაცის პერანგების პატარა ატელიე გახსნა და მალე დიდი მოწონება დაიმსახურა ელეგანტურ დედაქალაქელ ფრანტებს შორის, რომლებიც მზად იყვნენ, მუსიე ჟანის დიდებული პერანგების გულისათვის ცხრა მთას იქითაც გამგზავრებულიყვნენ. არ გასულა ხუთი წელი და ბატონმა ბუსკემ ატელიეს გაფართოება მოახერხა, მაგრამ პერანგების წარმოება კი არ გააფართოვა (რაც საკმაოდ დიდ შემოსავალს უქადდა), ქალის ტანსაცმლის კერვას მიჰყო ხელი და ფსევდონიმად და სავაჭრო მარკად „Cacharel“-ი აირჩია. 60-იანი წლების დასაწყისში ჟანმა პირველი კოლექცია გამოფინა, რასაც კრიტიკოსთა და კლიენტთა აღფრთოვანებული გამოხმაურება მოჰყვა. უნდა ითქვას, რომ „Cacharel“-ის პირველი ბესტსელერები – კრეპის კაბა-პერანგები... მამაკაცის კოსტუმის პირდაპირი ანარეკლი გახლდათ. სიახლეებით მდიდარ 60-იან წლებში ბუსკემ სუსტ სქესს



იდეალურად მომჯდარი „მამაკაცური“ პერანგები, შიფონის თავისუფალი ბლუზები, საშუალო სიგრძის ქვედაბოლოშარვლები და შემხვედრ ნაკეცებიანი მინი ქვედაბოლოები შესთავაზა, რომლებიც დღესაც საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს.

70-იან წლებში „Cacharel“-მა დიდების პიკს მიაღწია – „ყვავილთა შვილების“ ხანაში კომპანიაში მუშაობაზე ყველაზე ცნობილი და ამბიციური ოსტატები ოცნებობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ჰიპების მოძრაობა წარსულს ჩაბარდა და ფირმის საქმეებიც თანდათან გაუარესდა – ახლა მის ხმაურიან წარმატებაზე მხოლოდ სუნამო „Anais, Anais“-ის ნაზი არომატი მეტყველებდა, რომელიც აგერ, უკვე მერამდენე ათწლეულია ლიდერთა სიაში იმყოფება.

90-იანი წლების ბოლოს წინდახედულმა ბიზნესმენებმა ოდესღაც სახელგანთქმულ მოდელების სახლებში ექსპერიმენტების ჩატარება დაიწყეს. გარდაქმნის სიომ „Cacharel“-ის სახლშიც დაუბერა: მარკა მოკრძალებული შოურუმებიდან საერთაშორისო პოდიუმებზე რომ გამოეტანათ, ფირმაში ახალგაზრდა ექსტრავაგანტური დიზაინერების, სახელგანთქმული ლონდონელი ოჯახური წყვილი სიუზანა კლემენტე და ინასიო რიბეირო მოიწვიეს, რომლებიც მართავენ კიდეც ამჟამად სახლს.

დღეს ახალი „Cacharel“-ი – უბრალო მოდელებისა და ძვირფასი ქსოვილების ჰარმონიული შერწყმა, ხელით ნაქარგი ყოველდღიური ტანსაცმელი და ხასხასა ფერების არაჩვეულებრივი გამაა და ეს თამამი გადაწყვეტა საკმარისი აღმოჩნდა მარკის ასაღორძინებლად.

2000 წელს პარიზში განახლებული კოლექციის ჩვენების შემდეგ, კულისებში ისეთივე ხმაური იდგა, როგორც 40 წლის წინ, როცა ბუსკეს პირველმა ნამუშევარმა აღაფრთოვანა მოდის თაყვანისმცემლები და ეს წარმატებული დაბრუნება ღირსეულად რომ აღენიშნათ, „Cacharel“-ის მესვეურებმა საზოგადოებას ახალი არომატი „NOA“ შესთავაზეს, რომელიც დღეს ისეთივე პოპულარულია, როგორც ოდესღაც ლეგენდარული „Anais“-ი.













ფასი სახელშეკრულებო